ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

ორშაბათი, 7 მარტი, 2011 | №55 (5436) | ფასი: 30 თეთრი

## აფხაზეთში ნარკოტიკებს აფასოებენ

გახდება თუ არა საქართველო ნარკოტიკების სატრანზიტო ქვეყანა



გვ.6

# დეპუტატების ნაწილი გასაქცევად ემზადება



გვ.3

ნაციონალებში განხეთქილება დაწყებულია

## ახალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა უნდა დავიწყოთ!

ოპოზიცია პროვოკაციებს არ უნდა წამოეგოს



გვ.2



გვ.4

## ქვეყნის გამაერთიანებელი ხელისუფლება დევნილებს ასე სასტიკად არ მოექცევა!



## ხელისუფლება ჩიხში შევიდა

გვ.2

სააკაშვილს ელჩებისთვის მიცემული პირობის შესრულება მოუწევს



## ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაში მილიონები დაიხარჯა

გვ.5

რისი ეშინია ხელისუფლებას

## რის ხარჯზე შენდება საავადმყოფოები

გვ.4

უმწეო ოჯახები სახელმწიფომ უნდა დააზღვიოს



## სააკაშვილი შავმიწა ნიადაგს გვიყიდის




გვ.7



# 3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.


ISSN 1987-9385

8 საქართველოს ისტორია ბავშვებისთვის გამოცემულია

10 ბრძოლა და ჩხუბი ქუთაისში

8 უცნობი გალაკტიონი ეროვნულ არქივშია

11 გიორგი შაშიაშვილი: „ჩვენს ნაკრებს შინ ნებისმიერი გუნდის დამარცხება შეუძლია“

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ახალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა უნდა დავიწყოთ!

ნონა ცაბაძე

**ინტერვიუ შალვა ხაჭაპურიძესთან**

***— ბატონო შალვა, ოპოზიციური პარტიები დღეს ბევრს საუბრობენ მოსალოდნელ რევოლუციაზე. როგორია თქვენი შეხედულებები ამ საკითხთან დაკავშირებით?***

— პირველი, ვინც ამაზე საუბარი დაიწყო, ჩვენ ვიყავით. ამ კონკრეტულ შემთხვევაში პოლიტიკურ ტერმინოლოგიასთან გვაქვს საქმე. მე არ მინდა, რომ ტერმინოლოგიის გამო აღრეული იყოს თვითონ პროცესების მნიშვნელობაც. რამდენიმე ხნის წინ კი განვაცხადე, რომ აქ, რევოლუციის გარდა, სხვა გამოსავალი არ არის. მერე ქართულმა პარტიამ და შემდეგ ბატონმა კახა კუკავამაც განაცხადა ამის შესახებ. ასევე ეს განცხადება ერთ-ერთმა პირველმა ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ გააკეთა კიევში ვიზიტად ყოფნის დროს. აი, სულ ეს ხალხი ვართ, ვინც რევოლუციაზე ვსაუბრობთ. მე ტერმინ „რევოლუციაში“ უფრო სხვა რამ ვიგულისხმე, ჩვენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ტალღა უნდა დავიწყოთ და მე სწორედ ამას ვგულისხმობ რევოლუციაში. რევოლუცია არის სწორედ ის მოვლენა, რომელიც შეიძლება დაიწყოს, მაგრამ ვერ განხორციელდეს, დამთავრდეს წარუმატებლობით ან არასასურველი შედეგით იმის მიერ, ვინც იწყებს და უდგას სათავეში ამ პროცესს. ამ და კიდევ სხვა მომენტებიდან გამომდინარე, ამას რევოლუციურ ტალღას ვერ დავარქმევდი. ეს უფრო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ტალღა იქნება. ეს ტალღა პირველად 1987 წელს დაიწყო საქართველოში და დამთავრდა გამსახურდიას რეჟიმის დამხობით საქართველოში. ახლა კი წინა პლანზე წამოიწიეს ისეთმა პოლიტიკურმა ძალებმა, რომლებსაც მთავარ ფლაგმანად გვიკავია ეროვნული იდეალები და ამიტომაც ჩვენ ვთვლით, რომ ეს არის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ტალღა. ასეთ ფიქრობს ბევრი პოლიტიკური ძალა საქართველოში. ამ ძალებიდან ზოგი ჩანს, ზოგი არ ჩანს, პიარი ყველას არ უკეთდება.



ოპოზიცია პროვოკაციებს არ უნდა წამოეგოს

***— რაც შეეხება თავად პროცესებს?***

— რაც შეეხება პროცესებს, გააჩნია, ვინ როგორ უყურებს ამ პროცესს. მე ჯერჯერობით ამ ხალხთან ურთიერთობა არ მქონია, თუმცა ვაპირებ, რომ ეროვნულ ძალებთან მქონდეს შეხვედრები და პარტიებმა გავიაროთ კონსულტაციები. მე, პირადად, გეტყვით, როგორ ვუყურებ პროცესებს და რას ვგულისხმობ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ ტალღაში, რომელსაც პირობითად, თუ გინდათ, რევოლუცია უწოდონ. ეს, პირველ რიგში, უნდა იყოს მასობრივი პროტესტის აქციები, რა თქმა უნდა, თავისი ტექნოლოგიებით, ლოჯისტიკით და ასე შემდეგ და უნდა დაიწყოს რეალური ბრძოლა სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟისათვის. ეს არ უნდა იყოს ბრძოლის იმიტაცია. ამის შესახებ თქვენი გაზეთის საშუალებით არაერთხელ განმიცხადებია. იმისთვის, რომ ეს არ გადაიზარდოს ბრძოლის იმიტაციაში, საჭიროა, პარტიები, რომლებიც ამ იდეის ირგვლივ გაერთიანდებიან, რამდენიმე პრინციპზე შეთანხმდნენ: პირველი მთავარი პრინციპი მაინც არის, რომ არ მიეყიდებიან სააკაშვილის ხელისუფლებას, არ წავლენ მათთან არანაირ გარიგებაზე. მეორე პრინციპია, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ ეროვნულები და ყველა ძალას უნდა გააჩნდეს თავისი ხედვა, გამარჯვების ანუ სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟის შემთხვევაში როგორ უყურებს ეს ხალხი საქართველოს მომავალს, როგორი სახელმწიფოს აშენებას აპირებენ, როგორი კონსტიტუცია იქნება და უამრავი ასეთი საკითხი. მათ უნდა ჰქონდეთ ქვეყნის ხვალინდელი განვითარების პროექტი, პროგრამა თუ გეგმა. ასევე განსაზღვრული უნდა იყოს სამოქმედო გეგმა, რას გულისხმობს ეს ხალხი, რევოლუცია იქნება თუ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. როგორ უნდა იყოს ეს, შევუცვივდეთ ვილაცას პარლამენტში, ატყდება სროლა ავტომატებით თუ რა და როგორ. თუ ეს იქნება საპროტესტო ტალღა, რომელიც, განსხვავებით წინა ტალღისგან, იქნება უფრო შეკრული, უფრო ქმედითი, უფრო გააზრებული და აიძულებს ხელისუფლებას, გადადგას ის ნაბიჯები, რაც ოპოზიციას აინტერესებს, მოხდება სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟი. თუ ვინმე აპირებს ამ ბრძოლაში ავტომატის გამოყენებას, ჩვენ ასეთ ძალებს ვემიჯნებით.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ გაზაფხულიდან დაიწყება ეს ახალი ტალღა? საუბრობთ ოპოზიციური პარტიების ასეთ განწყობილებაზე, მაგრამ საზოგადოებაში რამდენად არის ამის მუხტი?***

— მე თითქის კვირაში ერთხელ მაქვს შეხვედრები მოქალაქეებთან დარბაზში, სადაც 500-დან 700-მდე ადამიანი იკრიბება, გარდა ამისა, გასვლები გვაქვს რაიონებში და, სხვა პარტიებისგან განსხვავებით, ამას დიდად არ ვაპიარებთ. ირკვევა, რომ საპროტესტო მუხტი საკმარისი კი არა, საკმარისზე მეტია. საზოგადოების უზარმაზარი ნაწილი მზად არის ცვლილებებისთვის. ხალხი პირდაპირ აცხადებს, რომ ცვლილებების დრო დადგა. რადგან ეს ხალხი მზად არის, ახლა საჭიროა ამ ხალხის მობილიზება და მობილიზების შემდეგ იმ გადაწყვეტილების მიღება, რომელიც მიგვიყვანს იმ გზამდე, როდესაც სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟი მოხდება, მაგრამ არ მოხდება სახელმწიფოს დემონტაჟი. თუ ეს ყველაფერი მშვიდობიანი გზით არ განვითარდა, მაშინ მოხდება არა მარტო სააკაშვილის, არამედ მთლიანად სახელმწიფოს დემონტაჟი. ამ ყველაფერს კი საკმაოდ კარგად გამოიყენებენ ჩვენი სახელმწიფოს მტრები. მოდით, პირდაპირ ვთქვათ, აქ რომ ერთი ტყვიაც გავარდეს და რაიმე უბედურება მოხდეს, ეს გადაიზრდება სერიოზულ პრობლემაში. იგივე ამერიკელები იტყვიან, სულ კარგად ბრძანდებოდეთო. ჯობია გამოვიყენოთ ის სამშვიდობო არსენალი, რომელიც წინა აქციების დროს არ ყოფილა გამოყენებული. დღეს თოფით გამოვარდნა ნიშნავს სააკაშვილის წისქვილზე წყლის დასხმას. სააკაშვილი ამას გამოიყენებს იმისთვის, რომ გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა, საგანგებო მდგომარეობის პერიოდში მოხვეტოს მთელი ოპოზიციური პარტიის ლიდერები, იყავი ამაში გარეული თუ არ იყავი, შეყრის მთელ ოპოზიციას ციხეებში, დატოვებს რამდენიმე მისთვის სასურველ ოპოზიციონერს, მასთან დაქორწინებულ ოპოზიციონერს ან დასაქორწინებელს. საგანგებო სიტუაციის გაუქმების შემდეგ ჩაატარებს ვადამდელ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებს. საქართველოში თოფის გავარდნა ასოცირებული იქნება რუსულ ძალებთან და სააკაშვილი დასავლეთთან თავს იმით გაიმართლებს, რუსული ძალა მიტევდა და აბა რა მექნაო. ჩვენ მშვიდობიანი გზით უნდა შევქმნათ ისეთი სიტუაცია, როდესაც ხალხს აღარ უნდა ეს ხელისუფლება და ისინი უნდა წავიდნენ.

***— არიან ისეთი ოპოზიციური პარტიებიც, რომლებიც აცხადებენ, რომ ხელისუფლება მხოლოდ არჩევნების გზით უნდა შეიცვალოს...***

— ყველა აზრს აქვს არსებობის უფლება, ამ პრინციპით თუ მივუდგებით. თუმცა, მე მიმაჩნია, რომ არჩევნების გზით სააკაშვილი არსად წასვლას არ აპირებს. როდესაც სააკაშვილზე ვლაპარაკობ, ვგულისხმობ მთელ მის რეჟიმს. სააკაშვილმა შეიძლება მართლაც დაიხუროს ქუდი, ხვალვე წავიდეს და ის ჩაანაცვლოს ბოკერიამ ან უგულავამ. ამით არაფერი შეიცვლება, ერთს სააკაშვილს მეორე შეცვლის. ყველა ძალამ, რომელიც აცხადებს, რომ მან უნდა დაიწყოს რევოლუცია, უნდა განუმარტოს საზოგადოებას, რას გულისხმობს ამის უკან. ყველა უნდა შეეცადოს, რომ მოხდეს ეროვნული ძალების კონსოლიდაცია, რომლებიც თვლიან, რომ რეჟიმის დემონტაჟი უნდა მოხდეს. სააკაშვილი ახალი პროვოკაციისთვის ემზადება და ძალიან დიდი გონიერება გვჭირდება, რომ მის პროვოკაციას არ წამოვეგოთ.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ არიან ისეთი ოპოზიციური ძალები, რომლებიც სააკაშვილის დადგმულ სპექტაკლში მიიღებენ მონაწილეობას?***

— მე არ ვამბობ, რომ ოპოზიცია რაიმე სპექტაკლს დგამს. ეჭვი არ მეპარება ვინმეს გულწრფელობაში, მაგრამ, ყველას სჭირდება სიფრთხილე, რომ ამ პროვოკაციას არ წამოეგონ.

---

ნონა ცაბაძე

# ხელისუფლება ჩიხში შევიდა

## სააკაშვილს ელჩებისთვის მიცემული პირობის შესრულება მოუწევს

**ინტერვიუ კონსერვატიული პარტიის ლიდერ ზვიად ძიძიგურთან**

***— ბატონო ზვიად, იმ ოპოზიციური პარტიებისგანაც კი, რომლებიც წინააღმდეგნი იყვნენ საპროტესტო აქციებისა და ხალხის ქუჩაში გამოყვანისა, ისმის, რომ ამის გარეშე არაფერი გამოვა და ქვეყანაში არაფერი შეიცვლება. თუმცა, ისეთებიც არიან, ვისაც არჩევნების იმედი აქვს. როგორია თქვენი პოზიცია ამ ყველაფერთან დაკავშირებით?***

— პრესას, ტელევიზიას თუ თვალყურს მივადევნებთ, პოლიტიკური ოპოზიციის საქმიანობას თუ დავუკვირდებით, ორი გზა იკვეთება. ერთი — არიან პარტიები, რომლებიც ამბობენ, რომ რევოლუცია უნდა მოხდეს და რევოლუციით უნდა შევცვალოთ ხელისუფლება, პარტიათა ერთი ნაწილი ამბობს, რომ არჩევნების გზით უნდა მოხდეს ცვლილება. ვფიქრობ, ეს ხელს არ უშლის იმ პარტიებს, რომლებიც საარჩევნო კოდექსის გაუმჯობესების მიზნით მუშაობენ. ეროვნულ საბჭოს — კონსერვატორებსა და ხალხის პარტიას მიაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნისთვის საუკეთესო გამოსავალია არჩევნების გზით, მშვიდობიანად გადაბარება ერთი ხელისუფლებისა მეორე პოლიტიკური ძალის ხელში და ასე იქნება ევოლუციური გზით ჩვენი ქვეყნის განვითარება. რევოლუციურად განწყობილი პარტიები ამბობენ, რომ არჩევნების გზით შეუძლებელი იქნება ხელისუფლების შეცვლა და, რა თქმა უნდა, არგუმენტები მათ აქვთ საამისოდ, რომ ეს ყველაფერი თქვან. თუმცა, მე კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა — ეროვნული მოძრაობის დროს იყვნენ პარტიები, რომლებიც რადიკალურები იყვნენ და ითხოვდნენ საქართველოს დაუყოვნებლივ გათავისუფლებას. იყო პარტიათა ნაწილი, რომელიც ჩართული იყო საარჩევნო მიმართულებით, იყვნენ ორგანიზაციები, რომლებიც ადგილობრივი ხელისუფლების პრობლემებს აგვარებდნენ და მთელი ფრონტი იყო გაშლილი ხელისუფლების წინააღმდეგ. თუკი ზომიერი პარტიების მხრიდან, თუკი რადიკალური პარტიების მხრიდან იქნება ფრონტი ყველა მიმართულებით გახსნილი ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიისა და პოლიტიკური ბალანსის გასამყარებლად, ასეთ შემთხვევაში ცუდი არაფერი არ არის. ეს გაცილებით უკეთესი დინამიკური პროცესია, ვიდრე ოდესმე გვინახავს.

***— ოპოზიციური პარტიების ნაწილი საუბრობს იმის შესახებ, რომ მოლაპარაკებები ხელისუფლებასა და 8 ოპოზიციურ პარტიას შორის საარჩევნო კოდექსის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ჩიხში შევიდა, უარი ეთქვათ ბიომეტრიულ პასპორტებზეც. რამდენად რეალურია, რომ არჩევნების გზით წავიდეს ეს ხელისუფლება?***

— ჩიხში შესვლას რაც შეეხება, ჩიხში შევიდა ხელისუფლება. მე შემიძლია ეს ვთქვა პირდაპირ, მაშინ როდესაც მთელი დემოკრატიული სტრუქტურები, ყველა საერთაშორისო წარმომადგენლობა, ჩვენი მეგობარი ქვეყნის საელჩოები არიან დარწმუნებულნი იმაში, რომ ხელისუფლება გადადგამს საარჩევნო კოდექსის გაუმჯობესებისაკენ რეალურ ნაბიჯებს და მათი მხრიდანაც ასეთი დაპირებები იყო სერიოზული. თუ ამას არ განახორციელებენ, ასეთ შემთხვევაში ოპოზიციური პარტიები კი არ ვარდებიან უხერხულ მდგომარეობაში, არამედ, ცუდ მდგომარეობაში ვარდება თვითონ ხელისუფლება, რომელსაც თავი აქვს სამართლებელი არა მარტო საკუთარი მოსახლეობისა და ოპოზიციური სპექტრის წინაშე, არამედ, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და თავიანთ კეთილისმყოფელებთან დასავლეთში, რომელთაც უმტკიცებენ ამდენი წელიწადია, რომ ისინი დემოკრატები არიან. რითი უნდა იყოს უარი დასაბუთებული, როცა ოპოზიცია სთხოვს ხელისუფლებას, ერთ ამომრჩეველს ჰქონდეს მხოლოდ ერთი ხმის მიცემის უფლება და ეს იყოს გარანტირებული. ამაზე როცა უარს ამბობს ხელისუფლება, რა არის მათი მხრიდან თავის გასამართლებელი, ის, რომ ძვირი ჯდება? დათვლილი აქვთ ისე, რომ სასაცილოა უბრალოდ. ათჯერ უფრო ნაკლები ჯდება, ვიდრე მათ წარმოადგინეს. საერთოდ მინდა, რომ ამ ფაქტს მიაქციოს ყურადღება თქვენი გაზეთის მკითხველმა, როდესაც ბიომეტრიული პასპორტების მონაცემთა ბაზის შექმნისთვის ისინი ასახელებენ ათჯერ უფრო დიდ ციფრს, ვიდრე რეალურად არის საჭირო. ე.ი. საქართველოს ბიუჯეტიც ასეთ სავალალო მდგომარეობაშია და ათჯერ მეტს ხარჯავენ იმაში, რაც შეიძლება გაცილებით იაფად გაკეთდეს. რაც შეეხება ამ რვა ოპოზიციური პარტიის საქმიანობას, მინდა გითხრათ, რომ ეს არის ძალიან სერიოზული პროექტი და ამ სერიოზულ პროექტს აუცილებლად ექნება თავისი წარმატება. თუკი გაჭიანურდება ეს პროცესი და ამას თან რადიკალური პარტიების ქმედებები დაერთვება, ეს კიდევ ერთხელ იქნება ძალიან მნიშვნელოვანი და სერიოზული არგუმენტი ხელისუფლებისათვის, რომ მან ეს ნაბიჯები გადადგას საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით.

***— წინააღმდეგ შემთხვევაში, დასავლეთის მხარდაჭერის იმედი არ უნდა ჰქონდეთ?***

— მე ვფიქრობ, რომ დასავლეთში უკვე ჩამოყალიბებული პოზიციაა, დემოკრატიული ქვეყნები იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება უნდა იცვლებოდეს, პრეზიდენტი მხოლოდ უნდა იყოს ქვეყნის სათავეში. ამის შემდეგ შენ რომ გაითამაშო პუტინის ვარიანტი და პრეზიდენტობის



შემდეგ გადახვიდე პრემიერად, მერე ისევ პრეზიდენტობას უმიზნებდე და ასე შემდეგ, ეს არის უბრალოდ მამაძაღლობა და მეტი არაფერი. ასეთი ტიპის მამაძაღლობებს არც ამერიკელები, არც ევროპელები და არც ჩვენი მეგობრები სხვა დემოკრატიული ქვეყნებიდან არ დაუჭერენ ამას მხარს. ეს ძალიან კარგად იცის მიხეილ სააკაშვილმა. მინდა გითხრათ, რომ მათი მდგომარეობა საერთაშორისო თვალსაზრისით დღეს არის სრულიად შეცვლილი, სრულიად სხვაგვარი, ვიდრე ეს იყო თუნდაც 2 წლის წინ. მაშინაც კი, როცა ომი მოხდა აგვისტოში და როცა ძალიან სერიოზული რყევები იყო მოსალოდნელი ქვეყანაში, მაშინაც კი უფრო მეტი მხარდაჭერა ჰქონდა მიხეილ სააკაშვილს დასავლური სამყაროსაგან, ვიდრე დღეს აქვს, ვინაიდან ძალიან მკაფიოა მესიჯი, რომ დემოკრატიული საზოგადოების, დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ნიშანია, რომ უნდა იცვლებოდეს ხელისუფლება პერიო-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

**მისამართი:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
**ტელეფონი/ფაქსი** 95-25-89
**ვებ-გვერდი** www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# დეპუტატების ნაწილი გასაქცევად ემზადება

## ინტერვიუ „ქართული პარტიის“ პოლიტიკურ მდივან ეროსი კიწმარიშვილითან

***— რამდენიმე დღის წინ თქვენ განაცხადეთ, რომ შესაძლოა საქართველოში აღმოსავლეთის ქვეყნების სცენარის განვითარება და აქვე დასძინეთ, რომ „ქართული პარტია“ იქნება რევოლუციის წამომწყები, რას აპირებთ, ბატონო ეროსი?***

— მოდით დავაზუსტოთ, ჩვენ ვთქვით, რომ თუ ხელისუფლება არ მისცემს საზოგადოებას იმას, რასაც ხალხი მისგან ითხოვს, ვგულისხმობ, თავისუფალ მედიას, ბიზნესს, საარჩევნო გარემოს და არაპოლიტიკურ პოლიციას, მაშინ ხალხს აჯანყების უფლება ექნება-მეთქი. რევოლუცია ჩვენ, ნამდვილად, არ დაგვიანონსებია. ჩვენ, ასევე აღვნიშნეთ, რომ ხელისუფლებამ თავად უნდა აირჩიოს როგორ უნდა წავიდეს ქვეყანაში პროცესები, რევოლუციურად თუ ევოლუციურად.

***— თუმცა, თქვენ აღნიშნეთ, რომ ქვეყანაში პროცესები გამწვავდება და ამ პროცესების მმართველი და ლიდერი „ქართული პარტია“ იქნება...***

— ჩვენ შევქმენით პარტია, რომელიც თავისი პოლიტიკური გუნდის შემადგენლობით, ცოდნით და ამბიციით ხელისუფლების ალტერნატივაა. ბუნებრივია, ჩვენ ვიქნებით ავანგარდში იმ პროცესის, რასაც საქართველოში რეჟიმის შეცვლა ჰქვია.

***— და მაინც, ქვეყანაში არსებული უკიდურესად მძიმე სოციალური ფონის გამო ელით თუ არა მდგომარეობის დაძაბვას?***

— 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოში სრულიად სხვა პოლიტიკური ვითარება შეიქმნა. ხელისუფლება საზოგადოებრივ განწყობას არ ასახავს და სწორედ აქედან გამომდინარეა ბოლო 3 წელი საქართველოში პერმანენტული კრიზისი. ცნობილი ამერიკული გამოთქმაა: „ნო ჯასთის, ნო ფიის“, ანუ „არ არის სამართალი, არ იქნება მშვიდობა“. ასე რომ სანამ ხელისუფლება საზოგადოებრივ განწყობას არ ასახავს, ქვეყანაში მშვიდობა არ იქნება. ეს რაც შეეხება პოლიტიკურ არასტაბილურობას, ახლა, რაც შეეხება სოციალურ უსამართლობას. სააკაშვილმა პარლამენტში სპექტაკლი დადგა, რომ თითქოს ქვეყანაში კორუფცია არ არსებობს. ამავდროულად, კი პარლამენტის წევრი, რომელიც 600 ათას იხდის თავისი კომპანიებიდან იმისთვის, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ იყოს წარმატებული, უმალვე რეჟიმის მხრიდან 1 ლარად საირმის კომპლექს იღებს, რა მიზნით მაგას მნიშვნელობა აღარ აქვს. ეს დეპუტატის უფლებამოსილებასთან შეუთავსებელი რამ არის და ეს არც მეტი, არც ნაკლები კორუფციაა. აბა, სხვა ელიტარული კორუფცია რა არის იქნებ ვინმემ ამიხსნას?

***— არადა, ხელისუფლება ირწმუნება, რომ ქვეყანაში კორუფცია არ არის...***

— ამიტომაც ჩვენ, ვამბობთ, რომ ერთისმხრივ ქვეყანაში მწვავე პოლიტიკური არასტაბილურობაა და პლიუს, უმძიმესი სოციალური ფონია, რომელიც ყოველდღიურად აიძულებს ადამიანს უცხოეთში წავიდეს სამუშაოდ. ან ყველაფერი რაც აბადია გაყიდოს. ერთადერთი ნიშანი რითაც დღეს საქართველოში შესაძლებელია წარმატებული იყო არის ნეპოტიზმი, ან კრონიზმი, ანუ ან ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენლის ნათესავი უნდა იყო, ან კლანის წევრი. აი, ეს არის ის, რაც ბადებს ხალხში განწყობას და აუცილებლობას იმისა, რომ ეს რეჟიმი რაც შეიძლება სწრაფად დამთავრდეს.

***— ეგ ყველაფერი გასაგებია, მაგრამ გვითხარით რა გზით გეგმავთ ხელისუფლების შეცვლას, არჩევნების თუ, ასე ვთქვათ, რევოლუციის?***

— ჩვენ, ჯერ-ჯერობით, არც ერთი გზა არ გამოგვირიცხავს. არათავისუფალი მედიის, საარჩევნო გარემოს, პოლიტიკური წნეხის ქვეშ მყოფი ბიზნესის და პოლიტიკური პოლიციის არსებობის გამო ვთვლით, რომ ქვეყანას მართავს ავტორიტატული რეჟიმი და თუ ყველა ვთანხმდებით ამაზე და მივიჩნევთ, რომ ეს სერიოზული პრობლემაა, მაშინ დავსხდეთ ყველანი ერთად და მოვიფიქროთ გამოსავალი არსებული მდგომარეობიდან. ჩვენ ორი ვარიანტი გვაქვს: ომი ან მშვიდობა, რევოლუცია ან ევოლუცია, არჩევნები ან საპროტესტო აქციების გზით შედეგის მიღწევა, ამ ორ გზას შორის არჩევანი გარკვეული კონსესუსის პირობებში უნდა გაკეთდეს. დღეს, საუბარი მიდის ე.წ პოლიტიკური რვიანის ფორმატში, სადაც თურმე ოპოზიციას წარმატებისთვის მიუღწევია.

***— დიახ, ალასანია დარწმუნებულია, რომ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას შეძლებენ...***

— არ ვიცი, ვინ რაშია დარწმუნებული, მე, ვიცი, ის, რომ რა შედეგს ველოდებით და რა ვადებში ამაზე პასუხი არ მაქვს.

***— იგივე, ალასანიას თქმით, მოლაპარაკებები წესით მაისის ბოლოსთვის უნდა დასრულდეს...***

— და რომ არ იქნება მაისის ბოლოსთვის ეს საკითხები მოგვარებული შემდეგ რა ხდება? შემდეგ, იქნება ახალი მოლა ნასრედინის ვირის თივა, რომელსაც ხელისუფლება დაუკიდებს და გარკვეული ჯგუფი კიდევ 8 თვით იმოძრავებს რაღაც მოლოდინებში? ამ ილუზიებში ყოფნა რაც შეიძლება მოკლე ვადებში უნდა დამთავრდეს და უნდა ითქვას არის, თუ არა ეს რეჟიმი ამ ყველაფრის დამთმობი. აქ საუბარი იმაზე კი არ არის დათანხმდება თუ არა საარჩევნო კოდექსში რაიმე ლამაზი ფორმულირების ჩაწერას სააკაშვილი ან გოგორიშვილი არა, არამედ იმაზე იქნება თუ არა ის ხუთი ნიშან-თვისება, რომელზეც ზემოთ გესაუბრეთ შესრულებული. თუ ეს მოხდება მაშინ გაიმარჯვებს არჩევნები და თუ ეს არ მოხდება მაშინ ვიმეორებ, დავსხდეთ და მოვილაპარაკოთ რა გზით ვიაროთ და როდესაც მოვილაპარაკებთ და შევთანხმდებით, რომ გზა არის ეს, შემდეგ უკვე, ჩვენ მზად ვართ, ვიყოთ პარტნიორულ რეჟიმში ყველა ოპოზიციურ ძალასთან.

***— მზად ხართ, რომ ბურჯანაძესთანაც ითანამშრომლოთ?***

— ჩვენ, მინუს ფორმულების მომხრე არ ვართ. ჩვენი მიდგომა არის მარტივი, გვაქვს განსხვავებულობა, ეს განსხვავებულობა არ ღირს იმად, რომ საქართველოს ინტერესები დავწიოთ უკან და წინ ჩვენი პერსონალური ასპექტები დავაყენოთ. არსებული რეჟიმი რაც შეიძლება მალე უნდა დავამთავროთ, მით უმეტეს, მაშინ როდესაც ისინი ქვეყანას ვერაფერს ახალს ვერ სთავაზობენ.

***— ანუ თვლით, რომ ხელისუფლებას ქვეყნის ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსაყვანად არანაირი გეგმა არ გააჩნია და ყველანაირი რესურსი ამოწურა?***

— ბოლო 7 წლის განმავლობაში ხელისუფლების უამრავი გეგმა მაქვს მოსმენილი, ახლა, მათი ახალი, მოდური სიტყვაა — მოდერნიზაცია. რისი მოდერნიზაცია ვერ მეტყვით? იმის, რომ პოლიციას კიდევ უფრო ბრჭყვიალა შენობა ჰქონდეს და ხელში მეტად ბრჭყვიალა პლანშეტი ეკავოს, რომ გადასახადები ამოიღოს? თუ ეს არის მოდერნიზაცია, მაშინ ამ მოდერნიზაციას ხალხმა, ფაქტობრივად, ზურგი უნდა აქციოს, რადგან ეს მათ არაფერს აძლევს. მოდერნიზაციის გეგმაა ფასების მოდერნიზაცია? ფასების კოსმოსში წასვლა? ხელისუფლებას არანაირი გეგმა არ აქვს.

***— მოდით, დავაზუსტოდ როგორია თქვენი სამოქმედო გეგმა დღეისთვის, სოფიო ხორგუანმა განაცხადა, რომ გაზაფხულიდან აქციები დაიწყებოდა, აქციების გამართვას როდისთვის გეგმავთ ?***

— როდის დაიწყება მასობრივი აქციები ამის თქმა არავის შეუძლია და ამის დაანონსებას ჩვენც არ ვაპირებთ, რადგან ყველაფერი დამოკიდებულია იმ დღის წესრიგზე, რომელსაც შევქმნით. ჩვენ ვგეგმავთ, რომ გაზაფხულის შუა რიცხვებისთვის პარტიის რიგებში გაწევრიანებული გვყავდეს 50 ათასი აქტიური წევრი, ეს არის ჩვენი დღევანდელი ამოცანა, რადგან ყველა სხვა შემთხვევაში თუ რაიმე პროცესი დაიწყება, ჩვენ არ ვიქნებით მზად იმისთვის, რომ მამოძრავებელი ფუნქცია განვახორციელოთ. რაც შეეხება, მთავარ საკითხს, იმას რაც დღეს ყველას აინტერესებს, ანუ როდის დამთავრდება ეს რეჟიმი, გეტყვით, რომ ეს მეც მაინტერესებს.

***— სუბარმა ხომ განაცხადა, ხელისუფლებას შეცვლას წელსვე ვაპირებთო...***

— ჩვენ ვამბობთ, რომ პოლიტიკური გაზაფხული უკვე მოვიდა, ცვლილებების სუნი არის საკმაოდ მძაფრი. ის რაც ახლოაღმოსავლეთში ხდება სერიოზული მაგალითია მთელი მსოფლიოსთვის და ასევე ძალიან მნიშვნელოვანი რამ მოხდა, რაც მინდა ზუსტად დააფიქსიროთ. იცით, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ რატომ არ იქნა რეალიზებული ხალხის პროტესტი? ერთ-ერთი მარტივი მიზეზის გამო. მაშინ ოპოზიციის მიდგომაში იყო ერთი მნიშვნელოვანი პოსტულატი, ისინი თვლიდნენ, რომ თუ დასავლეთი ამ პროცეს მხარს არ დაუჭერდა ლეგიტიმაცია ნებისმიერი აქტივობის იქნებოდა დაბალი ან საერთოდ არ იარსებებდა. დღეს, კი ჩვენ ბოლო დღეების ამბებმა დაგვანახა, რომ დასავლეთის პოზიცია რევოლუციების მიმართ არის ადეკვატური. ანუ მათი მიდგომები შეიცვალა. მათივე მხარდაჭერილი პოლიტიკოსი, ჰოსნი მუბარაქი მიტოვებული იქნა მათ მიერ, რადგან მან განახორციელა ისეთი რამ რის წინააღმდეგაც ხალხი გამოვიდა და საბოლოოდ, ხალხია ხომ ყველაფრის სათავე. მაშინ ოპოზიცია თვლიდა, რომ მხოლოდ არჩევნები იყო ერთადერთი გზა და სხვა ყველაფერი ლეგიტიმაციის გარეთ იყო და იმიტომაც დასრულდა პროცესები უშედეგოდ. ისე, ზოგიერთი ოპოზიციონერი ამ გაუგებარ საუბარს დღესაც განაგრძობს და მე, გაჩვენებთ თქვენ ერთი თვის შემდეგ ეს ადამიანები როგორ შეცვლიან რიტორიკას. დიახ, გაჩვენებთ იგივე ადამიანები, რომლებიც აცხადებენ, რომ ეს ყველაფერი არასწორია, როგორ იტყვიან, რომ აუცილებელია ის იძულებები, რომელზეც დღეს, ჩვენ ვსაუბრობთ. მე, არ ვიყენებ იმ სიტყვებს, რომელსაც ბოლო დღეების განმავლობაში ტირაჟირებას უკეთებენ სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებში, სადაც სისხლზეა საუბარი, რაც აბსურდია.



## ნაციონალებში განხეთქილება დაწყებულია

***— თავად თქვენმა თანაგუნდელმა, გაჩეჩილაძემ ახსენა სისხლი, მან ხომ ბაქრაძის თამადობით მოუწოდა ყველას ოპოზიციის მხარეზე გადმოსვლა და ამ შემთხვევაში ყველაფერის უსისხლოდ დამთავრდება, „ნაციონალები“ თქვენსკენ არ იქნებიან და რა გამოდის, სისხლი დაიღვრება?***

— საუბარი მიდის იმაზე, რომ ჩვენ გვინდა მშვიდობიანი პროცესის წარმართვა და ჩვენ ვრჩებით მშვიდობიანი პროცესის წარმართვის ფარგლებში. 2003 წლის მსგავსად თუ ქუჩაში გამოვა უამრავი ადამიანი ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდება. მაშინაც ასე ვუთხარი რუსთავი 2-ის ნიუსრუმში ჟურნალისტებს, მახსოვს ციფრიც ვუთხარი, თუ 150-200 ათასი კაცი გამოვა ქუჩაში-მეთქი ყველაფერი დამთავრდება მშვიდობიანად-მეთქი. ასეთ დროს თითის გაძრევას ვერანაირი ხელისუფალი ვერ გაბედავს.

***— ფიქრობთ, რომ სააკაშვილი ძალაუფლებას დათმობს და უსისხლოდ წავა?***

— დიახ, თუ საზოგადოება იქნება ერთიანი სააკაშვილი თითის გატოკებასაც ვერ გაბედავს. ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რომ უსისხლოდ, მოკლე ვადებში გადავჭრათ ეს პრობლემა. შესაბამისად, ბაქრაძისადმი მიმართვის პათოსიც არის მარტივი. ლევანი გამოდის შემწყნარებლური პოზიციიდან და ამბობს, რომ იმ ადამიანებს, რომლებსაც სისხლის სამართლის დანაშაული არ ჩაუდენიათ ჯერ კიდევ აქვთ შანსი გახდნენ პროცესის მშვიდობიანი დამთავრების თანამონაწილე. აი, ეს არის შეთავაზების არსი. იცით, ბაქრაძე და საერთოდაც, ეს წრე ძალიან შეშინებულია. ბევრი ნაციონალი პარლამენტარი მოდის ჩვენთან. ისინი ჩვენ კულუარულად გვხვდებიან.

***— ამ ნაციონალების სახელებს და გვარებს არ გვეტყვით?***

— ვიმეორებ, ბევრი პარლამენტარი. მეტიც, ისინი უკვე ამზადებენ გასაქცევ სეგმენტებს, ეს პროცესი დაწყებულია.

***— ანუ თვითონ „ნაციონალებშია“ განხეთქილება?***

— დიახ, თუმცა, ეს არ სჩანს. ადამიანები ემზადებიან იმისთვის, რომ რაიმე ფორმით თავი გადაირჩინონ. ჩვენ კი ვთავაზობთ მათ, რომ გამოვიდნენ პოლიტიკური პასუხისმგებლობიდან ამ მოსალოდნელი პროცესისა და პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე აიღონ.

***— არის ქვეყანაში რევოლუციური სიტუაცია, საზოგადოება მომწიფებულია რევოლუციისთვის?***

— დღეს, საქართველოში ღრმად გამწვავებული, სოციალურ-ეკონომიკურ- პოლიტიკური სიტუაციაა. შესაბამისად, რამდენად არის ეს რევოლუციური და რამდენად გადაიზრდება ეს ყველაფერი რევოლუციაში სააკაშვილის ადეკვატურობაზეა დამოკიდებული და საკმაოდ ცოტა დრო აქვს მას, რომ ის იყოს ადეკვატური ამ გამოწვევების მიმართ, რადგან უკუთვლა დაწყებულია.

***— თქვენ განაცხადეთ, „ქართული პარტია“ იზრუნებს იმაზე, რომ ქართულ-რუსული ურთიერთობები მოწესრიგდეს და ყველაფერი მშვიდობიანი გზით მოგვარდესო, ამ ყველაფერს როგორ აპირებთ?***

— პირველ რიგში, ჩვენ გვაქვს ცოდნა იმისა თუ როგორ შევცვალოთ ურთიერთობის ვექტორი უკეთესობისაკენ და მე, როგორც ბოლო ელჩი საქართველოსი რუსეთში მათ საკმაოდ კარგად ვიცნობ. ჩვენ, ასევე დიდი კომუნიკაციის მექანიზმი გაგვაჩნია. ვგულისხმობ, საქართველოს ყოფილ მოქალაქეებს, რომლებიც რუსეთში ცხოვრობენ და ეს უზარმაზარი აქტივია. და ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენ უნდა ვიყოთ თანამიმდევრულები, რაც სააკაშვილმა გააფუჭა. საკმაოდ რთულია რუსეთთან ურთიერთობა, რადგან ის რთულად საურთიერთო პარტნიორია, მაგრამ ჩვენ ამ მოცემულობებიდან გამომდინარე გვაქვს ცოდნაც, გამოცდილებაც და რაც მთავარია, პრინციპებიც იმისათვის, რომ ვიურთიერთოთ რუსეთთან. იცით, მე, არ ვსაუბრობ ჰიპოთეტურად, მე დავინახე, რომ 2008 წლის 7 აგვისტომდე ჩვენ გვქონდა იმის შანსი, რომ არათუ ომი მომხდარიყო, არამედ უზარმაზარი გარღვევები გვქონოდა ურთიერთობაში. რუსეთის პრეზიდენტი სექტემბერში პირველი ოფიციალური ვიზიტით საქართველოში ჩამოდიოდა. ეს იცოდა სააკაშვილმა და მიუხედავად ამისა, მაინც წავიდა ავანტურაზე, რადგან მან დაინახა, რომ 2007 წლის საპროტესტო კრიზისის შემდეგ ხალხმა მას ზურგი აქცია და აი, ამიტომ დაისახა მან მიზნად დაკარგული ტერიტორიების უმალვე დაბრუნება, რომ ხალხმა 2003 წლის მსგავსად ისევ ხელში ატაცებული მატაროსო. ეს ამბიცია ჰქონდა მას და მან ეს ამბიცია და პატივმოყვარეობა საქართველოს ინტერესებზე წინ დააყენა.

***— და ბოლოს, ჟურნალისტმა, ელისო კილაძემ პრესასთან განაცხადა, რომ თქვენ გასულ კვირას ევროპაში კი არა, არამედ რუსეთში იმყოფებოდით და აქტიურ კონსულტაციებს მართავდით პუტინთან დაახლოებულ მაღალჩინოსნებთან და რუსეთი გაფინანსებთ, ამაზე რას იტყვით და იქნებ გვითხრათ საიდან ფინანსდება „ქართული პარტია“?***

— იცით, არც მე და არც გაჩეჩილაძე პოლიტიკაში სახელმწიფო სამსახურიდან არ მოვსულვართ. ჩვენ საკმაოდ წარმატებული ბიზნესმენები ვიყავით. აქედან გამომდინარე, ეგ კითხვა არალეგიტიმურია. რაც შეეხება, ამ ქალბატონს, არ ვიცნობ და მისი ნათქვამი მჩხიბაობაა და მეტი არაფერი. რაც შეეხება, ჩემს ვიზიტებს გეტყვით, რომ აბსოლიტურად ყველგან ღიად ჩავდივარ. მე, პოლიტიკური მდივანი ვარ და ლეგიტიმური უფლება მაქვს ვიმოძრაო ყველა მიმართულებით, ჩრდილოეთის, დასავლეთის, თუ ოკეანისგაღმა და აქტიურად ვმოძრაობ კიდეც. პარტიის შიგნით მშენებლობის პროცესით ვართ დაკავებული და ბოლო 5-6 თვეა რაც მოსკოვში არ ვყოფილვარ. ისე, მოსკოვში საკმაოდ მაღალი დონის შეხვედრები მაქვს ხოლმე. მე, პოლიტიკურ წრეებთან ურთიერთობა მაქვს ვაშინგტონში და მოსკოვშიც და ვფიქრობ, რომ ეს აქტივია და არა პასივი.

**ქეთი ხომერიკი**

დასაწყისი მე-2 გვერდზე

# ხელისუფლება ჩიხში შევიდა

დულად და ამის შესაძლებლობას თავად ხელისუფლება უნდა ქმნიდეს. როდესაც არ ქმნი, შენ რამდენიც გინდა იძახე, ჩემმა რეიტინგებმა მსოფლიო ბანკის რეიტინგში მოიმატაო. თურმე მოიმატა რეიტინგებმა ბიზნესგარემოს თვალსაზრისით და რამდენი ტორტიც არ უნდა გაჭრან ახლა აქ და რამდენი შამპანურიც არ უნდა დალიონ, ამის მიუხედავად, ყველასთვის ყველაფერი ნათელია, ამ ქვეყანაში ავტორიტარული რეჟიმია და ავტორიტარული რეჟიმების მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ძალიან მკაფიო მესიჯი გააკეთა. ის, რაც ხდება დღეს იგივე ეგვიპტესა თუ ლიბიაში ან იორდანიაში, ეს ყველაფერი არის ერთგვარი ტონის მიმცემი იმ პროცესებისა, რომლებიც მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს დემოკრატიის გამყარების თვალსაზრისით.

***— ბატონო ზვიად, თქვენ ეროვნული საბჭო ახსენეთ და კახა კუკავამ განაცხადა, რომ მან ეროვნული საბჭო დატოვა. თქვენ შორის აზრთა სხვადასხვაობა გახდა ამის მიზეზი? ის აცხადებს, რომ საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით მოლაპარაკებებმა აზრი სრულიად დაკარგა...***

— ესეც არის. ახლა პარტიების გადაჯგუფებები მიდის, კახა ნიჭიერი კაცია და იმედია, რომ რომელ დაჯგუფებასთანაც მონახავს საერთო ენას, იქაც აქტიური და ნაყოფიერი იქნება მისი საქმიანობა. რაც შეეხება იმას, რომ აზრი არა აქვს ხელისუფლებასთან ლაპარაკს, ეს არის თემა, რომელზეც შეიძლება დაუსრულებლად ვიკამათოთ. აზრი შეიძლება არ ჰქონდეს არც ქუჩაში აქციებს, იმ ლოგიკიდან გამომდინარე, რომელიც ჩვენ ვნახეთ ბოლო სამი წლის განმავლობაში. აზრი აქვს ყველაფერს, როდესაც რაიმეს თანმიმდევრულად აკეთებ. აზრი ეკარგება საქმიანობას მხოლოდ მაშინ, როდესაც დღეს ერთი მიმართულებით გადადგამ ნაბიჯს, ხვალ მეორე მიმართულებით, ზეგ კი მესამე მიმართულებით. ამით ფაქტიურად ახდენ შენი ენერგიის გაფანტვას და არაეფექტურ ხარჯვას. კახას სურვილი აქვს რევოლუციურ საქმიანობაში მონაწილეობის. უბრალოდ, წარმატება მინდა ვუსურვო, ეს ჩვეულებრივი ამბავია, პოლიტიკურ ცხოვრებაში ადამიანები თავიანთი გემოვნებისა და სურვილების შესაბამისად აკეთებენ ხოლმე არჩევანს და არანაირი პრობლემა ამაში არ არის. ჩვენ ჩვენი საქმე გვაქვს, ეროვნულ საბჭოში ვაპირებთ უკვე გაზაფხულიდან ჩვენი თემებისა და საქმიანობის გაშლას და ასევე მინდა, კახასაც წარმატებები ვუსურვო.

# რის ხარჯზე შენდება საავადმყოფოები

შორენა კოწოწაშვილი

ეკონომიკური და სასურსათო კრიზისის პირობებში ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში სოლომონ პავლიაშვილი მნიშვნელოვნად მიიჩნევს სოფლის მეურნეობისთვის 150 მლნ-ის გამოყოფას. მისი თქმით, აუცილებელია სოფლის მეურნეობის სექტორისადმი სწორი მიდგომა და შედეგიც შესაბამისი იქნება.

სოლომონ პავლიაშვილი ყურადღებას ამახვილებს ეკონომიკის სხვადასხვა ასპექტში არსებულ ხარვეზებზე და მიანიშნებს, რომ სწორი ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის გატარების შემთხვევაში ქვეყანა ამ კრიზისს თავს დააღწევს, დაზღვევის კუთხით არსებულ ვითარებას კი ფაქტობრივად უკანგადადგმულ ნაბიჯად ფასებს.

გთავაზობთ ინტერვიუს ექსპერტ სოლომონ პავლიაშვილთან.

***— ბატონო სოლომონ, რამდენად რეალურია პრეზიდენტის დაპირება, რომ ოთხ წელიწადში ჩვენი ეკონომიკა გაორმაგდება?***

— გაორმაგება ნიშნავს ეკონომიკის 100%-იან ზრდას. დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე თუ შევაფასებთ 2010 წელს, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ შეადგინა 4,5-5%, 2011 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულია, რომ მშპ გახდეს 22 მლრდ ლარი. ე.ი. გამოდის, რომ ეკონომიკის საშუალოდ წლიური ზრდა უნდა იყოს 23-25% და მშპ უნდა გახდეს 4 წელიწადში დაახლოებით 45 მლრდ ლარი, რაც ეკონომიკური საზომით თითქმის წარმოუდგენელია და არც ერთ ქვეყანას არ ჰქონია ასეთი „ნახტომი“. აქვე მინდა დავამატო, რომ 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს თან ერთვის 2011-2014 წლების საქართველოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები, სადაც 3 წელიწადში ჯამურად დაახლოებით 20 პროცენტის მატებაა ნავარაუდევი. შესაძლოა, განსაკუთრებული სტრატეგია ჰქონდეს შემუშავებული ჩვენს პრეზიდენტს, რომელიც ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია. აქვე არ ვიქნები ობიექტური, რომ არ აღვნიშნო, ის, რომ პრეზიდენტმა ინფლაციასთან დაკავშირებით სავსებით ადეკვატური, პროფესიონალურად და თეორიულად გამართლებული პასუხი გასცა, როცა ინფლაციის ზრდის ტემპებზე საუბრობდა და ზოგიერთი ექსპერტისა და პოლიტიკოსის მიერ გამოთქმული შენიშვნები უშუალოდ ამ კომენტართან დაკავშირებით ჩემთვის მიუღებელია. ინფლაცია თავისი ეკონომიკური ბუნებით მალე ვლინდება, მალე ჩნდება, ხოლო მისი დაძლევის გზები საკმაოდ ხანგრძლივია.

***— რაც შეეხება ვაუჩერებს, ნუთუ ჩვენს მოსახლეობას ეს 50 ლარი ჯამში რამეს შეუმსუბუქებს?***

— იმის თქმა, რომ ამ დახმარებას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, უაზრობა იქნება. გასაგებია, რომ ეს არ არის გამოსავალი, მაგრამ გარკვეული ცდა და პატარა ნაბიჯი უდავოდ არის. ეს 50 ლარი, საბოლოო ჯამში, ერთი ტომარა ფქვილია. პრობლემა უფრო ის არის, რომ ამ ვაუჩერების მიმღები კონტინგენტის განსაზღვრა იყო ნაჩქარევი და ვიტყოდი — არასწორი. როგორ შეიძლება, ერთნაირად მიიღონ ეს ვაუჩერი იმ ოჯახებმა, რომლებსაც წლიური შემოსავალი პირობითად 20 ათას ლარზე მეტი აქვთ და იმათ, ვისაც 2 ათასი ლარი აქვს. ალბათ, ნამდვილად სჯობდა, რომ ამ თანხების ფოკუსირება მომხდარიყო სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ ოჯახებზე. ვფიქრობ, ეს ნამდვილად ეფექტიანი იქნებოდა. ასევე გაუგებარია, როგორ შეიძლება, ვაუჩერი არ მისცე იმ ოჯახებს, რომლებიც ფინანსური უსახსრობის გამო 200 კილოვატზე ნაკლებს მოიხმარენ. ეს ხომ ის კონტინგენტია, რომლებიც მარტოხელები და ყველაზე გაჭირვებულები არიან. ე.ი. გამოდის, რომ ეკონომიურობის გამო ოჯახები უნდა დაისაჯონ. ასევე ალბათ აჯობებდა, ეს თანხები ოჯახებისთვის გადაგვეცა პირდაპირ, როგორც ვაპირებთ სასურსათო ვაუჩერის გადაცემას. არ იყო საჭირო, მოგვეხდინა კერძო ენერგოკომპანიების („რაოესი“, „ენერგოპრო“) ირიბი დაფინანსება.

***— ამ ერთი კვირის წინ ტელეკომპანია „კავკასიაზე“ თქვენ ძალზე დეტალურად ისაუბრეთ სადაზღვევო კომპანიების ირგვლივ ატეხილი სკანდალის შესახებ, ასევე ქვეყანაში სოციალური და სამედიცინო დაზღვევის სისტემის არარსებობასთან დაკავშირებით. ნუთუ ყველაფერი ასე ცუდად არის?***

— ამის გამომწვევი მიზეზები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად. ეს არის: სუბიექტური და მეორე ობიექტური — რაშიც მე ვგულისხმობ სახელმწიფო მოწყობის პრობლემას, წმინდა ინსტიტუციონალიზმის საკითხებს. ყველაზე დიდი წვლილი ამ პრობლემების შექმნაში სწორედ ამ უკანასკნელს მიუძღვის. არაფერი გასაკვირი ამაში არ არის, რომ სადაზღვევო კომპანიების წარმომადგენლები თავიანთი მოქმედებების დროს გამოდიოდნენ წმინდა კორპორაციული, კერძო ინტერესებიდან. ზოგადად სადაზღვევო კომპანიების თემა არ არის ახალი და ამის შესახებ არაერთხელ მისაუბრია. ანალოგიურად ასეთივე მაღალი მოგების მაჩვენებელი ჰქონდათ მათ 2007, 2008, 2009 წელს და ა.შ. თუ დღეს ვსაუბრობთ, რომ მათ მიღებული მთლიანი შემოსავლიდან — 284 მილიონი ლარიდან სადაზღვევო შემთხვევებს მოახმარეს მხოლოდ ამ თანხის 40%, დანარჩენი დაილექა კომპანიის შემოსავლებში. ცნობისათვის, ეს მაჩვენებელი 2007 წელს უფრო დაბალი იყო, დაახლოებით 38%. ეს გარკვეული ტრადიციაც არის, ცუდი გაგებით, როდესაც სადაზღვევო კომპანიები იღებენ გარანტირებულ სახელმწიფო დაფინანსებას გარანტირებული მაღალი მოგებით. ჩვენ ისიც გვახსოვს, როდესაც სადაზღვევო კომპანია „ალდაგის“ ინტერესების სფეროში იჯდა ეგრეთ წოდებული ავტოდაზღვევა, რომელსაც არანაირი კავშირი არ ჰქონდა კლასიკურ დაზღვევასთან. პირდაპირ გადადინება ხდებოდა მოსახლეობის ჯიბიდან სადაზღვევო კომპანიაში.

***— რას ნიშნავს გარანტირებული, მათ სახელმწიფო არ უსაზღვრავს, რა ვალდებულებები უნდა შეასრულონ სადაზღვევო კონტინგენტის ანუ მოსახლეობის მიმართ?***

— გარანტირებული ვახსენე იმიტომ, რომ ამ ხუთმა მსხვილმა სადაზღვევო კომპანიამ, რომლებიც საზოგადოებისთვის ცნობილია თითქმის ტენდერების გარეშე, ერთმანეთში გარკვეული შეთანხმებით გადაინაწილა სახელმწიფოს მიერ დაზღვეული კონტინგენტი უმწეოთა კატეგორიის სახით. ყოვლად გაუგებარია, რომ ტენდერებში გამარჯვება მოხდა რეგიონული პრინციპით. მაგალითად, ერთმა კომპანიამ მოიგო იმერეთი, მეორემ — თბილისი და ა.შ. სადაზღვევო პაკეტის ღირებულება თავიდან განისაზღვრა 180 ლარით, ხოლო შემდგომ, თუ არ ვცდები — 144 ლარით. 800 ათას უმწეოზე მათ ეს თანხები სახელმწიფოსგან სრულად მიიღეს, მიუხედავად იმისა, განახორციელეს თუ არა სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურება, რასაც ჩვენი ქართული კომპანიები გაუგებარ ტერმინს, „ზარალს“, ეძახიან. სადაზღვევო კომპანიების შემოსავლების სტრუქტურას თუ გადავხედავთ, პირველ ადგილზეა სწორედ სამედიცინო დაზღვევიდან მიღებული შემოსავალი. ეს სწორედ სახელმწიფოდან მიღებული გარანტირებული დაზღვევის „დამსახურებაა“. ძალზე გასაკვირია, რომ დღემდე არც ერთ სადაზღვევო კომპანიას არ მოუვიდა თავში, დაეზღვია სოფლის მეურნეობის რომელიმე მიმართულება. თუკი სახელმწიფოსგან მათ ასეთი უზრუნველი დაზღვეული კონტინგენტი „ჩაიგდეს ხელში“, ხომ შეიძლებოდა, გარკვეულად, საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, თავიანთი საქმიანობის სფერო განევრცოთ სოფლის მეურნეობაშიც, მაგრამ არ გააკეთეს არა მარტო იმიტომ, რომ სოფლის მეურნეობა სარისკოა, არამედ, იმიტომაც, რომ მათ დიდი შრომა დასჭირდებოდათ, რათა რაიონებში მოეძიათ აღნიშნული დაზღვევის მსურველები. მხოლოდ ახლა, ისიც გარკვეულად პიარის თვალსაზრისით, ამ გახმაურებულ ფონზე „ალდაგი ბისიაის“ ხელმძღვანელობამ მოსახლეობას შესთავაზა სოფლის მეურნეობის დაზღვევის გარკვეული პაკეტი, თუმცა, რამდენად გააკეთებს ამას, სხვა საკითხია.



უმწეო ოჯახები სახელმწიფომ უნდა დააზღვიოს

***— იქნებ დააკონკრეტოთ, რას გულისხმობთ სახელმწიფო მოწყობის ინსტიტუციონალიზმის პრობლემაში?***

— დავიწყებ იმით, რომ შეცდომა იქნა დაშვებული ჯერ კიდევ 2004-2005 წელს, როდესაც ყოვლად გაუგებარი მიზეზებისა და ზოგიერთი მაშინდელი ჩინოვნიკის ახირების

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# ქვეყნის გამაერთიანებელი ხელისუფლება დევნილებს ასე სასტიკად არ მოექცევა!

## რატომ არ უყვარს სააკაშვილს აფხაზეთიდან დევნილები



გულიკო ბალა ე

„დევნილთა კონგრესი“ გამოეხმაურა ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ ამ ორგანიზაციის ერთ-ერთ დამფუძნებელ თენგიზ ლომიასთან ინტერვიუში გამოთქმულ მოსაზრებებს. მისი თავმჯდომარე, გენერალი დავით გულუა, არ ეთანხმება ინტერვიუერის განცხადებებს. ამის თაობაზე გთავაზობთ ინტერვიუს დავით გულუასთან.

ამასთანავე, აღვნიშნავთ, რომ ამ საკითხზე განცხადება გააკეთა რუსეთში მოღვაწე ქართველმა ბიზნესმენმა მინდია გულუამ. მან თავისი აზრი ინტერნეტში გამოაქვეყნა, სადაც ის აცხადებს, რომ ბედნიერია, თუ ქართველ დევნილებს ეხმარება.

***— ბატონო დავით, დევნილთა კონგრესის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა თქვენი ორგანიზაციის წარმომადგენელთა პოზიციები გააკრიტიკა. მისი თქმით, თქვენი ორგანიზაცია არც დევნილებს უჭერს მხარს და არც ომის ვეტერანებს. რაც მთავარია, რუსული ფულით ფინანსდება. რა შეგიძლიათ თქვათ ამასთან დაკავშირებით?***

— იყო დევნილთა კონგრესი, არავითარი მხარი არ დაუჭირო დევნილებს, ორგანიზაციაში გყავდეს აფხაზეთის ომის ვეტერანების აბსოლუტური უმრავლესობა და არავითარი მხარი არ დაუჭირო ვეტერან მეომრებს, ეს, უბრალოდ, წარმოუდგენელია. მაშინ ასეთ ორგანიზაციას მხარს ვინ დაუჭერს, რა მოიზიდავდა ადამიანს ასეთ ორგანიზაციაში? ასე რომ იყოს, ჩვენს ორგანიაზციას ის ავტორიტეტი არ ექნებოდა, რაც მას აქვს.

***— რამდენი წევრი გყავთ?***

— დევნილთა კონგრესში გაერთიანებულია 15-მდე დევნილთა და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია. კონგრესის მთავარი პრიორიტეტია, გავაერთიანოთ ყველა, პარტიული კუთვნილების მიუხედავად, ვინც ქვეყანაში საქართველოს მთლიანობის აღდგენისა და დემოკრატიის დამკვიდრებისთვის იბრძვის. შეუძლებელია გავაერთიანოთ ქვეყანა, დავიბრუნოთ აფხაზეთი ისე, რომ საქართველოს ეს ნაწილი არადემოკრატიული იყოს. ქვეყნის დემოკრატიულობაზე პირდაპირაა დამოკიდებული უცხოეთის, საკუთარი ხალხის, თითოეული ჩვენგანის მხარდაჭერა. ამიტომ ჩვენ ორ საკითხს ვწევთ წინა პლანზე — ქვეყანა უნდა იყოს დემოკრატიული, სამართლიანი, სამართლებრივ პრინციპებზე აგებული და შემდეგ უნდა გადაწყვიტოს ჩვენი ტერტორიული მთლიანობის საკითხი. ამ პრინციპებს ყოველდღიურად ცხოვრებაში ვატარებთ.

***— მაშინ რატომ ამბობს კონგრესის ერთ-ერთი დამფუძნებელი, რომ თქვენ დევნილებს მხარს არ უჭერდით, როცა მათ თავიანთი ჩასახლების ადგილებიდან ასახლებდნენ?***

— ძნელია თქმა, ის რატომ ამბობს ამას...

***— როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი?***

— თქვენ ახლა წინ გიდევთ ჩვენი განცხადებები ამ საკითხზე. პირდაპირ გეტყვით — ამ საკითხთან დაკავშირებით ცალსახად ნეგატიური პოზიცია გვაქვს. ხელისუფლება, რომელსაც გეგმაში აქვს საქართველოს გაერთიანება, დევნილებთან ასეთ ურთიერთობაში არ შევა. არსად გვეჩქარებოდა იანვარ-დეკემბერში, სიცივესა და უბედურებაში, დევნილები რეგიონებსა და ქუჩაში რომ არ გაგვეყარა.

***— ხელისუფლება, რომელიც ზამთარში დევნილებს საცხოვრებლებიდან ყრის, ყოვლად მიუღებელია...***

— დიახ. მონღოლებიც კი საქართველოში გაჭირვებული ხალხისგან, ხეიბრებისა და სამღვდელოებისაგან გადასახადს არ იღებდნენ. როცა საკუთარ ხელისუფლებას თავის ხალხთან ასეთი დამოკიდებულება აქვს, მიჩნდება შეგრძნება, რომ ის აფხაზეთის დაბრუნებას არ აპირებს. რა უნდა იფიქროს იმ მხარეში მცხოვრებმა ხალხმა? ხელისუფლებისგან, რომელიც საკუთარ ხალხს ანადგურებს, რა სიკეთეს უნდა მოელოდეს?

***— არის კი ეს „ჩვენი ხელისუფლება“?***

— ყოველ შემთხვევაში, ამ საქციელის შემდეგ მე „ჩემს ხელისუფლებად“ ვერ აღვიქვამ. ხელისუფლება მე, აფხაზეთიდან გადმოსულს, მიყურებს, როგორც უცხოს და არა — მისთვის სასურველს.

***— თქვენც დევნილი ხართ?***

— რა თქმა უნდა, იქიდან ვარ. ომის დროს აფხაზეთის შს მინისტრი ვიყავი. ჩემს კისერზე გადაიარა ომმა და უბედურებამ მაშინ და შემდეგაც. ამიტომ, არ შეიძლება, ამ საკითხისადმი გულგრილი ვიყო. აგერ არის ჩემი პოლიტიკური მდივანი, ბატონი აბესალომ მიქელაძე. ისიც გეტყვით და გამოსახლებულ ხალხსაც ჰკითხეთ, იმ პროცესებში როგორ ვიყავით ჩართული, რა განცხადებები გავაკეთეთ. ჩვენთან ძალიან ბევრია ომის ვეტერანი. უბრალოდ, ჩვენ რასაც არ ვაკეთებთ, ისაა, რომ მაქსიმალურად ვერიდებით ხელისუფლებასთან ამ კატეგორიის ხალხის დაპირისპირებას, რადგან გვინდა მშვიდობიანი საქართველო, მაგრამ სხვანაირი ხელისუფლება.

***— სამაგიეროდ, რატომღაც ხელისუფლება თვითონ არ მოერიდა ვეტერან მეომრებთან დაპირისპირებას, როდესაც ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთან მემორიალთან ვეტერანებს სასტიკად გაუსწორდა, რაც ყოვლად მიუღებელი საქციელია...***

— ჩემი წარმომადგენლობა მუდმივად იქ იყო. ჩვენ ვიყავით ერთ-ერთი პირველი, ვინც მათთან მივედით, ვკითხეთ, რა უნდოდათ, რა მიზნები ჰქონდათ, საჭირო იყო თუ არა, აქციას შევუერთებოდით. ეს იყო მათ მიერ დაწყებული ღონისძიება. მათი ჩანაცვლება ეთიკის საკითხია. ვეტერანთაგან ერთ-ერთი პირველი მე ვიყავი, ვინც რადიო „თავისუფლებითა“ და სხვა საინფორმაციო საშუალებებით სრული მხარდაჭერა გამოვუცხადე მათ კანონიერ მოთხოვნებს და ორგანიზაციურადაც დავუჭირე მხარი. ჩვენ ყველანი ერთმანეთს ვიცნობთ. ისინი ჩვენი თანამებრძოლები არიან. მათ თქვეს — ჩვენ ვართ უკიდურესად შეჭირვებულ მდგომარეობაში ისე, რომ ვერ ვინახავთ ოჯახებს, არ გვაქვს ელემენტარული შემოსავალი; ამ ყველაფერს დღემდე ვითმენდით და მომავალშიც მოვითმენდით, რომ ვხედავდეთ, ხელისუფლებაც ისევე ცხოვრობს, როგორც ხალხი. როცა ვხედავთ, რომ ხელისუფლებას თავზე გადასდის, იმაზე ფიქრობს, სად წავიდეს, რა ჩაიცვას, რა კონცერტები გამართოს და მსოფლიოს რომელი კუთხე მოინახულოს, ეს ჩვენთვის მიუღებელია. გამოდის, ეს ქვეყანა იმისთვისაა, ხელისუფლებამ არაჩვეულებრივად იცხოვროს. სინამდვილეში ასეცაა — ხელისუფლება სხვა სამყაროში ცხოვრობს, ხალხი კი, რომელიც ხელისუფლებისაგან ელემენტარულ პატივისცემას იმსახურებს, მიტოვებული და გაუბედურებულია. მემორიალთან კარავი იდგა თუ ვეტერანი მეომრები იყვნენ, აბსოლუტური სისუფთავე იყო.

***— რა რეაქცია გქონდათ, როდესაც პარლამენტის უმავლესობის წევრებმა, შემდეგ კი სააკაშვილმაც, განაცხადეს, თითქოს ამ აქციის მონაწილეებმა, მეომრებმა, რომლებიც იცავდნენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ქვეყანას ჯანმრთელობა შესწირეს, მემორიალი შეურაცხყვეს?***

— სხვადასხვა დროს ჩვენ იქ ბევრჯერ შევხვედრივართ, ინტერვიუები ჩაგვიწერია და კარგად იცით, რომ ის ადგილი კარგადაა მოწყობილი — ტუალეტიც არის და ყველაფერი. ამიტომ არავის არაფერში სჭირდება, ბუნებრივი მოთხოვნილებები მაინცდამაინც მარადიულ ცეცხლთან დაიკმაყოფილოს. უბრალოდ, ამას არც ხალხის რჩეული და არც ხალხის არჩეული პრეზიდენტი თავის თავს არ უნდა აკადრებდეს. ეს მათ საკუთარ თავს აკადრეს.

***— მაინც, რატომ იკადრეს ეს?***

— ამით თავიანთი ქმედებები გაამართლეს.

***— ხელისუფლება ომის ვეტერანებსა და დევნილებთან დაპირისპირებას რატომ არ ერიდება?***

— ვეტერანთა იმ ჯგუფმა, რომელიც მემორიალთან შეიკრიბა, გამოაცხადა, რომ ის გამაფრთხილებელ აქციას მართავდა. ეს არ იყო აქცია, რომელიც რაღაცაში უნდა გადაზრდილიყო. პოლიტიკოსები იქ არ ყოფილან. რაც მთავარია, დათქვეს დრო (6 იანვარი), როცა აქციას შეწყვეტდნენ. ამ პირობებში მიდიხარ და არბევ. როცა ადამიანი ძალიან გამდიდრდება და ვირტუალურ სამყაროში ცხოვრობს, მისთვის ასეთი რამ გამაღიზიანებელია. ახალ წელს, როცა მთელი მსოფლიო საქართველოში ჩამოდის, აქ მიდის გრიალი, ხალხი უზომოდ ბედნიერია, უცებ აღმოჩნდა, რომ ის ხალხი, რომელიც უზომოდ ბედნიერი უნდა იყოს, ვისაც მართლა რაღაცას უნდა უკეთებდე, უკიდურესად გაჭირვებულია. ხელისუფლებამ თვითონ ამ ფაქტის დაფიქსირება ვერ აიტანა. გაკეთდა ის, რაც არ უნდა გაკეთებულიყო, რასაც მომავალში აუცილებლად მიეცემა შეფასება. ეს ისეთი ქმედებაა, რომელიც ისტორიაში რჩება. ხელისუფლებამ ჩაიდინა ულირსი ქმედება. ამით ვეტერანებს არაფერი დაჰკლებიათ. დააკლდათ მათ, ვინც ეს გააკეთა. მაშინაც, დღესაც და ხვალაც ჩემში ეს დარჩება, როგორც ულირსი საქციელი. სამომავლოდ, ყველამ უნდა იცოდეს, რომ ხელისუფლება ასე არავის უნდა ექცე-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაში მილიონები დაიხარჯა

**ჩვენთან უკვე დიდი ხანია საუბრობენ იმის შესახებ, რომ ეკლესიის წინააღმდეგ ხელისუფლების მხრიდან სერიოზული ბრძოლა მიმდინარეობს. ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი უკვე ღიად აკეთებს ეკლესიისა და კონკრეტულად პატრიარქის საწინააღმდეგო განცხადებებს. მმართველი ელიტის წარმომადგენლებმა რამდენჯერმე შეიცხადეს, რატომ ერევა პატრიარქი პოლიტიკაში. ცოტა ხნის წინ ის რუსეთთან გამჭვირვალე დიალოგის ინიციატივით გამოვიდა. ამაზე ნაციონალების ნაწილი სულ გადაირია.**

**ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი მამუკა გიორგაძე პატრიარქის გადაწყვეტილებით კმაყოფილია და მიაჩნია, რომ პატრიარქი ისე იქცევა, როგორც ერის მამა. ეკლესიის წინააღმდეგ დაწყებული კამპანიით გიორგაძე შეშფოთებულია, თუმცა, დარწმუნებულია, რომ ისინი მართლმადიდებლობას ვერაფერს დააკლებენ. ვინ და რატომ ებრძვის ქართულ ეკლესიას, რატომ ტეხს ხელისუფლება ისტერიკას, როცა პატრიარქი რუსეთზე საუბრობს, როდის ჩაეყარა მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლას საფუძველი, ამ თემებზე მამუკა გიორგაძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.**

თეა მარხვაი ე

***— დღეს ბევრი საუბრობს იმაზე, რომ ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი ყველაფერს აკეთებს ეკლესიის ავტორიტეტის შელახვისთვის. თქვენი აზრით, ვის არ აწყობს, რომ საქართველოს ეკლესია ძლიერი იყოს?***

— ეს არიან ის ადამიანები, რომელთაც არ სურთ, საქართველოში მიმდინარეობდეს ჯანსაღი საზოგადოებრივი ცხოვრება. მიმდინარეობდეს ქართველი ხალხის სწრაფვა მაღალი ღირებულებებისაკენ. მათ არ უნდათ, რომ საქართველოში მრავლად იყვნენთავისუფალი ადამიანები. მათ ძალიან კარგად იციან სახარებისეული სიბრძნე — სცანით ჭეშმარიტება და ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ თქვენ. სწორედ ამით არის განპირობებული, რომ დღეს ეკლესიის წინააღმდეგ ასეთი აქტიური ბროლა ამ ადამიანებს აშინებთ ჩვენი ეკლესიის უდიდესი ავტორიტეტი. ეს ადამიანები ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ ეკლესიამ ვერ შეასრულოს ერის სულიერი წინამძღოლობა. ცდილობენ, ეკლესია ამ ძნელბედობის ჟამს არ იყოს ქართული სახელმწიფოებრიობის ქვაკუთხედი. მათ ქართული ეკლესიის ეშინიათ.

***— რატომ ეშინიათ?***

— ეშინიათ, ეკლესიამ დიდი მასშტაბით არ დაამკვიდროს ზნეობრივი ღირებულებები. არ უნდათ, რომ საქართველოში თავისუფალი ადამიანები იყვნენ. თავისუფალი ადამიანები ხელისუფლებაში ისეთ მარგინალებს ვერ აიტანენ, როგორებიც დღეს არიან ქვეყნის სათავეში. აი, ეს არის მიზეზი, რომელთა გამოც ეკლესიის წინააღმდეგ მიმდინარეობს ბრძოლა.

***— მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ქვეყნის გარედანაც მიმდინარეობს ბრძოლა. ამაზე რას იტყვით.***

— ეს უკვე სხვა თემაა. ესეც ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ დღევანდელ ვითარებაში მთავარია საქართველოს ხელისუფლების ქცევა, რომელსაც სურს, ჰყავდეს საქართველოში არა თავისუფალ პიროვნებათა კრებული, არამედ უსახური მასა. ისეთი ადამიანები, რომლებიც მზად არიან, ნებისმიერი უმსგავსო საქციელის ჩასადენად. ასეთი მასა მზად არის იმისთვის, რომ გაწიროს თავისი მოყვასი, გაწიროს ქვეყანა. და საკუთარ კეთილდღეობას ანაცვალოს ჩვენი მომავალი. გარედან ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა კი არის ბუნებრივი პროცესი. მსოფლიოში მიდის გლობალიზაციის პროცესი. მავანს და მავანს ძალიან უნდა, მსოფლიოს ერთიან სტანდარტებზე მოწყობა. ამ ადამიანებს ქართული და სხვა ეკლესიები ხელს უშლით. და სრულიად ბუნებრივია, რომ ისინი ეკლესიების წინააღმდეგ იბრძვიან. ამის გარდა მიმდინარეობს გარკვეული კონკურენცია, რომელიც მე ჩვეულებრივ და ბუნებრივ პროცესად მიმაჩნია.

***— რატომ მიგაჩნიათ კონკურენცია ბუნებრივ პროცესად?***

— იმიტომ, რომ როცა ამის საშუალება გვქონდა, ჩვენც ასე ვიქცეოდით.

***— ასე, როგორ?***

— როცა გვქონდა ამის საშუალება, უფლის სიტყვას საქართველოს გარეთაც ვავრცელებდით. მიგვაჩნდა, რომ ამით იმ ხალხებს ვაძლევდით საშუალებას ღვთიურ ჭეშმარიტებას ზიარებოდნენ და თავისუფალი არჩევანი ჰქონოდათ. გარედან მიმდინარე ბრძოლები სერიოზულია, მაგრამ ეს ნაკლებად მნიშვნელოვანია. გაცილებით მნიშვნელოვანია შიდა პროცესები. ხელისუფლება, რომელიც ეკლესიის გაძლიერებით უნდა იყოს დაინტერესებული, მას მტრობს. გარედან ბრძოლა ყოველთვის იქნება. ეს გლობალიზაციას უკავშირდება. ასეთი რამე ადრეც ხდებოდა. მაშინაც კი, როცა სიტყვა გლობალიზაცია არ არსებობდა.ჩვენ ბიბლიაში შეგვიძლია ამოვიკითხოთ, როგორ მიდიოდა კაცობრიობა იქთიკენ, რომ ერთიან სტანდარტებზე მოეწყოთ ხელისუფლებები და ქვეყნები.

***— რა საჭირო იყო ამის გაკეთება?***

— ეს კეთდებოდა, რათა გაადვილებულიყო ანტიქრისტეს ტახტის დამკვიდრება. ასე რომ, გლობალიზაციის ეგიდით დაწყებულ ბრძოლას არც დადებითად ვაფასებ და არც უარყოფითად. ამ პროცესში იმაზე უნდა ვიზრუნოთ, როგორ გადავრჩეთ, როგორ გავხდეთ კონკურენტუნარიანნი. როგორ მოვახერხოთ, რომ ამ წამლეკავ ტალღას ჩვენი ღირებულებები დავუპირისპიროთ.

***— მოდით, ისევ ხელისუფლების და ეკლესიის ურთიერთობებს დავუბრუნდეთ. ზოგიერთი პოლიტიკოსი მიიჩნევს, რომ პატრიარქი პოლიტიკაში ერევა. მისი ბოლო ინიციატივაც დაიწუნეს, რომელიც რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებას გულისხმობს.***

— დავიწყოთ იმით, რომ პატრიარქმა ჩვენზე კარგად იცის, რა ხდება ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ. მას ეს მადლი უფლისგან აქვს მიღებული. ეს მადლი რომ არ იყოს, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა, ამხელა ენერგიის და სითბოს გაცემა, რაც მან 45 წლის განმავლობაში გასცა. სომხეთის ატომურ ელექტროსადგურს არა აქვს გამომუშავებული იმდენი ენერგია, რაც საქართველოს პატრიარქს აქვს დახარჯული. ეს ენერგია მან გათითოკაცებული, გაუბედურებული და ეკლესიისგან განზე მყოფი ხალხის მრევლად ქცევას მოანდომა. ის ქართველ ერს განსაცდელში ყოველთვის გვერდით ედგა;შევხედოთ, რა ხდება ჩვენს სამეზობლოში. ასეთი რამე არც რუსეთის და არც სომხეთის ეკლესიას არ გაუკეთებია. საქართველოს ეკლესია იყო ერთადერთი, რომელიც მუდმივად იდგა საქართველოს მოსახლეობის გვერდით. რაოდენ ძნელიც არ უნდა ყოფილიყო ეს. გვახსოვს, 1988 წლის ნოემბრის შიმშილობის დროს უწმინდესის მოქმედება. მთელმა მსოფლიომ ნახა 1989 წლის 9 აპრილს მისი თავდადება. ის ძალიან აქტიურობდა თბილისის ომის დროს და ცდილობდა, ეს საშინელება შეეჩერებინა. პირადად წავიდა ომში დაღუპული მებრძოლების გადმოსასვენებლად.

***— 2008 წლის აგვისტოს ომი გაქვთ მხედველობაში?***

— ამ ომზე ვსაუბრობ. ჩვენი დახოცილი ბიჭები მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე დარჩნენ. მათ გადმოსვენებას ვერავინ ვერ ბედავდა. პატრიარქი ადგა და სასულიერო პირებთან ერთად თავად შევიდა იმ ტერიტორიაზე. მანგააკეთა, რაც ერის მამას უნდა გაეკეთებინა. მაგალითების ჩამოთვლა კიდევ შემიძლია. ის მუდმივად იმ პოზიციას გამოხატავდა, რომელიც უნდა გამოხატოსეკლესიამ. ეს შრომა და თავდადება მას დაუფასდა. დღეს ეკლესიას ძალიან დიდი ავტორიტეტი აქვს. ხალხმა დაინახა, რომ ერთადერთი მისი პატრონი და გუდშემატკივარი არის პატრიარქი. ეს ხელისუფლებას არ მოსწონს. გადაწყვიტეს მის წინააღმდეგ რაღაცების მოგონება. სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრეს, იმას გაიძახიან, რატომ ერევა პოლიტიკაშიო.

***— თქვენი აზრით, გამართლებულია, როცა ეკლესია პოლიტიკურ პროცესებში ერევა?***

— რას ჰქვია პოლიტიკაში ჩარევას? ქართველი კაცი თუ იღუპება, არ უთხრას ამას ნუ გააკეთებ დაიღუპებიო? ან ქართველი კაცის წინასვლა როცა უნდა არ უთხრას ბოროტება ამოიგდე გულიდანო? როცა ხედავს, რომ ქართველს მოფერებით რაიმე გააკეთებინოს, არ გააკეთებინოს? ის პოლიტიკაში არ ერევა. ის მოქმედებს, როგორც უნდა იქცეოდეს ერის მამა. პატრიარქი ასრულებს თავის მოვალეობს. ის არის ერის მამა. ეს აღქმა მას უფლის წინაშე აქვს დადებული. ის ყოველთვის იქ დგას, სადაც საქართველოს სჭირდება. ის ხალხის გვერდითაა, მიუხედავად იმისა, რომ ერმა და მრევლმა მას გული ბევრჯერ ატკინა. მათ შორის იმათაც, ვისზეც პატრიარქს ძალიან დიდი ამაგი ჰქონდა. უწმინდესი ამას ყურადღებას არ აქცევს. იცის, რომ ეს ადამიანების ბუნებაა. მათ მაცხოვარს არ დაუფასეს ამაგი და ადამიანს როგორ დაუფასებენ. ამის მიუხედავად ის მაინც ქართველი ხალხის გვერდით იქნება.

***— რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების ინიციატივით გამოდის პატრიარქი. რუსეთის ნდობა შესაძლებელია?***




— რუსეთი რასაც წარმოადგენს, ეს პატრიარქმა ხელისუფლებაზე და გია ნოდიაზე უკეთ იცის. სხვაზე უკეთ იცის პატრიარქმა, რა როლს ასრულებს ეკლესია რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ისიც სხვებზე უკეთ მოეხსენება, ამა თუ იმ სასულიერო პირს რა გავლენები აქვს საერო ხელისუფლებაზე. ის სწორ გზაზე აყენებს ხელისუფლებას, რომელსაც ურჩევს, რომ რუსეთს ღიად დაელაპარაკოს. აი, ეს პოზიციაა ხელისუფლებისთვის მიუღებელი და არა ის, რომ უწმინდესი რუსეთთან საერთო ენის გამონახვას ითხოვს.

***— რატომ არის მიუღებელი ხელისუფლებისთვის რუსეთთან ღიად დალაპარაკება მიუღებელი?***

— იმიტომ, რომ ჩუმად ისინი რუსეთს ისედაც ელაპარაკებიან. მეტსაც გეტყვით, ხელისუფლების წევრთა დიდი ნაწილი თანამშრომლობს რუსეთის სპეცსამსახურებთან. პატრიარქი ხელისუფლებას ურჩევს, რომ ის მშვიდად და საქართველოს ინტერესების დაცვით დაელაპარაკოს რუსეთს. ხელისუფლებას ეს არ აწყობს. ისინი ეკლესიაზე ახორციელებენ ზეწოლას. მათ სურთ, რომ იმ დონემდე მიიყვანონ ჩვენი საპატრიარქო, რომ რუსული ეკლესია ანათემას გადასცეს. რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობენ და საჯაროდ ანტირუსულ ისტერიკებს აწყობენ. ხელისუფლება ცდილობს, ქართველების სულში შოვინიზმი ჩანერგოს. სხვა ერების მიმართ სიძულვილი ქართველის თვისება არასდროს არ ყოფილა. საქართველოს მოსახლეობას რუსებთან ადამიანური ურთიერთობის დამყარებას უშლიან, თავად კი მზად არიან, რუსეთს ბევრი რამე დაუთმონ.

***— რის დათმობას აპირებენ რუსეთისთვის?***

— რის დათმობასაც მათგან მათი პატრონები მოითხოვენ რუსეთში. უწმინდესი კი რუსეთთან ღია დიალოგის მომხრეა, რომელიც საქართველოს ინტერესების დაცვისკენ უნდა იყოს მიმართული.

***— აქცენტი ძირითადად ნაციონალებზე კეთდება, მაგრამ ეკლესიასთან ეროვნული ხელისუფლებაც იყო დაპირისპირებული და შევარდნაძეც.***

— გამსახურდიას ეკლესიასთან დოგმატურ საკითხებზე ჰქონდა დაპირისპირება. და ეს სხვა თემაა. შევარდნაძე ეკლესიასთან ღია დაპირისპირებას ვერ ბედავდა. ამაში მას თავისი წარსული უშლიდა ხელს.

***— რომელი წარსული?***

— როგორც სხვა კომუნისტები, თავის დროზე ისიც აქტიურად იბრძოდა ეკლესიის და მორწმუნეების წინააღმდეგ. მას ყოველთვის აწუხებდა ეს კომპლექსი. ამიტომაც ვერ ბედავდა ის ეკლესიასთან ღიად დაპირისპირებას.

***— ფარულად უპირისპირდებოდა?***

— რა თქმა უნდა. ყველა უბედურება რაც დღეს გვჭირს, მის დროს დაიწყო. ღიად არ უპირისპირედებოდა ეკლესია, მაგრამ იმათ ზრდიდა ვინც დღეს ცდილობენ ეკლესიის ავტორიტეტის შემცირებას. ისინი, ვინც დღეს ეკლესიას ებრძვის, შევარდნაძის მიერ არიან გამოზრდილები. შევარდნაძე მათ გრანტებით გულუხვად კვებავდა.

***— იქნებ არ იცოდა, რომ ეს ადამიანები ეკლესიას დაუპირისპირდებოდნენ?***

— ძალიან კარგად იცოდა. ამ ადამიანების მოსამზადებლად მილიონებია დახარჯული. დღეს ეს ადამიანები თავგამოდებით ებრძვიან ეკლესიას. დარწმუნებული ვარ, არაფერი გამოუვათ. მართლმადიდებლობას ნერონმა, დიოკლეტიანემ და ლენინმა ვერაფერი დააკლეს და ამათ რა უნდა დააკლონ? მე უბრალოდ იმ ადამიანებზე ვღელავ, რომლებსაც ამათ თავგზა აუბნიეს.

# რის ხარჯზე შენდება საავადმყოფოები

დასაწყისი მე-4 გვერდზე

გამო გააუქმეს სახელმწიფო დაზღვევისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდები. ეს იყო დილეტანტური, არაპროფესიონალური გადაწყვეტილებები. ამით „მოკლეს“ დაზღვევის ის ელემენტები და ინსტიტუტები, რომლებიც აპრობირებულია მთელ მსოფლიოში. გააუქმეს სოციალური ანარიცხები — შენატანი, სამედიცინო დაზღვევის ანარიცხები — შენატანი და ყველა ეს მათ მიერ ჩათვლილი როგორც ჩვეულებრივი გადასახადი მიმართულ იქნა სახელმწიფო ბიუჯეტში. ეკონომიკური ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტმაც კი იცის, რომ თავისი შინაგანი იმანენტური ბუნებით არ შეიძლება ერთმანეთს მიუმატო სოციალური შენატანი და ისეთი სახელმწიფო გადასახადები, როგორებიც არის მოგების გადასახადი, დღგ, აქციზი და სხვ. აღარ ვლაპარაკობ ქონების გადასახადებზე და ა.შ. ეს ფონდები თავის დროზე დამოუკიდებლად შედიოდა სახელმწიფოს კონსოლიდირებულ ბიუჯეტში, რაც დაზღვევის კლასიკური მაგალითი იყო. სხვათა შორის, ჩვეულებრივ ნორმად იქცა, როდესაც რომელიმე ინსტიტუტი — სისტემა ვერ მუშაობს. სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო ხშირ შემთხვევაში სპონტანურად აუქმებენ უშუალოდ ამ ინსტიტუტს. ასე მოხდა ანტიმონოპოლიური სამსახურის, ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის, დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის, თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის, წიგნის პალატისა და სხვათა შემთხვევაში. მსოფლიოში თითქმის არ არსებობს ქვეყანა, რომელსაც არ გააჩნია სოციალური, სამედიცინო, უმუშევრობისა და სხვა სახელმწიფო ფონდები. ეს არის დამოუკიდებელი საფინანსო-საკრედიტო სისტემები, რომლებიც შედის კონსოლიდირებულ ბიუჯეტში (ასევე იყო საქართველოში 2003 წლამდე), როგორც არასაბიუჯეტო ფონდები. ეს ფონდები გარკვეულ როლს ასრულებს ეროვნული შემოსავლების გადანაწილების საქმეში. ეს არის ქვეყნის სოციალური გარანტიის, სოციალური უზრუნველყოფის, სადაზღვევო საპენსიო და ჯანმრთელობის სისტემების ეკონომიკური საფუძველი, მნიშვნელოვანი სტაბილურობის გარანტი.

***— გამოდის, ამ ქმედებებით საკანონმდებლო და ორგანიზაციული თვალსაზრისით ქვეყანამ უკან დაიწია?***

— უდავოდ.

***— თქვენი აზრით, სახელმწიფო სადაზღვევო სისტემას უნდა განეხორციელებინა უმწეო ოჯახების დაზღვევა?***

— რა თქმა უნდა. არ შეიძლება ასეთი საჯარო ფუნქციების გადაცემა კერძო სექტორისათვის. ეს უშუალოდ სახელმწიფოს უნდა განეხორციელებინა, თავიდან ბოლომდე უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ და ქმედებებიც უფრო გამჭვირვალე იქნებოდა. ვის მოუვიდა აზრად, 300 მლნ-მდე ფინანსური ნაკადები კერძო სექტორში გადაესროლა? უფრო მეტიც, ვფიქრობ, სწორედ ამ თანხების ხარჯზე ხდება სადაზღვევო კომპანიების მიერ საავადმყოფოების აშენება. გამოდის, რომ სახელმწიფო ირიბად თუ მიზანმიმართულად კერძო კომპანიებს საავადმყოფოებს უშენებს. სადაზღვევო კომპანიებმა კეთილი ინებონ, მოიძიონ კორპორატიული და ინდივიდუალური კლიენტები. სწორედ ამ ბაზარზე გამოჩნდება მათი კონკურენტუნარიანობა და სადაზღვევო პროდუქტების ეფექტიანობა.

***— იქნებ განგვიმარტოთ, ამ მხრივ როგორია სხვა ქვეყნების გამოცდილება?***

— თავიდანვე მინდა გითხრათ, რომ ისეთ სისტემას, თუ ამას სისტემა ჰქვია, როგორიც საქართველოშია, ვერსად ნახავთ, არც ერთი ქვეყნის ანალოგი არ არის. ბელორუსიასა და ტაჯიკეთსაც კი გააჩნიათ სადაზღვევო სისტემა არასაბიუჯეტო და სადაზღვევო ფონდების სახით. თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს სოციალური დაზღვევის არასაბიუჯეტი ფონდები ან საagentოები ფონდებთან ერთად. სოციალური უზრუნველყოფა, პირველ რიგში — ეს არის სოციალური დაზღვევა, ხოლო სოციალური დაზღვევის ძირითადი საფუძვლებია საპენსიო დაზღვევა, სამედიცინო დაზღვევა, უბედური შემთხვევების დაზღვევა, უმუშევრობის დაზღვევა, ხოლო ამ ფონდების შევსების ძირითადი წყარო ფიზიკური და იურიდიული პირების სავალდებულო შენატანებია. ასევე შესაძლებელია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები სპეციალური სახელმწიფო პროგრამების შესასრულებლად, ნებაყოფლობითი შენატანები. ეს ფონდები დამოუკიდებელი საფინანსო-საკრედიტო სისტემებია. ეს არის ერთგვარი ფორმაც ეროვნული შემოსავლის გადანაწილებისა. ამ ფონდის მუშაობის პრინციპებია თვით ზრდა, სოლიდარობა და ეკონომიკური სტაბილურობა.

***— რაზე მიანიშნებთ, პენსიები შრომითი სტაჟისა და ნამსახურობის მიხედვით ოცნებად რჩება?***

— რა თქმა უნდა, ჯერჯერობით ასეა. კიდევ დიდხანს იქნება, თუ რადიკალურად არ შევცვალეთ დღეს არსებული საბიუჯეტო სისტემა და არ ჩამოვაყალიბეთ მსოფლიოში აპრობირებული სადაზღვევო მოდელი. დღესვე დასაწყებია თითოეული დასაქმებული ადამიანისთვის სადაზღვევო ბარათების გახსნა და მათი პერსონიფიცირებული აღრიცხვა.

# აფხაზეთში ნარკოტიკებს აფასოებენ

ნანა მიშელაშვილი




რატომ არის საქართველო ნარკოტიკების ტრანზიტის მთავარი კორიდორი? როგორ თანამშრომლობენ ქართველი, აფხაზი, ოსი, რუსი და სხვა ეროვნების ნარკოდილერები ერთმანეთთან და იცის თუ არა შავმა ფულმა საზღვრები?

ეს კითხვები მას შემდეგ გახდა აქტუალური, რაც ინფორმაცია გავრცელდა, რომ საქართველოდან ნარკოტიკების ტრანზიტი ხდება.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშის თანახმად, საქართველო ნარკოტიკების ტრანზიტის მთავარი კორიდორი ხდება. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში, რომელიც ნარკორტიკების საერთაშორისო კონტროლს ეხება, ნათქვამია, რომ საქართველო ევროპასა და აზიას შორის მდებარეობს.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ ერთ-ერთი მთავარი მარშრუტით ნარკოტიკები საბერძნეთიდან და თურქეთიდან საქართველოს გავლით დასავლეთ ევროპაში ხვდება.

ანგარიშის მიხედვით, ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის ტერიტორიას საქართველოს ხელისუფლება ვერ აკონტროლებს და შესაძლოა, სწორედ ამ ტერიტორიებზე გადის ნარკოტრანზიტის გზა.

— თუმცა, ამ ინფორმაციის შემოწმება შეუძლებელია, რადგან რუსეთის საოკუპაციო ძალები და ამ ტერიტორიების დე ფაქტო ხელისუფლება საქარველოს ხელისუფლებას არ უცვლიან ინფორმაციას ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის შესახებ, — ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში.

პარლამენტის ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერი პაატა დავითაია იმ სქემას შიფრავს, რომლითაც აფხაზეთში ნარკოტიკები შედის. დავითაიას ინფორმაციით, ოჩამჩირესა და გალს შორის სპეციალური ქარხანა არსებობს, სადაც ნარკოტიკების დაფასოება ხდება, შემდეგ კი იქიდან ხდება მისი გადანაწილება.

კიდევ რა ინფორმაციას ფლობენ დეპუტატები და რას ამბობენ ოპოზიციონერი და უმრავლესობის წევრები ნარკოტიკების ტრანზიტთან დაკავშირებით?

**ლაშა თორდია — პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე:**

— საქართველოს გასული წლების განმავლობაში არაერთხელ განუცხადებია, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან ნარკოტიკების ტრანზიტი ხდება სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის ევროპაში. როდესაც არსებობს ასეთი ბუფერული ზონები, რომელსაც ხელს უწყობს რუსეთის ფედერაცია, ყოველთვის იქმნება საშიშროება არა მარტო ჩვენი ქვეყნისთვის, არამედ მთლიანად მსოფლიოსათვის. ეს საკითხი ჩვენი მხრიდან არაერთხელ იქნა დაყენებული. ჩვენზე დაყრდნობით არის აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენის მიერ ეს ანგარიში გაკეთებული. ასეთი ბუფერული ზონები არ უნდა არსებობდეს, ისინი არ უნდა იყოს ხელშეწყობილი განსაკუთრებით ისეთი ქვეყნიდან, როგორიც არის რუსეთის ფედერაცია. არა მხოლოდ ნარკოტიკების მიმოსვლის თვალსაზრისით არის საშიშროება, არამედ იარაღის ვაჭრობასთან დაკავშირებით. ჩვენ მონიტორების შეშვებას მოვითხოვთ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რათა მოხდეს მონიტორინგი, თუ რა ხდება ამ ტერიტორიებზე. სწორედ ეს ტერიტორიები გამოიყენება შავბნელი საქმეების საწარმოებლად, რომელიც კონკრეტულად ავსებს კონკრეტული ადამიანების ჯიბეებს. ეს არის შავი ფული, სწორედ ამისთვის არის ეს ტერიტორიები შექმნილი, რომ მსგავსი ტიპის პროცესები წარიმართოს. ეს საფრთხეს არა მხოლოდ საქართველოსთვის წარმოადგენს, არამედ მთლიანად მსოფლიოსთვის. რეალურად, ამ ტერიტორიების გავლით ევროპაში ადვილად შესაძლებელია ნარკოტიკების დიდი ოდენობა მოხვდეს. ამიტომ, არაერთხელ დავაყენეთ ეს საკითხი, რომ ეს არა მარტო ჩვენს ქვეყანას უქმნის საფრთხეს, არამედ მთლიანად ევროპასა და მსოფლიოს.

**დავით დარჩიაშვილი:**

***— პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე:***

— ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში ტრანსნაციონალურ დანაშაულთან ბრძოლა ერთ-ერთ პრიორიტეტად იქნა დასახელებული. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში კიდევ ერთხელ ამოწმებს იმას, თუ რამდენად აქტუალურია ეს თემატიკა. მასში აღნიშნულია საქართველოს ხელისუფლების ბრძოლა ამ სერიოზულ პრობლემასთან, მაგრამ ამავე დროს, არის ობიექტური სირთულეები, რასაც ხელისუფლება ამ ბრძოლაში აწყდება. საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარება ფასდაუდებელია, ოკუპირებული ტერიტორიების გაკონტროლება მხოლოდ და მხოლოდ საერთაშრისო თანამეგობრობის დახმარებით არის შესაძლებელი. რაც შეეხება ანგარიშში მოყვანილ ფაქტს, რომ საქართველოს ნარკოტიკებთან დაკავშირებით შიდა პრობლემები აქვს, ამასთან ბრძოლა მიმდინარეობს, ეს არის შრომატევადი პროცესი, რომლის სწრაფად და მყისიერად დასრულება შეუძლებელია. ბუნებრივია, რომ ის დარტყმები, რაც ნარკოტრაფიკს მიეყენა, მნიშვნელოვანია, მაგრამ ბრძოლა გასაგრძელებელია.

**ლევან ვეფხვაძე — ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერი:**

— უკონტროლო ტერიტორიები ყოველთვის აჩენს საფრთხეს, რომ კრიმინალებმა შექმნან გარკვეული გაერთიანებები. ამ შემთხვევაში რუსი, ქართველი, აფხაზი, ან რუსი, ქართველი, ოსი კრიმინალური ჯგუფები შავი ხვრელების გარშემო გაერთიანდნენ იმისათვის, რომ ამ შავი ხვრელების გამოყენებით დაიწყოს ნარკოტიკების ტრანზიტი ევროპაში საქართველოდან. როგორც ყოველთვის, ფულს აქვს თავის წესი: ფულმა არ იცის ეროვნება, ზიზლი, არ იცის ოკუპაცია, კრიმინალი მხარეები ერთიანდებიან, იმისათვის, რომ დიდი ფული იშოვონ. ასეთი გაერთიანება მოსალოდნელია თუ უკვე არ არის ჩამოყალიბებული. მთავარი ის არის, რომ თავიდან ბოლომდე პასუხისმგებლობა ოკუპირებულ მხარეს ეკისრება ამ ნარკოტრანზიტზე, იმიტომ, რომ ის აკონტროლებს იმ ტერიტორიას. რუსეთმა უნდა აღკვეთოს ეს ყველაფერი. თუ რუსეთი ამას ვერ აკვეთს, მან უნდა აღიაროს, რომ ის ამას ვერ ახორციელებს და საერთაშორისო მისია დაუშვას, რომელსაც არაერთგზის ითხოვს ევროპული მხარე. შესაბამისად, ეს ყველაზე მეტად იმოქმედებს არსებული სიტუაციის გამოსწორებაზე.

**პაატა დავითაია — ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერი:**

— არაერთხელ მითქვამს, რომ ნარკოტრაფიკი ძალიან სერიოზული საკითხია. ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამხედრო ბაზებია, რომელიც არაკონტროლირებადია. აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის საზრდოობის ერთ-ერთ წყარო ნარკოტრაფიკია. გამოყენება ხდება წყალქვეშა ბაზის, რომელიც ოჩამჩირეშია. არაერთხელ მითქვამს, რომ ოჩამჩირესა და გალს შორის არსებობს სპეციალური ქარხანა, რომელიც დაცულია ჯარების მიერ, სადაც ხდება ნარკოტიკების დაფასოება, შემდეგ იქიდან ხდება ამის გადანაწილება. არაერთი შეხვედრა მქონდა საერთაშორისო ორგანიზაციების და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან და მათთვის ამის შესახებ ინფორმაცია მაქვს გადაცემული. საქართველო, ნარკოტიკების ტრანზიტის სერიოზული დერეფანი იქნება მანამ, სანამ ოკუპირებული ტერიტორიები იქნება. ერთ მარტივ მაგალითს მოვიყვან, თუ როგორ ხდება ნარკოტიკების შემოტანა: როდესაც გემი ნეიტრალური წყლებით ოჩამჩირეში ან სოხუმში შემოდის, სამხედრო ბაზაზე ხდება ნარკოტიკების გადანაწილება, დალაგება და დაფასოება. ანუ დაფასოების ბაზა არის აფხაზეთი. ამის კონტროლი არ არსებობს. უფრო სწრაფი გადანაწილება დაიწყო ნარკოტიკების, როდესაც საჰაერო აეროდრომი გაიხსნა აფხაზეთში. ყველას ახსოვს, რომ სოხუმის აეროდრომის გარემონტება მოითხოვა სირიისა და იორდანიის ბიზნესმენების ჯგუფმა. რა უნდათ სირიისა და იორდანიის ბიზნესმენებს სოხუმის აეროდრომის გარემონტებისას? იმიტომ სურდათ გარემონტება, რომ ნარკოტრაფიკისთვის მოხდეს ამის გამოყენება. ვინ გააკონტროლებს თვითმფრინავს, რომელიც დაჯდა სოხუმის აეროპორტში? არავინ! კონტროლი არ არსებობს. არის შავი ლაქები და ეს ფაქტი არ არის.

რაც შეხება სახელმწიფო დეპარტამენის ანგარიშში მოყვანილ საკითხს, რომ საქართველოს ნარკოტიკებთან დაკავშირებით შიდა პრობლემებიც აქვს. კერძოდ, შიდაბაზარზე იყიდება ჰეროინი, სუბუტექსი, მეთადონი და მარიხუანა. ამ საკითხთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე განმარტავს, რომ საქართველოს პარლამენტში თვეში ერთხელ მაინც ინიცირებულია კანონპროექტები, სადაც საუბარია ფსიქოტროპული ნივთიერებების გაყიდვა-შეძენის გამკაცრებაზე. □ — ბევრი გვიკიჟინებს, რომ მკაცრი ანტინარკოტიკული პოლიტიკა გვაქვს. თუ 2003 წლამდე ნარკომანია მოდური იყო, ვარდების რევოლუციის შემდეგ, სახელმწიფომ გადატეხა და ნარკომანობა სირცხვილია ყველა ადამიანისათვის და მიუღებელი — ჩვენი საზოგადოებისთვის. ჩვენ ძალიან ეფექტური გზა გავიარეთ იმისათვის, რომ ნარკოვაჭრობასთან, ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებით მთლიანად შეგვეცვალა მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში, — აღნიშნა ლაშა თორდიამ.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე განმარტავს, რომ ყველა საჯარო მოხელემ, რომელიც თანამდებობაზე ინიშნება, აუცილებელია, ნარკოტიკულ ნივთიერებებზე შემოწმება გაიაროს. თორდიას განმარტებით, 2010 წელს პრიორიტეტი სწორედ ნარკომანიასთან ბრძოლა იყო.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში ნათქვმია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ნარკომანიასთან ბრძოლა 2010 წლის პრიორიტეტად გამოაცხადა.

— 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ სააკაშვილის ხელისუფლებამ ბევრი ე.წ. კანონიერი ქურდი დააპატიმრა, ზოგი კი ქვეყნიდან გაიქცა. ეს კრიმინალები საქართველოში აღარ არიან, მაგრამ მათ მაინც აქვთ გავლენა ქვეყანაში კრიმინალურ საქმიანობაზე, — აღნიშნულია სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში.

მასში ასევე ნათქვამია, რომ მთავრობამ დაიწყო მაღალი თანამდებობის პირების შემოწმება ნარკოტიკების მოხმარებაზე.

კიდევ ერთი, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში ირანთან გამარტივებულ სავიზო რეჟიმზეც არის საუბარი. კერძოდ, ამ ანგარიშის მიხედვით, ირანთან გამარტივებულმა სავიზო რეჟიმმა შესაძლოა, საქართველოში უფრო მეტი ნარკოტიკის შესვლა გამოიწვიოს.

— 2010 წელს საქართველომ გააფორმა შეთანხმება გამარტივებული სავიზო რეჟიმის შესახებ ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან. ამ შეთანხმების ზუსტი პერიოდი ცნობილი არ არის. თუ შესაბამისი შემოწმება და დათვალიერება არ იქნება უზრუნველყოფილი, ამ შეთანხმებამ შესაძლოა, საქართველოში შემავალი ნარკოტიკების რაოდენობა გაზარდოს. ეს სრულიად შესაძლებელი ჩანს, რადგან ავღანური ოპიატების 40% ირანის გავლით გადის. არის სერიოზული საფუძველი ვიფიქროთ, რომ ირანსა და საქართველოს შორის გამარტივებული მიმოსვლის გამო, მოვაჭრეები ახალ მარშრუტს გამოიყენებენ, — ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში.

ირანთან გამარტივებულ სავიზო რეჟიმზე საქართველოს პარლამენტის წევრებიც საუბრობენ, თუმცა, ახალი საფრთხეების შესაძლებლობას ვერ ხედავენ.

ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერი ლევან ვეფხვაძე ნარკოტრაფიკთან დაკავშირებით ირანიდან დამატებით საფრთხეს ვერ ხედავს. ვეფხვაძის თქმით, უვიზო რეჟიმი ახალ საფრთხეებს არ გააჩენს, იმიტომ, რომ, თუ საფრთხეები იყო, აქამდეც იყო.

— შემოწმება თუ აქამდე ხდებოდა, იგივენაირად უნდა გაგრძელდეს, ან თუ არ ხდებოდა, ახლა უნდა დაიწყოს შემოწმება. მთავარია, რომ შესაბამისი კონტროლი იყოს საზღვარზე და ამაში საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის აშშ-ს მთავრობა უნდა დაეხმაროს ქართულ მხარეს, რათა შესაბამისი აღჭურვა იყოს საზღვარზე, — ასეთია ლევან ვეფხვაძის მოსაზრება.

# ქვეყნის გამაერთიანებელი ხელისუფლება დევნილებს ასე სასტიკად არ მოექცევა!

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ოდეს, მით უმეტეს, ვეტერანს. როცა ვერაფერს უკეთებ, შეურაცხყოფას მაინც ნუ აყენებ. თუ ახლა ვინმეს უნდა თქვას, რომ ჩვენ ამაზე რეაქცია არ გვაქვს, ტყუილია. მთელ საქართველოს აქვს ამაზე რეაქცია. ვინმე თავისიანს რომ გამოიყვანენ და ათქმევინებენ, თითქოს ამით გარკვეული ნაწილია უკმაყოფილო, ხოლო დიდი ნაწილი — კმაყოფილი, არ არის სწორი. ამ ქმედებისაგან კმაყოფილია მხოლოდ ის, ვინც ამ ხელისუფლების ხარჯზე ცხოვრობს. ამით კმაყოფილი საქართველოში სხვა არავინ შემხვედრია. ჩვენი მთავარი მიზანია აფხაზეთის დაბრუნება. ყველა ნაბიჯს ვდგამთ იქითკენ, რომ აფხაზებს ვუთხრათ, ჩვენ შორის მოხდა ის, რაც მოხდა. ამაში ბრალი მიგვიძღვის ჩვენც, თქვენც და რუსებსაც. სამწუხაროდ, ყოველივე ამისგან დავზარალდით ისინიც, ჩვენც და რუსებიც. ამით რუსეთმაც მიიღო ომი ჩრდილოეთ კავკასიაში, რაც აფხაზეთის ომს მოჰყვა.

***— საბოლოო ჯამში, რუსეთი მაინც არ არის დაზარალებული. სხვა თუ არაფერი, მან ომების შედეგად აფხაზეთსა და ცხინვალში სამხედრო ბაზები განაახლა...***

— ეს ყველაფერი დროებითია და, საბოლოო ჯამში, მას მოევლება, მაგრამ ომი და უბედურება, რომელიც ტრიალებს ჩრდილო კავკასიაში, არ იქნებოდა, აფხაზეთი რომ არ ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, მასშტაბებს არ მიიღებდა.

***— ბატონო დავით, იმ დაფინანსებაზე რას გვეტყოდით, რომელზეც თქვენმა ოპონენტმა დევნილთა კონგრესი უარყოფით კონტექსტში მოიხსენია? ის თქვენს დაფინანსებას რუსეთსა და კრემლს უკავშირებს.***



— ჩვენ ვაცხადებთ, რომ ჩვენი ერთ-ერთი მთავარი დამფინანსებელია ბატონი მინდია გულუა. ვიღაც ეჭვებით ლაპარაკობს. მე გეტყვით, სინამდვილეში ვინ არის მინდია გულუა. მინდია გულუა არის სოხუმელი. ის გახლავთ ჩემი ახლობელი, ნათესავი. ჩვენ ერთად ვმუშაობდით ომამდე. ომის დროს ის იყო გენო ადამიას გვერდით. არის გენო ადამიას ერთ-ერთი საყვარელი და საუკეთესო პიროვნება, რომელმაც შემდეგ უზრუნველყო გენო ადამიას თბილისში გადმოსვენება. მაშინ ის 22-23 წლის გახლდათ, მაგრამ, ყველაფერი გააკეთა, რომ აქ გენო ადამიას ღირსეული პატივი მიჰგებოდა. რა გააკეთა მინდია გულუამ? მინდია გულუამ შეძლო, შეექმნა კაპიტალი რუსეთში. მან შეძლო, რუსეთში დაეფუძნებინა ძლიერი ქართული მოძრაობა, რომელსაც ჰქვია „საქართველოსთვის“. ამ ორგანიზაციას რუსეთის 53 რეგიონში აქვს რეგიონული ორგანიზაცია. მასში 400 ათასამდე ქართველი და საქართველოდან წასული ადამიანია გაერთიანებული. ორგანიზაციის მთავარი ამოცანაა საქართველოს გაერთიანება. მის სადამფუძნებლო დოკუმენტებში დაფიქსირებულია, რომ რუსეთის ჯარის დგომა საქართველოში ამ მომენტში არის უკანონო, მათი მთავარი მიზანი საქართველოს გაერთიანება და საქართველოსა და რუსეთს შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარებაა.

***— ანუ თქვენ მიიჩნევთ და მინდია გულუაც აცხადებს, რომ ის სხვებივით კრემლთან დაახლობული პირი არ არის? მოგეხსენებათ, ვინც საქართველოში კრემლთან დაახლოებული პირებისაგან დაფინანსებას იღებს, კრემლის მიერ მოსყიდულად მიიჩნევენ, ანუ ასეთ იარლიყს აწებებენ.***

— სწორედაც ამას ჰქვია „კრემლის მიერ მოსყიდულის“ იარლიყის მიწებება. მინდია გულუას ერთობლივი ბიზნესი აქვს ამერიკელ ბიზნესმენებთან. მისი ფული ძირითადად კონცენტრირებულია ამერიკის ბანკში. მე წაგაწერინებთ, რა ბანკია და თქვენ გადაამოწმეთ. ის ითვლება ყველაზე სუფთა ფულად მთელ მსოფლიოში. არავითარი კრემლის ფულები მაგ ბანკიდან არ მოძრაობს.

***— მინდია გულუა ამერიკელებთან ურთიერთობით ახერხებს დამოუკიდებელ პიროვნებად დარჩენასა და კრემლისაგან თავის დაცვას?***

— დიახ, ის ამას ახერხებს. მას აქვს გარკვეული პრიორიტეტი — ამ ახალგაზრდა კაცმა თავის თავში ისეთი ძალა მონახა, რომ კრემლთან, რუსეთის ხელისუფლებასთან არ იყოს დაპირისპირებული და დევნილი, მაგრამ, ამასთანავე, მათ უთხრას, მე ვარ ქართველი, მინდა ერთიანი საქართველო, მინდა, რუსის ჯარი უკანონოდ არ იყოს საქართველოში და მინდა, ამის შემდეგ რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობა კარგი იყოს. ვენაცვალე ასეთ ქართველს!

# სააკაშვილი შავმიწა ნიადაგს გვიყიდის

ნათია ხურცილავა

**საპარლამენტო უმრავლესობაში გარემოს დაცვის სამინისტროს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით დიდი ამბები მიმდინარეობს. საპარლამენტო ოპოზიცია რეორგანიზაციას არ ეთანხმება. რეორგანიზაციით არც არასაპარლამენტოები არიან აღფრთოვანებული. ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი პოზიცია თითქმის ყველა პოლიტიკურმა პარტიამ დააფიქსირა. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს რეორგანიზაციას ხელისუფლების კიდევ ერთ არათანმიმდევრულ ნაბიჯად მიიჩნევს „დემოკრატიული მო რაობა — ერთიანი საქართველო“.**




პარტიის წარმომადგენელი შალვა ოგბაიძე ამტკიცებს, რომ სააკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ დიდ დანაშაულს სჩადის. როგორი დანაშაულისთვისაც თავის დროზე ნაცისტები გაასამართლეს. რა საფრთხეს უქმნის ქვეყანას სამინისტროს რეორგანიზაცია და რა დანაშაულს სჩადის პრეზიდენტი ამ თემებზე შალვა ოგბაიძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**შალვა ოგბაიძე:**

—□სააკაშვილის ხელისუფლება სამშობლოს გვიყიდის, დიახ, პირდაპირი გაგებით გვიყიდის ჩვენს მიწა-წყალს. ის ოთხი მილიარდი, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ საერთაშორისო დახმარების სახით მიიღო 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ხელისუფლებამ საკუთარი კეთილდღეობისთვის, სასახლეების მშენებლობისთვის, კონცერტებსა და ფეერვერკებში დახარჯა. სააკაშვილს რეჟიმის შესანარჩუნებლად ჰაერივით სჭირდება ფული და ამ ფულის მისაღებად მზად არის ქვეყანა პირდაპირი მნიშვნელობით გაყიდოს. 2010 წლიდან ჩუმად ისე, როგორც ამ ხელისუფლებას სჩვევია კანონმდებლობით გახადეს შესაძლებელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის, ე.წ. შავმიწა ნიადაგის მოჭრა და გაყიდვა. ხალხნო ეს არის ბარბაროსობა, სააკაშვილი საკუთარი ერისა და კაცობრიობის წინაშე დანაშაულს სჩადის.

***— რას ნიშნავს შავმიწა ნიადაგის მოჭრა?***

— შავმიწა ნიადაგის მოჭრა ნიშნავს, რომ 100 წლის განმავლობაში ნიადაგი ყოვლად უსარგებლო ხდება და მასზე არანაირი მოსავალი აღარ მოდის. ნიურნბერგის პროცესზე ნაცისტური გერმანიის ხელისუფლებას ერთ□ერთ უმძიმეს დანაშაულად პოლონეთიდან და უკრაინიდან ნაყოფიერი შავმიწა ნიადაგის მოხსნა და გერმანიაში გატანა ჩაუთვალეს. სააკაშვილი კი, საკუთარ მიწას ყიდის.ამ ხელისუფლებას ჩამოჰყავს გადამთიელები და აცხადებენ, რომ ქართულ ყოფასთან მათი ადაპტირების მიზნით საკმაოდ დიდი ოდენობის თანხის გამოყოფას აპირებენ. ეს მაშინ, როდესაც ქართველი გლეხი შიმშილობს. კი ბატონო, ცუდი არ არის ახალი ტექნოლოგიბის დანერგვა, მაგრამ ხელისუფალი რომ გქვია, ეს თანხები სხვათა ადაპტირებისთვის კი არა, საკუთარი გლეხების დასახმარებლად და თუნდაც მათი ახალტექნოლოგიური განათლებისთვის გამოყავი. ახლა შლიან გარემოს დაცვის სამინისტროს, რადგან ის რესურსები, რაც სამინისტროს კონტროლქვეშაა სხვადასხვა მიმართულებით გადაანაწილონ და საზოგადოებისგან თვალმოფარებულად, ისევ ჩუმად, უპრობლემოდ გაყიდოს წიაღისეული, ტყეები. მინდა იცოდეს სააკაშვილმა, რომ ქართველი ხალხი არასოდეს შეჰგუებია მისი მიწა-წყლის ხელყოფას და არ დაუშვებს, ამ ხელისუფლებამ გაგვყიდოს.იცოდეთ, სამართალი მოდის და სააკაშვილო შენს უსამართლობას ბოლო საბოლოოდ მოეღება!□



***— სამინისტროს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით რას ფიქრობთ?***

— ხელისუფლებამ არც ამჯერად უღალატა „ხელწერას“ და ცხენზე გაბრაზებულმა უნაგირი დაამტვრია. მან ჯერ „შეამზადა“ საზოგადოებრივი აზრი, რომ გარემოს დაცვის სამინისტრო გარდაიქმნებოდა „უპორტფელო“ სახელმწიფო მინისტრის აპარატად. მაგრამ საერთაშორისო და ქართული გარემოსდაცვითი ინსტიტუტების და არასამთავრობო ორგანიზაციების მკვეთრად უარყოფითი რეაქციის გამო რამდენადმე შეცვალა პირვანდელი გადაწყვეტილება და დატოვა გარემოს დაცვის სამინისტრო, ოღონდ ფორმალური და მაქსიმალურად უფლებაშეკვეცილი სახით. პარლამენტმა დაჩქარებული წესით პირველი მოსმენით მიიღო კანონპროექტების პაკეთი, რომლის თანახმადაც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო უახლოეს დღეებში მოგვევლინება „გარემოს დაცვის სამინისტროდ“, ენერგეტიკის სამინისტრო გამსხვილდება და გარდაიქმნება ახალ□„ენერგეტიკისა და მუნებრივი რესურსების სამინისტროდ“.

***— როგორ გადანაწილდება ფუნქციები?***

— ფუნქციებში ყველაზე მძიმედაა საქმე: ფუნქციაშეკვეცილ სამინისტროს კი დაუტოვეს თავის კომპეტენციის ფარგლებში□□ სახელმწიფო კონტროლის ფუნქცია, ოღონდ არ განუსაზღვრეს კომპეტენციის ფარგლები და არ დაუტოვეს არცერთი ბერკეტი ამ ფუნქციების აღსასრულებლად. რაც შეეხება ყბადაღებულ გ.დ.ი-ს (გარემოს დაცვის ინსპექციას): ის ჯერ გადავა ახალ□ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაქვემდებარებაში, შემდეგ 60 დღის განმავლობაში უნდა... გაუქმდეს და მის ნაცვლად უნდა შეიქმნას „რაღაც“□ამორფული ორგანო (კანონპროექტში სახელწოდება ძალიან ბუნდოვანი და გაურკვეველია). კიდევ ერთი ფუნქცია „გადაუნაწილდა“ ინფრასტრუქტურის სამინისტროს. ესაა ნაპირდაცვის ფუნქცია. შეგახსენებთ□ნაპირდაცვა გარემოსდაცვითი საქმიანობაა, ხოლო ნაპირსამაგრი სამუშაოები□მშენებლობა. აქ, როგორც ხედავთ, ცნებების აღრევასთან გვაქვს საქმე. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ახალი ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო თვითონ დაადგენს ბუნებრივი რესურსების მოპოვების წესს და პირობებს, თვითონვე გასცემს რესურსების სარგებლობის ნებართვა□ლიცენზიებს და თვითონვე განახორციელებს სახელმწიფო კონტროლს. ანუ, სახეზე გვაქვს აშკარა ინტერესთა კონფლიქტი და როგორც შედეგს□საზოგადოება ძალიან მალე იხილავს ამ სფეროში ახალი კორუფციული სქემის დაბადებას. ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ გარემოს დაცვის სამინისტროს ჩამოერთვა ნიადაგის დაცვის ფუნქცია. ეს ფუნქცია სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაეცა. ეს იურიდიული ნონსენსია. ამას ძალიან მარტივი არგუმენტი აქვს□მოსავლიანობის გაზრდის და სოფლის მეურნეობის ინტენსიფიაკციის მიზნით სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიძლება „ვერ მოზომოს“□—□ ნიადაგის შხამქიმიკატებით დამუშავების დოზა, რამაც შეიძლება მრავალი ათწლეულების მანძილზე უვარგისი გახადოს ნიადაგი.


## ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო - აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტი აცხადებს აკადემიური პერსონალის შესარჩევ კონკურსს 2911 წლის 23 თებერვლიდან აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად 4 წლის ვადით

**1. ჰუმანიტარული მეცნიერებები:**

*ა□ ქართული ენა და ლიტერატურის მიმართულებით:*
- მიმართულების ხელმ□ღვანელი სრული პროფესორი ერთი შტატი;
- ასოცირებული პროფესორი - 2 შტატი;
- ასისტენტ პროფესორი - 2 შტატი;

*ბ□ აზეირბაიჯანული ენა და ლიტერატურის მიმართულებით:*
- მიმართულების ხელმ□ღვანელი სრული პროფესორი ერთი შტატი;
- ასოცირებული პროფესორი - 2 შტატი;
- ასისტენტ პროფესორი - 2 შტატი;

*გ□ საქართველოს ისტორიის მიმართულებით:*
- მიმართულების ხელმ□ღვანელი სრული პროფესორი ერთი შტატი;
- ასოცირებული პროფესორი - 2 შტატი;
- ასისტენტ პროფესორი - 2 შტატი;

**2. პედაგოგიკა:**

*ა□ დაწყებითი განათლების მიმართულებით:*
- მიმართულების ხელმ□ღვანელი სრული პროფესორი ერთი შტატი;
- ასოცირებული პროფესორი - 2 შტატი;
- ასისტენტ პროფესორი - 2 შტატი;

**3. კომპიუტერული ტექნოლოგიები:**

*ა□ კომპიუტერული სისტემები და ქსელების მიმართულებით:*
- მიმართულების ხელმ□ღვანელი სრული პროფესორი ერთი შტატი;
- ასოცირებული პროფესორი - 2 შტატი;
- ასისტენტ პროფესორი - 2 შტატი;

**4. სამართლის მიმართულებით:**
- მიმართულების ხელმ□ღვანელი სრული პროფესორი ერთი შტატი;
- ასოცირებული პროფესორი - 2 შტატი;
- ასისტენტ პროფესორი - 2 შტატი;

**5. სოციალური მეცნიერებანი:**

*ა□ ეკონომიკის მიმართულებით:*
- მიმართულების ხელმ□ღვანელი სრული პროფესორი ერთი შტატი;
- ასოცირებული პროფესორი - 2 შტატი;
- ასისტენტ პროფესორი - 2 შტატი;

*ბ□ ფინანსების და კრედიტების მიმართულებით:*
- მიმართულების ხელმ□ღვანელი სრული პროფესორი ერთი შტატი;
- ასოცირებული პროფესორი - 2 შტატი;
- ასისტენტ პროფესორი - 2 შტატი;

**6. დიპლომირებული სტომატოლოგის მიმართულებით:**
- მიმართულების ხელმ□ღვანელი სრული პროფესორი ერთი შტატი;
- ასოცირებული პროფესორი - 2 შტატი;
- ასისტენტ პროფესორი - 2 შტატი;

**მაგისტრატურა**

**1. ქართული ენა და ლიტერატურის მიმართულებით:**
- მიმართულების ხელმ□ღვანელი სრული პროფესორი ერთი შტატი;
- ასოცირებული პროფესორი - 2 შტატი;

**2. საქართველოს ისტორიის მიმართულებით:**
- მიმართულების ხელმ□ღვანელი სრული პროფესორი ერთი შტატი;
- ასოცირებული პროფესორი - 2 შტატი;

### საკონკურსო პირობები

**1. კონკურსის ძირითადი პირობები:**

ა) სრულ პროფესორად შეი□ლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი რომელსაც აქვს სამეცნიერო - პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;

ბ) ასოცირებულ პროფესორად შეი□ლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი რომელსაც აქვს სამეცნიერო - პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;

გ) ასისტენტ პროფესორად შეი□ლება არჩეულ იქნეს დოქტორი ან დოქტორანტი;

2. შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში აკადემიურ თანამდებობებაზე ასარევი კანდიდატის გამოსავლენად გათვალისწინებული იქნება:

ა) გამოქვეყნებული წიგნები, სახელმ□ღვანელოები მონოგრაფიები, სამეცნიერო კრებული, საცნობარო ლიტერატურა და სამეცნიერო პუბლიკაციები;

ბ) სამეცნიერო კომფერენციების, სიმპოზიუმების/ კონგრესები/ესეები ორგანიზება მონაწილეობა;

გ) პროფესიული, საბაკალავრო, სამაგისტრო, სარედიდენტო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო კურსების, სადოქტორო კურსების, მოდულების ხელმ□ღვანელობა, მონაწილეობა;

დ) საკონკურსო მიმართულების შესაბამისი პედაგოგიური და სამეცნიერო კვლევითი კომპეტენციების დამადასტურებელი სხვა აქტივობები.

### კონკურსში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

**1. სრული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:**

ა□ სამეცნიერო პედაგოგიური გამოცდილების არანაკლებ ექვსი წლის სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

ბ□ აკადემიური განათლების მესამე საფეხურის - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ□ ერთი ფოტოსურათი;

დ□ პირადობის მოწმობის ასლი;

ე□ სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;

ვ□ სილაბუსის, როგორც ნაბეჭდი ასევე ელექტრონული ფორმით (სილაბუსის ფორმა□

ზ□ ავტობიოგრაფია (სV□;

თ□ განცხადება კონკურსში მონაწილეობის თაობაზე (განცხადების ფორმა□

**2. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:**

ა□ სამეცნიერო პედაგოგიური გამოცდილების არანაკლებ სამი წლის სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

ბ□ აკადემიური განათლების მესამე საფეხურის - დოქტორანტურის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ□ ერთი ფოტოსურათი;

დ□ პირადობის მოწმობის ასლი;

ე□ სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;

ვ□ სილაბუსის, როგორც ნაბეჭდი ასევე ელექტრონული ფორმით (სილაბუსის ფორმა□

ზ□ ავტობიოგრაფია (სV□;

თ□ განცხადება კონკურსში მონაწილეობის თაობაზე (განცხადების ფორმა□

**3. ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:**

ა□ აკადემიური განათლების მესამე საფეხურის - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი ან ცნობა დოქტორანტურაში სწავლის თაობაზე ;

გ□ ერთი ფოტოსურათი;

დ□ პირადობის მოწმობის ასლი;

ე□ სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში სასურველია□;

ვ□ სილაბუსის, როგორც ნაბეჭდი ასევე ელექტრონული ფორმით (სილაბუსის ფორმა□

ზ□ ავტობიოგრაფია (სV□;

თ□ განცხადება კონკურსში მონაწილეობის თაობაზე (განცხადების ფორმა□.

**საბუთების მიღება დაიწყება 2011 წლის 25 მარტის შემდეგ და იწარმოებს 2011 წლის 10 აპრილის ჩათვლით, ყოველდღე შაბათ-კვირის ჩათვლით 10.00 სთ დან 16.00 საათამდე, ქ.მარნეული რუსთაველის 15.**

კონკურსი ჩატარდება საბუთების მიღების დასრულებიდან ერთი თვის შემდეგ არაუმეტეს 15 მაისისა;

კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად:

- პირველ ეტაპზე მოხდება კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ინფორმაციის□ ანალიზი და შეფასება;

- მეორე ეტაპზე მოხდება პირველ ეტაპზე გასულ კონკურსანტებთან გასაუბრება (გასაუბრება შესა□ლებელია განხორციელდეს ინტერვიურების სახით ტექნიკური საშუალებით□;

- კონკურსანტის განცახდება განიხილება მხოლოდ საკონკურსო განცხადებაში მითითებულ აკადემიურ თანამდებობაზე;

კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.heydaruni.edu.ge კონკურსის ჩატარებიდან 10 დღის ვადაში.

კონკურსში გამარჯვებული აკადემიური პერსონალის თანამდებობებზე დანიშვნები და ხელშეკრულების დადება განხორციელდება შედეგების გამოქვეყნებიდან 10 დღის ვადაში.

სალექციო კურსების ჩამონათვალი

**დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ დაგვიკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე 51-94-62**

# უცნობი გალაკტიონი ეროვნულ არქივშია

ეკა ირემაშვილი

იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში მეცნიერ ვახტანგ გურგენიძის პირადი ფონდი გაიხსნა, რომლის შესახებ ინფორმაცია ეროვნული არქივის ყოველკვირეული მიმოხილვის ფარგლებში გამოქვეყნდა.

აღმოსავლეთმცოდნე, პედაგოგი ვახტანგ გურგენიძე 30 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალურ არქივს, რომელიც 1970 წელს მისი ინიციატივით დაარსდა და წლების განმავლობაში არაერთი მნიშვნელოვანი ფონდით შეივსო.

საარქივო საქმიანობის გარდა, ვახტანგ გურგენიძე ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მას ახლო ურთიერთობები ჰქონდა ქართველ პოეტებთან, მწერლებთან, ხელოვანებთან, საზოგადო მოღვაწეებთან. აქტიურად მონაწილეობდა ერის კულტურულ ცხოვრებაში, რის შედეგადაც, მისი პირადი არქივი შეივსო უმნიშვნელოვანესი მასალებით. ვახტანგ გურგენიძის გარდაცვალების შემდეგ მისი არქივი ლიტერატურისა და ხელოვნების არქივს მისმა ვაჟმა, დავით გურგენიძემ საჩუქრად გადასცა.

ფონდი მოიცავს 1.604 საქმეს, რომელთა შორის გამორჩეული ადგილი ეთმობა ვაჟას, ილიას, გალაკტიონს, ივანე ჯავახიშვილს, ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასა და საეკლესიო მოღვაწეებს. ამ ფონდში დაცულია საქართველოს პროკურატურის საქმეები, უმაღლესი სასამართლოს სხდომის სტენოგრამები და სხვა მასალა ილიას ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით, გალაკტიონ ტაბიძის ჩანაწერები, ჩანახატები, უბის წიგნაკები და პირადი ნივთები. დოკუმენტები კონსტანტინე გამსახურდიას, ქრისტეფორე რაჭველიშვილის, ვანო სარაჯიშვილისა და სხვა ცნობილი შემოქმედების შესახებ. ფონდი მდიდარია ფოტომასალით, პლაკატებითა და აფიშებით, XIX-XX საუკუნეების ჟურნალ-გაზეთებითა და კრებულებით, მათ შორის, მრავლად არის ემიგრანტული გამოცემებიც.

მესხეთ-ჯავახეთში მოგზაურობისას გალაკტიონ ტაბიძე თავის დღიურებში წერდა: „ვახტანგ გურგენიძე ჩემთან მოვიდა 7 საათზე... 10 საათზე უნდა გავემგზავროთ ... ვახტანგს თან აქვს ფოტოაპარატი... ვახტანგი გენიალურია...“. ამ მოგზაურობისას გადაღებული ფოტოები ვახტანგ გურგენიძის პირადი არქივის ნაწილია. ფონდში ასევე ინახება გალაკტიონის სათვალე და სიგარეტის კოლოფი, რომელიც მას თვითმკვლელობის მომენტში ჯიბეში ედო. ვახტანგ გურგენიძის ფონდში საკმაოდ ბევრი ფოტოა, რომელზეც გალაკტიონია აღბეჭდილი.

ფონდშია თავად ვახტანგ გურგენიძის ბიოგრაფიული, სამსახურებრივი და შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტები — ჩანაწერები, დღიურები, უბის წიგნაკები, ნარკვევები და პუბლიკაციები ლიტერატურის, ხელოვნების, განათლების საკითხებზე, მეთოდური სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, წიგნები — „წმინდა მარიამის წილხვედრ ქვეყანაში“, „გვირგვინოსანი თამარი“, „ივანე ჯავახიშვილი“, „ქართული ქორეოგრაფიის პატრიარქი“, „ცხოვრება წამებულ მამულიშვილისა“.

— ვახტანგ გურგენიძე წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალურ არქივს. მისი პირადი ფონდი ახლა გაიხსნა და მასში ნამდვილად ბევრი საინტერესო დოკუმენტია. ეს ფონდი ეროვნულ არქივს საჩუქად მისმა ვაჟმა, დავით გურგენიძეემ გადმოსცა. მასში დაცულია უნიკალური დოკუმენტები, რომელიც არა მარტო მკვლევრებისთვის, არამედ ლიტერატორებისა და მეცნიერებისთვისაც საკმაოდ საინტერესო მასალაა, — განაცხადა ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა.

ვახტანგ გურგენიძის პირადი ფონდის გაცნობა ყველა დაინტერესებულ პირს თავისუფლად შეუძლია.

# საქართველოს ისტორია ბავშვებისთვის გამოცემულია

ეკა ირემაშვილი

მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის პირველი რესპუბლიკის დარბაზში გამომცემლობა „ლიტერამ“ წიგნის „საქართველოს ისტორია ბავშვებისთვის“ პრეზენტაცია მოაწყო. „საქართველოს ისტორია ბავშვებისთვის“ „ლიტერა“-ს ცნობილი სერიიდანაა, რომლის ფარგლებშიც უკვე დაიბეჭდა „სახარება ბავშვებისთვის“.

წიგნში მარტივი, გასაგები და საბავშვო ენით არის მოთხრობილი საქართველოს ისტორია დასაბამიდან დღემდე. პროექტის ავტორი პარლამენტარი ნუგზარ წიკლაურია. სწორედ მისი ინიციატივით ბოლო ხუთი წელია „ლიტერა“ საბავშვო წიგნების სერიას უშვებს. პროექტი მიზნად ისახავს საქართველოს პოპულარიზაციას.

„ლიტერას“ მიერ გამოცემული წიგნი ფერადოვანია და ორიგინალური ნახატებით არის გაფორმებული. მის მხატვრობაში გამოყენებულია როგორც ორიგინალური მხატვრობა, ასევე ძველი ქართული ხელნაწერები, ფრესკები და სამუზეუმო ექსპონატები. ტექსტის ავტორი მზია სურგულაძეა, ხოლო მხატვარი — თინათინ ჩირინაშვილი.

ახალი საბავშვო წიგნის პრეზენტაციაზე მრავლად იყვნენ პოლიტიკოსები, მწერლები, მეცნიერები. მათ შორის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე გიგი წერეთელი, დეპუტატი ეკა ხერხეულიძე. პრეზენტაციას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუაც დაესწრო. ყველა მათგანი მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში საკუთარ შვილებთან ერთად მივიდა. წიგნის წარდგენისას მიწვეულმა სტუმრებმა თავადაც მოუთხერს პატარებს საინტერესო ეპიზოდები საქართველოს ისტორიიდან.

— ეს პროექტი დაახლოებით 5 წლის წინ დაიწყო. ძალიან მასშტაბური პროექტია. ჩვენი მთავარი მიზანია, საქართველოს ისტორია ბავშვებისთვის მიგვეწოდებინა ფერადოვან ისტორიად. ჩვენი მთავარი ამოცანაა ბავშვებმა იცოდნენ, როგორი იყო ჩვენი წარსული, მათთვის რწმენა ჩაგვენერგა, რომ ჩვენ ქვეყანა ყოველთვის გამარჯვებული იქნება. ეს არ არის ისტორია — დამარცხებების, ტირილის, არამედ, ეს არის წიგნი, რომელსაც მოტივად გამარჯვება დასდევს. ეს არის ის წიგნი, რომელიც ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს. წიგნში მოთხრობილია ყველა საინტერესო ისტორია — დასაბამიდან 2008 წლის რუსეთ□საქართველოს ომის ჩათვლით. ეს არის ყველაზე უფრო სრული ისტორია, რაც კი ბაშვებისთვის ამ ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულა, — განაცხადა წიგნის პრეზენტაციაზე ნუგზარ წიკლაურმა.

ამავე სერიიდან იგეგმება კიდევ ერთი წიგნის „საქართველო ბავშვებისთვის“ გამოცემა, სადაც თავს მოიყრის უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერები საქართველოს შესახებ.

— არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისტორია არის გამოცდილება, გამოცდილება კი არის ცოდნა, როგორ წარვმართოთ ჩვენი აწმყო და ჩვენი მომავალი, ამიტომ ისტორიის ცოდნა არის უმთავრესი. ეს არის წიგნი, რომელიც ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს და მშობლებს მოვუწოდებ, მათ შორის ჩემს თავსაც, რომ ეს წიგნი იყიდონ, შვილებს აჩუქონ და ეს ნამდვილ მოქალაქეებად, პატრიოტებად ქცევის საქმეში ერთი, მაგრამ მნიშვნელოვანი საქმე იქნება. ნებისმიერი მშობლისთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს, რომ მათი შვილები საქართველოს ისტორიას მათთვის გასაგებ ენაზე ეცნობოდნენ, — აღნიშნა კულტურის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ.

# დათო ევგენიძე ქართულ სცენას დაუბრუნდა

ეკა ირემაშვილი

ქართველი კომპოზიტორი, მუსიკოსი და მომღერალი დათო ევგენიძე ათწლიანი პაუზის შემდეგ კვლავ წარდგა ქართველი მსმენელის წინაშე. ამჯერად კონცერტი ხელოვანმა „თბილისი ივენთ ჰოლში“ ჩაატარა.

კონცერტს მუსიკოსმა „დათო ევგენიძე და მისი მეგობრები“ უწოდა. მან საღამო მანდილოსნებს აჩუქა და ახალი მეგობრებითა და ბენდით შეხვდა გადაჭედილ დარბაზს. 4-საათიან კონცერტზე მრავლად იყო იმპროვიზაცია. დათომ მსმენელისთვის ბევრი ახალი და ძველი სიმღერა შეასრულა, დარბაზიც აიყოლია და ბენდთან ერთად ბოლომდე დაიხარჯა. საღამოზე ძალიან ბევრი ცნობილი სახე დამწყები მუსიკოსების როლში წარდგა საზოგადოების წინაშე. ნინო ზაუტაშვილმა, გია ბურჯანაძემ და სხვა ხელოვანებმა დათო ევგენიძესთან და მის ბენდთან ერთად იმპროვიზებული შოუ დადგეს. სცენაზე დათო ევგენიძეს პარტნიორობას მერაბ სანოძე იგივე „სანო“ და ზუკა ხუციშვილი უწევდნენ. კონცერტის მეორე ნაწილი უკვე მთლიანად დათოს მეგობრებს დაეთმოთ, ისინი სცენაზე რიგრიგობით დადიოდნენ და ცნობილ სიმღერებს მიქსავდნენ. კონცერტის დასასრულს სრული ფურორი მოახდინა სცენაზე მუსიკოსის შვილის პატარა ნიკუშას გამოჩენამ, რომელიც ინსტრუმენტს მიუჯდა და მამის კომპოზიცია ბენდთან ერთად დაუკრა. კონცერტის დასასრულს სცენაზე დათო ევგენიძის ქალიშვილი ლიკა ევგენიძე ავიდა, რომელმაც მამასთან ერთად სიმღერა თბილისზე შეასრულა და დუეტში იმღერა.

დათო ევგენიძემ კონცერტიდან შემოსული თანხა ქველმოქმედებას მოახმარა. მან შემოსავალი „კათარზისს“ გადაურიცხა. როგორც მომღერალმა აღნიშნა, მონატრებული თბილისელი მსმენელისთვის მისი მხრიდან სიურპრიზები კიდევ მრავლად იქნება. მორიგი კონცერტის ჩატარებას დათო ევგენიძე გაზაფხულის ბოლოსთვის აპირებს.

# ნოდიკო ტატიშვილი მხოლოდ ქალბატონებისთვის იმღერებს

ეკა ირემაშვილი

ჯეოსტარელი ნოდიკო ტატიშვილი 8 მარტს კლუბ „ტრიუმფში“ საგანგებო კონცერტს ატარებს და მას მთლიანად ქალბატონებს უძღვნის.

ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონცერტი 8 მარტს, 8 საათზე დაიწყება და მასზე დასწრება ნებისმიერ მსურველს 75 ლარად შეეძლება. როგორც კლუბში „ახალ თაობას“ განუცხადეს, ბილეთის ფას-



ში შედის მაგიდაც, თავისი მენიუთი.

„ტრიუმფში“ დაგეგმილ კონცერტზე ნოდიკო ტატიშვილთან ერთად მონაწილეობას მისი მეგობრებიც მიიღებენ. ჯეოსტარელთან ერთად სცენაზე ნინი შერმადინი, სალომე ბაკურაძე, დათუნა მგელაძე და გოგოლა კალანდაძეც იდგებიან. ორსაათიან კონცერტს დიჯეი დააგვირგვინებს, რომელიც მოწვეული სტუმრების მაქსიმალურად გართობაზე პირადად იზრუნებს.

ნოდიკომ საკონცერტო პროგრამა როგორც ძველი, ასევე ახალი სიმღერებით დააკომპლექტა. კლუბში მისული მსმენელი დუეტებსაც მოისმენს და იმ სიმღერებსაც შეაფასებს, რომლებიც მომღერლის ახალ ალბომში უნდა შევიდეს.

**ნოდიკო ტატიშვილი:**

— გადავწყვიტე, ქალბატონებისთვის კონცერტი მეჩუქებინა. 8 მარტს, 8 საათზე ტრიუმფში ვაწყობთ საღამოს, რომელშიც ჩემთან ერთად ჩემი მეგობრები — გოგოლა კალანდაძე, ნინი შერმადინი, სალომე ბაკურაძე და დათუნა მგელაძე იქნებიან. რაც შეეხება რეპერტუარს, უკვე გადავწყვიტეთ, რომ შეკრებილ საზოგადოებას ვუმღეროთ როგორც ძველი, ასევე ახალი სიმღერები. პირადად შევასრულებ მსმენელისთვის იმ უცნობ სიმღერებს, რომლებიც ჩემს ალბომშია შეტანილი. გარდა ამისა, ვიმღერებთ ცნობილი სიმღერების ქავერებსაც. შემდეგ კი ორსაათიანი კონცერტის ბოლოს სცენას დიჯეის დავუთმობთ.

***— კონცერტი მარტო ქალბატონებს რატომ მიუძღვენით?***

— აბა, 8 მარტს ვატარებ კონცერტს და სხვისთვის ვისთვის უნდა მიმეძღვნა? რა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ ქალბატონებისთვის!

***— ნოდიკო, თქვენი ალბომი რატომ აგვიანებს?***

— არ აგვიანებს. აპრილში ერთი წელი გახდება, რაც ალბომზე ვმუშაობ. ჩემი აზრით, ეს სრულიად ნორმალური დროა. არ მიყვარს აჩქარება, იმიტომ, რომ რასაც ვაკეთებ, მინდა ხარისხიანი და გემოვნებიანი იყოს. მგონია, რომ აპრილში, მუშაობის ერთი წლისთავზე დავაგვირგვინებ ალბომს და იგი გამოვა.

***— ახალ კლიპზეც ხომ არ ფიქრობთ?***

— რა თქმა უნდა. მინდა ახალი კლიპიც გადავიღო.

***— სიმღერა უკვე შეარჩიეთ?***

— კი, მაგრამ არ ვიტყვი წინასწარ, რომელ სიმღერაზე მსურს კლიპის გადაღება. არ მინდა წინასწარ იცოდეს ავტორმა, რომელ სიმღერაზე შევაჩერე არჩევანი.

***— ეს კლიპიც პირველის მსგავსად ფერადოვანი და მხიარული იქნება?***

— არა. მეორე კლიპი სრულიად განსხვავებული და უფრო სერიოზული იქნება.

***— გასტროლებზე როდის მიდიხართ?***

— უკვე დაგეგმილია გასტროლი საბერძნეთსა და ამერიკაში. ამერიკაში ნიუ იორკსა და ნიუ ჯერსიში უნდა მქონდეს კონცერტები. დაგეგმილი კი არის, მაგრამ წინასწარ მაინც არაფერზე ლაპარაკი არ მიყვარს.


## განცხადებები

● ელიავას ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე ს.ს. „ივერიაში“ ქირავდება სხვადასხვა სიდიდის ფართები. სასაწყობე მეურნეობა კეთილმოწყობილია, ტერიტორიაზე შემოდის რკინიგზის ლიანდაგი. მისამართი: თბილისი, გუდაუთის ქ.№7. ტელ: 34-04-65.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● გარანტიით, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას, ნევრიტს, ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს, რადიკულიტს, სისხლძარღვების შევიწროვებასა და სხვ. პაციენტი გადაიხდის მისი შესაძლებლობის მიხედვით. მის: თბილისი, დ.ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი, რეაბილიტოლოგი ლევან სეხნიაშვილი. დამიკავშირდით წინასწარ. ტელ: 899-97-85-46; 53-44-39.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.






**მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.**
**შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.**

**დარეკეთ!**

**მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607**

**ახალი ქსელები 700 608**

**გაერთიანებული ტელეკომი 608 608**



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად
შეგიძლიათ გამოიყენოთ
სწრაფი გადახდის აპარატები

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

**ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.**

# კადაფმა და ჩავესმა სამშვიდობო მისიის საკითხი განიხილეს

ლიბიის ლიდერმა მოამარ კადაფიმ და ვენესუელის პრეზიდენტმა უგო ჩავესმა ლიბიაში ვითარების მოწესრიგების მიზნით სამშვიდობო მისიის შექმნის შესაძლებლობა განიხილეს.

ვენესუელის ინფორმაციის მინისტრმა ანდრეს იზარამ თვითერის მიკრობლოგების პორტალის საშუალებით განაცხადა, რომ კომანდანტე ჩავესი კადაფის ლიბიაში სამშვიდობო კომიტეტის შექმნის წინადადება განიხილა.

ამასთან, მას არ დაუზუსტებია თუ როგორ და რა ვითარებაში შედგა ეს დიალოგი. სხვადასხვა ცნობების თანახმად, ლაპარაკია მეგობრული ქვეყნების ბლოკის შექმნის შესახებ, რომელიც ლიბიის პრობლემის გადაჭრაზე დაიწყებდა მუშაობას.



იმავდროულად, თავად ლიბიაში აჯანყებულები გამარჯვებას ზეიმობენ. მათ ოთხშაბათს საპორტო ქალაქ ბრეგაზე, სადაც ნავთობის გადამამუშავებელი საწარმოები მდებარეობს, კადაფის ერთგული ჯარების იერიშის მოგერიება შეძლეს.

კადაფის ძალებმა მანამდე ქალაქის დაკავება შეძლეს. ბიბისის მიმომხილველების თქმით, ქალაქი ანტისამთავრობო ძალების ცონტროლს ექვემდებარება.

მუამარ კადაფიმ მანამდე ტელეეთერში განაცხადა, რომ „უკანასკნელ ქალამდე და მამაკაცამდე" იბრძოლებდა. მისი თქმით, იმ შემთხვევაში, თუკი დასავლეთი ინტერვენციას დაიწყებს, ათასობით ლიბიელი მზად არის, ქვეყნისა და პირადად მის დასაცავად თავი გაწიროს.

მუამარ კადაფიმ მომხდარ მოვლენებში კვლავ გარეშე ძალები დაადანაშაულა და კრიზისს შეთქმულება უწოდა, რომელიც ლიბიის კოლონიზაციას და მისი ნავთობის ხელში ჩაგდებას ისახავს მიზნად.

კადაფის თქმით, ჭეშმარიტი დემოკრატია — ეს ლიბიური ჯამაჰირიაა, ლიბიას ხალხი მართავს და რეალური ძალაუფლება ხალხის ხელშია.

ლიბიის ლიდერმა არეულობაში ალ-კაიდა დაადანაშაულა, გარდა ამისა, განაცხადა, რომ უცხოეთის მედია მღელვარების მასშტაბებს აზვიადებს და დაუმატა, რომ მისი ცნობით, დაღუპულია 150 ადამიანი.

მუამარ კადაფი თავისი მომხრეების წინაშე ჯამაჰირიას გამოცხადების 34-ე წლისთავთან დაკვშირებით გამოვიდა.

მისი მომხრეები ლიდერის პატივსაცემ ლოზუნგებს გაიძახოდნენ. კადაფის გამოსვლის ტრანსლირება სახელმწიფო ტელევიზიით ხდებოდა. „ალაჰი, მუამარი, ლიბია, ხალხის გმირი" — გაიძახოდნენ ისინი.

არეულობის დაწყებიდან ორი კვირის განმავლობაში ლიბიის ოფიციალურმა ხელისუფლებმა ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის კონტროლი დაკარგეს.

# კოლუმბიაში ინკასატორების ვერტმფრენს ესროლეს

კოლუმბიაში ვერტმფრენს, რომელსაც ბანკის ერთ-ერთი განყოფილებიდან ფული გადაჰქონდა, ცეცხლი გაუხსნეს. შედეგად ექვსი ადამიანი დაიღუპა.

ვერტმფრენს ცეცხლი ქალაქ კალოტოში დაშვების შემდეგ გაუხსნეს. ეს ქალაქი ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთით, კაუკას პროვინციაში მდებარეობს. დაიღუპა ოთხი პოლიციელი და ორი სამოქალაქო პირი, რომლებიც ვერტმფრენიდან ფულს ტვირთავდნენ.



გავრცელებული ცნობების თანახმად, თავდამსხმელებმა ფულის გატაცება ვერ შეძლეს.

კოლუმბიის პოლიციის შეფის, გენერალ ოსკარ ნარანხოს თქმით, დანაშაული სავარაუდოდ, კოლუმბიაში მოქმედი მემარცხენე დაჯგუფებების წევრების მიერ არის ორგანიზებული. გერნერლის თქმით, ამჟამად ხელისუფლები კვლავაც ინფორმაციის მოპოვებას ცდილობენ, თუმცა, მათი ვარაუდით, ამ დანაშაულის უკან კოლუმბიის რევოლუციური შეიარაღებული ძალები, ე.წ. ხალხის არმია დგას.

იმავე რაიონში ვერტმფრენისათვის ცეცხლის დაშენამდე რამდენიმე დღით ადრე სხვა თავდასხმის შედეგად ერთი პოლიციელი დაიღუპა, შვიდი სამოქალაქო პირი დაშავდა.

# იაპონია რუსეთის დროშის დაწვის ფაქტის ხელახალ გამოძიებას არ აპირებს

იაპონიის ხელისუფლები ტოკიოში რუსეთის საელჩოს წინ დემონსტრანტების მიერ რუსეთის დროშის დაწვის ფაქტის განმეორებით გამოძიების საფუძველს ვერ ხედავენ.

ამ განცხადებით იაპონიის მთავრობის გენერალური მდივანი იუკიო ედანო გამოვიდა. მისი თქმით, დემონსტრანტების მოქმედების დანაშაულად მიიჩნევის საფუძველი არ არსებობს. დემონსტრანტებმა რუსეთის დროშა ე.წ. „ჩრდილოეთ ტერიტორიების დღეს" დაწვეს. ამ სახელით იაპონიაში კურილის არქიპელაგის სამხრეთ კუნძულებს მოიხსენიებენ.

რუსეთის ხელისუფლებამ იაპონიის მთავრობის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ოთხშაბათს პროტესტი გამოთქვა.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით იაპონიის ხელისუფლების მიერ ხულიგნების მიმართ გამოჩენილი მსგავსი „სირბილე" შეიძლება შეფასდეს როგორც მხოლოდ ხელშეწყობა.

თავის მხრივ, მოსკოვის მიერ სამხრეთ კურილებზე საჰაერო თავდაცვითი სისტემის განთავსების გეგმების შესახებ პრესაში ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით ტოკიომ შეშფოთება გამოთქვა. რუსეთის ხელისუფლებს ეს ოფიციალურად არ დაუდასტურებიათ.

იაპონია რუსეთისაგან იტურუპის, კუნაშირის, შიკოტანის და ჰაბომაის კუნძულების დაბრუნებას მოითხოვს. მოსკოვი თავის მხრივ ამტკიცებს, რომ კურილის კუნძულების მიმართ რუსეთის სუვერენიტეტი გადასინჯვას არ ექვემდებარება. ტერიტორიული დავის გამო რუსეთი და იაპონია დღემდე სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერას ვერ ახერხებენ.

ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობა გასული წლის ნოემბერში დაიძაბა, კუნძულ კუნაშირზე რუსეთის პრეზიდენტ დმიტრი მედვედევის სტუმრობის შემდეგ.



სააგენტო ინტერფაქსმა რუსეთის სამართალდამცავი ორგანოების მაღალი რანგის წარმომადგენლებზე დაყრდნობით განაცხადა, რომ რუსეთი სადავო კუნძულებზე საჰაერო თავდაცვითი სისტემის განთავსებას და „იახონტის" ტიპის გემების საწინააღმდეგო მობილური სარაკეტო დანადგარების განთავსებას აპირებს.

სააგენტოს ინფორმაციით, რუსეთი კუნძულებზე „ტოპ-ემ2" ტიპის სარაკეტო სისტემების, გარდა ამისა, კუნძულ იტურუპზე განათავსებენ ახალი ტიპის, მი28-ენ „ღამის მონადირე" ვერტმფრენების შენაერთის განთავსებას აპირებს.

რუსეთის თავდაცვის მინისტრმა ანატოლი სერდიუკოვმა თებერვლს ბოლოს განაცხადა, რომ კურილის კუნძულების საჯარისო დაჯგუფების სტრუქტურა მალე შეიცვლება და ახალი ტიპის შეიარაღებითა და ტექნიკით, გარდა ამისა, კავშირგაბმულობის და რადიოელექტრონული ბრძოლის თანამედროვე სისტემებით აღიჭურვება.

ტოკიო ამ გეგმებს „სინანულის ღირსს" უწოდებს.

იაპონიის მთავრობის აპარატის უფროსმა იუკიო ედანომ განაცხადა, რომ რუსეთის მიერ ოთხ კუნძულზე სამხედრო ძალის გაზრდა იაპონიის პოზიციას ეწინააღმდეგება და ძალიან სამწუხაროა.

ედანომ გარდა ამისა, განაცხადა, რომ რუსეთის მიერ შორეულ აღმოსავლეთში მიღებულ სამხედრო ზომებს იაპონია ყურადღებით ადევნებს თვალს და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ იაპონია რუსეთის მიმართ ტერიტორიულ პრეტენზიებზე უარის თქმას არ აპირებს.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

## 7 — 13 მარტი

## ამინდის პროგნოზი

**სოხუმი**

07.03 წვიმა, დღისით — 9-10, ღამით — 5-6
08.03 წვიმა, დღისით — 8-9, ღამით — 6-7
09.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 19-20, ღამით — 10-11
10.03 ღრუბელი, თოვლი, დღისით — 11-12, ღამით — 5-6
11.03 წვიმა, დღისით — 8-9, ღამით — 3-4
12.03 წვიმა, დღისით — 8-9, ღამით — 2-3
13.03 წვიმა, დღისით — 10-11, ღამით — 1-2

**ზუგდიდი**

07.03 წვიმა, დღისით — 12-12, ღამით — 7-9
08.03 წვიმა, დღისით — 10-11, ღამით — 8-9
09.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 20-21, ღამით — -10-11
10.03 წვიმა, დღისით — 14-15, ღამით — 7-8
11.03 წვიმა, დღისით — 10-11, ღამით — 3-4
12.03 წვიმა, დღისით — 9-10, ღამით — 2-3
13.03 წვიმა, დღისით — 10-11, ღამით — 2-3

**ბათუმი**

07.03 წვიმა, დღისით — 13-14, ღამით — 7-8
08.03 წვიმა, დღისით — 9-10, ღამით — 7-8
09.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 18-19, ღამით — 10-11
10.03 წვიმა, დღისით — 12-13, ღამით — 7-8
11.03 წვიმა, დღისით — 7-8, ღამით — 2-3
12.03 წვიმა, დღისით — 7-8, ღამით — 2-3
13.03 წვიმა, დღისით — 8-9, ღამით — 2-3

**ქუთაისი**

07.03 წვიმა, დღისით — 15-16, ღამით — 7-8
08.03 წვიმა, დღისით — 11-12, ღამით — 9-10
09.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 20-21, ღამით — 10-11
10.03 წვიმა, დღისით — 16-17, ღამით — 7-8
11.03 წვიმა, დღისით — 9-10, ღამით — 3-4
12.03 წვიმა, დღისით — 9-10, ღამით — 2-3
13.03 წვიმა, დღისით — 10-11, ღამით — 1-2

**გორი**

07.03 წვიმა, დღისით — 15-16, ღამით — 4-5
08.03 წვიმა, დღისით — 11-12, ღამით — 4-5
09.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 12-13, ღამით — 3-4
10.03 წვიმა, დღისით — 9-10, ღამით — 3-4
11.03 წვიმა, თოვლი, დღისით — 7-8, ღამით — -1-0
12.03 წვიმა, თოვლი, დღისით — 7-8, ღამით — -3 -2
13.03 წვიმა, თოვლი, დღისით — 7-8, ღამით — -4 -3

**თბილისი**

07.03 წვიმა, დღისით — 13-14, ღამით — 7-8
08.03 წვიმა, დღისით — 7-8, ღამით — 3-4
09.03 ღრუბელი, დღისით — 8-9, ღამით — 3-4
10.03 წვიმა, დღისით — 5-6, ღამით — 2-3
11.03 წვიმა, დღისით — 8-9, ღამით — 0-1
12.03 მზე, წვიმა, დღისით — 10-11, ღამით — -1-0
13.03 წვიმა, დღისით — 7-8, ღამით — -2 -1

**გურჯაანი**

07.03 მზე, წვიმა, დღისით — 15-16, ღამით — 7-8
08.03 წვიმა, დღისით — 10-11, ღამით — 4-5
09.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 11-12, ღამით — 2-3
10.03 წვიმა, დღისით — 9-10, ღამით — 2-3
11.03 წვიმა, დღისით — 10-11, ღამით — 1-2
12.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 9-10, ღამით — -3 -2
13.03 წვიმა, დღისით — 7-8, ღამით — -3 -2

**მანგლისი**

07.03 წვიმა, დღისით — 10-11, ღამით — 5-6
08.03 წვიმა, თოვლი, დღისით — 5-6, ღამით — 1-2
09.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 5-6, ღამით — 1-2
10.03 წვიმა, თოვლი, დღისით — 2-3, ღამით — 0-1
11.03 წვიმა, თოვლი, დღისით — 5-6, ღამით — -2 -1
12.03 წვიმა, თოვლი, დღისით — 7-8, ღამით — -4 -3
13.03 წვიმა, თოვლი, დღისით — 4-5, ღამით — -4 -3

**დმანისი**

07.03 თოვლი, დღისით — 3-4, ღამით — -7 -6
08.03 თოვლი, დღისით — 1-2, ღამით — -7 -6
09.03 მზე, ღრუბელი, დღისით — 4-5, ღამით — -7 -6
10.03 თოვლი, დღისით — 1-2, ღამით — -7 -6
11.03 თოვლი, დღისით — 0-1, ღამით — -13 -12
12.03 თოვლი, დღისით — -1-0, ღამით — -14 -13
13.03 თოვლი, დღისით — -2 -1, ღამით — -14 -12

გ.თ.

# კროსვორდი




1. ფრანგული ცეკვა; 2. კოლხი მედეას დედა; 3. ... პუგაჩოვა; 4. სამაგიდო თამაში; 5. მადრიდის საფეხბურთო კლუბი; 6. ... ახმეტელი; 7. სამხედრო ფორმის ტანსაცმელი; 8. იოკო ...; 9. ... როლანი; 10. თვითმფრინავის ფრთების ნაწილი; 11. თევზის წვნიანი; 12. ... მერფი; 13. ალგორითმული ენა; 14. დედალი ცხვარი; 15. ზღვის დიდი კიბო; 16. სათბური; 17. ცირკის მოედანი; 18. აზრი, ჩანაფიქრი; 19. ბერძნული სიმებიანი საკრავი; 20. ფანჩატური, თალარი; 21. სანდრო ... (ფერმწერი); 22. ლაბორატორიული ჭურჭელი; 23. ლორდის ან ბარონის მეუღლე; 24. ერთგვარი კონიაკი; 25. რთულის საპირისპირო; 26. ტიბეტური ხარი; 27. აფრიკული შხამიანი ბუზი; 28. ერთგვარი კანფეტი; 29. მხედართმთავარი; 30. ინგლისური ლუდი; 31. ნიავი; 32. მუხლის სახსარშიგა ხრტილი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სორენტო; 2. მრუმე; 3. გრეიდერი; 4. სტალონე; 5. ვერნისაჟი; 9. ხიტონი; 12. „მეეზოვე"; 14. „რენძიუ"; 15. ლევი; 17. „ნანტი"; 18. ბასი.

**თარაზულად:** 6. ჰოპერი; 7. „ქრისტინე"; 8. დეციმა; 10. ტორტი; 11. კონვერტორი; 13. ბრუკლინი; 16. „ქენონი"; 18. „აბსოლუტი"; 20. ზურმუხტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბატარეა; 2. აპატრიდი; 3. „დიუპონი"; 5. ტრაილერი; 7. ბრავადა; 9. ნავიგაცია; 13. ცანგალა; 15. ფეიხოა; 16. ასკანა; 18. ბრომი.

**თარაზულად:** 4. ბალატონი; 6. დეპრესია; 8. ჟანდარმერია; 10. გავიალი; 11. ვანი; 12. „იდიოტი"; 14. ეფუთი; 17. პარმა; 19. „გიუმი"; 20. სამთავრო; 21. ალფა; 22. სარკოფაგი; 23. სისტოლა.

# ბრძოლა და ჩხუბი ქუთაისში

### ქუთაისი — შსს 81:68
(27:17, 21:21, 1§:17, 15:11

**ქუთაისი:** დიდია (22), კვიმსაძე (16ქ.15მ. 10პ), ბოლქვაძე (13), გ. ბარბაქაძე (13), ცეკვავა (3), ბაბუნაშვილი (11), ლომინაშვილი (2), კოლუაშვილი (1)

**შსს:** ლეჟავა (18), კოტონი (2), ტუჯანი (9), დ. ბარბაქაძე (15), წივწივაძე (12), ლაფანაშვილი (1), ნიკოლაძე, ბერიშვილი, მარკოიშვილი (5), შერმადინი (6).

ზედიზედ მეორე საშინაო მატჩია, ქუთაისის სპორტის სასახლე, რომელიც მხოლოდ 1.500 მაყურებელს იტევს, გადაჭედილია. ორივე შემთხვევაში, ქომაგთა საკმაო ნაწილი სტუმართა გუნდზე მოდიოდა, მაგრამ, ასეც რომ არ ყოფილიყო, დარბაზში შეუვსებელი ადგილი მაინც არ დარჩებოდა. ისევე, როგორც არმიასთან დაპირისპირებისას, ამ მატჩის დროსაც კალათბურთის ბევრ ქომაგს გაუჭირდა შეხვედრის ნორმალურად ყურება. აშკარაა, რომ ქუთაისის სპორტის სასახლის ტევადობა არ შეეფერება კალთბურთის ქუთაისელ მოყვარულთა რაოდენობას.

შეხვედრა საკმაოდ დაძაბული და საინტერესო სანახავი გამოდგა. დებიუტიდანვე მასპინძლებმა მოიპოვეს უპირატესობა, რომელთა წევრებს სროლები წაუვიდათ. რიონისპირელთა მხრიდან უნდა გამოიყოს კვიმსაძე-დიდიას დუეტი. პირველმა მათგანმა 16 ჩაგდებულ ქულას 15 მოხსნა და 10 შედეგიანი პასი დაუმატა, რითიც მეორე კალათბურთელი გახდა სეზონში, რომელმაც სამმაგი დუბლი მიითვალა, ხოლო დიდიამ 22 ქულას მოუყარა თავი და ყველაზე შედეგიანი მოთამაშე გამოდგა.

პირველი პერიოდი მასპინძლებმა 10 ქულით მოიგეს, მეორეში კი მათი უპირატესობა თექვსმეტ ქულამდეც ავიდა. ამ მომენტში ჩინებულად გაისარჯა გიგი ბარბაქაძე, რომელმაც ჯერ ეფექტურად ჩატენა, ხოლო შემდეგ ზუსტი სამქულიანიც შეასრულა. პირველი ნახევრის დასრულებამდე კი ძალოვნებმა მოახერხეს და სხვაობა ისევ 10 ქულამდე შეამცირეს.

თამაშის განახლების შემდეგ სტუმრები გააქტიურდნენ და მალევე ანგარიშის გათანაბრება და დაწინაურებაც კი მოახერხეს. ძალზე შედეგიანად მოქმედებდნენ წივწივაძე და ლეჟავა. პირველი, ზუსტ სროლებთან ერთად, უნარიანად უძღვებოდა თავისი გუნდის შეტევებს, მეორემ კი თავისი გუნდის ბომბარდირობა ითავა. ასეთი მიმდინარეობა მასპინძლებს ნამდვილად არ აწყობდათ. იმერთა წინამძღოლობა მათივე კაპიტანმა ბუბა კვიმსაძემ აიღო თავის თავზე და სამქულიანით ისევ წინ გაიყვანა თავისი გუნდი. კაპიტნის შემყურეთ, მასპინძლებმა ხელი გამოიღეს და მესამე მეოთხედის შემდეგ ანგარიში 66:57 იყო მათ სასარგებლოდ.

დასკვნითი მეოთხედის საწყის წუთებში გუნდები უზუსტო თამაშით გამოირჩნენ. მალე ისევ დიდიამ ითამაშა შედეგიანად. მიუხედავად თბილისელთა მცდელობისა, ქუთათურები, მეტოქესთან შედარებით, უფრო ნაყოფიერად მოქმედებდნენ და გამარჯვებაც სამართლიანად დაიმსახურეს.

მატჩის ბოლოს იყო ერთი უსიამოვნო ინციდენტი, რომელმაც ამ ლამაზ პაექრობას ნამდვილად დაღი დაასვა. სტუმართა შეტევისას წივწივაძეს უხეშად დაუფარეს, რომელმაც ემოციების მოთოკვა ვერ მოახერხა. ბექას ქმედებაზე ქომაგებმა გამოხატეს თავიანთი პროტესტი, რასაც კალათბურთელსა და მათ შორის სიტყვიერი შეხლა-შემოხლა მოჰყვა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მოედანზე ერთ-ერთი გულშემატკივარი გადავიდა, რომელიც პოლიციელებმა შეაკავეს და ძალისმიერი მეთოდებით დაატოვებინეს დარბაზი.



ამ ფაქტის გამო შეხვედრა რამდენიმე წუთით შეჩერდა, მისი განახლების შემდეგ კი მასპინძლებმა დაწყებული საქმე მშვიდობიანად მიიყვანეს ბოლომდე და წინა საშინაო მარცხის შემდეგ საკუთარი ქომაგების წინ ღირსეული რეაბილიტაცია შეძლეს.

### არმია — სსაუ 81:72
(31:14, 23:24, 8:17, 17:16

**არმია:** ტუღუში (10ქ. 10მ), ანატოლი ბერიშვილი (7), ბოისა (14), ბაბიაშვილი (17), ათუაშვილი (4); მინაშვილი (4), პირველაშვილი (5), ლევან მოსეშვილი (10), ათანელიშვილი (8), შარაბიძე (2)

**სსაუ:** ტეტელაშვილი (13), სიგუა, ხანიაშვილი (13), ნანიტაშვილი (2), მუმლაძე (8); ბააკაშვილი (5), ჩაჩანიძე (23), გემაზაშვილი, ჯავახიშვილი (6), არწივიძე (12)

მატჩის ფავორიტი არმიელები იყვნენ და პირველი ტაიმიც იოლად 54:38 მოიგეს, თუმცა შეხვედრის მესამე მეოთხედში აგრარელებმა თამაში მკვეთრად გამოასწორეს და მატჩს ინტერესი შესძინეს.

დაძაბულობამ განსაკუთრებით მეოთხე მეოთხედში იმატა, როდესაც გუნდებს შორის ქულათა სხვაობა 4-მდე შემცირდა. მეოთხე მეოთხედის შუა პერიოდში კი ისევ არმიელებმა იძალეს და მატჩი გამარჯვებით დაასრულეს — 81:72.

გამარჯვებულთა რიგებში 17 ქულით საუკეთესო ზვიად ბაბაიშვილი გახლდათ, ორმაგი დუბლი კი კოტე ტუღუშის ანგარიშზეა (10ქ.10მ). აგრარელებს კი 23 ქულით რევაზ ჩაჩანიძემ ულიდერა.

### ენერჯი ინვესტი — თსუ 91:109
(21:27, 24:25, 23:24, 23:32

**ენერჯი:** მაჭავარიანი (10), ხმელიძე (30), აბაიშვილი (21), არაბული, ლამუ (9), გივი ბერუაშვილი (2), გუგავა (10), თვარაძე (4), აბულაძე (2), მებურიშვილი (3)

**თსუ:** გაფრინდაშვილი (8), ფანჩულიძე (21), ჩიტაშვილი (9), მიხეილ ბერიშვილი (24ქ. 17მ), ლონდარიძე (40ქ. 10მ); ხიზანიშვილი (2), კოხრეიძე (3), კორკოტაძე, ზვიად დეკანოიძე, ჩქარეული (2), ზურაბ მაისურაძე.

ორი წამყვანი კალათბურთელის, შეუძლოდ მყოფი რიჩარდ მათიაშვილისა (ცენტრალური თავდამსხმელი) და ტრავმირებული გიორგი მარხვაშვილის (უკანახაზელი) გარეშე მოასპარეზე თსუ-მ საკმაოდ იოლად შეძლო „ენერჯ ინვესტზე" გამარჯვება, რომელმაც პირველი წრის დასრულების შემდეგ სერიოზული მარცხი განიცადა.

შეგახსენებთ, რომ ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრა, რომელიც თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდა, ქვემოქართლელებმა 15 ქულის სხვაობით — 90:74 მოიგეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამჯერად თსუ-მ 18 ქულის სხვაობით — 109:91 შეძლო მეტოქის დამარცხება, სტუდენტებმა სრულფასოვანი რევანში აიღეს.

ამ შეხვედრაში საუკეთესო იყო თსუ-ს ცენტრალური თავდამსხმელი ილია ლონდარიძე, რომელმაც 40 ქულითა და 10 მოხსნით ორმაგი დუბლი შეასრულა. მოთამაშის მიერ ერთ შეხვედრაში გაკეთებული 40 ქულა მიმდინარე ჩემპიონატის საუკეთესო შედეგია.

შეგახსენებთ, რომ ძველი მიღწევა (37 ქულა), რომელიც პირველ წრეში თსსუ-სტუ-ს შეხვედრაში დამყარდა, სტუ-ს უკანახაზელ ბექა ჩიკვილაძეს ეკუთვნოდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ლონდარიძეს მიმდინარე ჩემპიონატის კიდევ ერთი რეკორდი ეკუთვნის. ერთ შეხვედრაში მის მიერ გაკეთებული 20 მოხსნა ჯერჯერობით საუკეთესოა.

ასევე ორმაგი დუბლის ავტორი გახდა ლონდარიძის თანაგუნდელი, ფორვარდი მიხეილ ბერიაშვილი, რომელმაც 24 ქულა და 17 მოხსნა დააგროვა.

მასპინძელთაგან საუკეთესო იყო ფორვარდი ლევან ხმელიძე, რომლის ანგარიშზეც 30 ქულაა.

### სტუ — ბათუმი 86:73
(29:24, 13:15, 21:23, 32:11

**სტუ:** ჩიკვილაძე (20), ვასილ ბერუაშვილი (27ქ.15მ), გასიტაშვილი (3), მაჩალაძე (7), ახალკაცი (7; ჭოხონელიძე (2), ლომოური (11), თევზაძე (2), კობიძე (2), ჯანგველაძე (5)

**ბათუმი:** ივანე მაისურაძე (16), სანაძე (16), ნიკოლოზ ჩხატარაშვილი (12), კეშელავა (12ქ.13მ), ყველაშვილი (11); რამიშვილი (6), ელიაშვილი, ელიაძე.

მატჩი დაძაბულად მიმდინარეობდა და გუნდებს შორის სხვაობა პირველი ტაიმის განმავლობაში მაქსიმუმ 5-6 ქულას შეადგენდა, სადაც მცირე უპირატესობას სტუმრები ფლობდნენ და შეხვედრის პირველი ტაიმიც „ბათუმის" სასარგებლოდ, 39:33 დასრულდა. თამაშის ბოლო მეოთხედში კი სიტუაცია სულ სხვაგარად განვითარდა. სტუ-მ მოახდინა ძალების მობილიზება და მეტოქე სოლიდური სხვაობით დაამარცხა — 86:73.

მასპინძელთა მხრიდან საუკეთესო ვასილ ბერუშვილი გახლდათ, რომელმაც 27 ქულასთან ერთად 15 მოხსნაც მიითვალა და ორმაგი დუბლი შეასრულა, ხოლო ბათუმელთა მხრიდან 16-16 ქულით ივანე მაისურაძე და დუდა სანაძე გამოირჩნენ.

### სოხუმი — დინამო 121:74
(31:26, 23:12, 31:11, 36:25

**სოხუმი:** ჰარისი (21ქ.16მ), ჩლაიძე (17), კანკია (7), ანთაძე (17), კარლ დამუსი (12ქ.10მ); შანიძე (23), სორდია (14), რიჩარდ დამუსი (10), ვახტანგ კვარაცხელია.

**დინამო:** პატარაია (9), გლუნჩაძე (2), ივანეიშვილი (20), თავამაიშვილი (9), ალხანაიძე (6); თვაური (15), შალიკიანი (5), ირაკლი ცაგარეიშვილი, ჩაველაშვილი (8).

მატჩის ფავორიტ „სოხუმს" არ გასჭირვებია ცხრილის ბოლოადგილოსანი „დინამოს" დამარცხება, თუმცა ეს მატჩი იმით გახლდათ საინტერესო, რომ „სოხუმის" საკალათბურთო კლუბმა ვალერი ჯგერენაიას სახელობის თასი დააწესა. თბილისის „დინამოს" ყოფილ კალათბურთელსა და საკალათბურთო კლუბ „სოხუმის" პირველ მთავარ მწვრთნელს წელს 60 წელი შეუსრულდებოდა.

თასი გადაეცა თბილისის „დინამოსა" და „სოხუმის" მატჩის საუკეთესო მოთამაშეებს, იუჯინ ჰარისსა და ირაკლი ივანეიშვილს, რომელთაც პრიზი საკალათბურთო კლუბ „სოხუმის" ვიცე-პრეზიდენტმა თემურ ჩილაჩავამ გადასცა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.არმია | 14 | 13 | 1 | 1226:957 | 27 |
| 2.თსუ | 15 | 12 | 3 | 1386:1208 | 27 |
| 3.შსს | 14 | 10 | 4 | 1230:1053 | 24 |
| 4.ქუთაისი | 14 | 10 | 4 | 1149:1002 | 24 |
| 5.სოხუმი | 15 | 9 | 6 | 1213:1136 | 24 |
| 6.ენერჯი | 15 | 7 | 8 | 1060:1128 | 22 |
| 7.სტუ | 15 | 5 | 10 | 1203:1281 | 20 |
| 8.ბათუმი | 14 | 5 | 9 | 1090:1153 | 19 |
| 9.სსაუ | 15 | 4 | 11 | 1063:1234 | 19 |
| 10.თსსუ | 14 | 4 | 10 | 1032:1059 | 18 |
| 11.დინამო | 15 | 1 | 14 | 1054-1495 | 16 |

## „ბორჯღალოსნები" რუმინეთისთვის მზადებას იწყებენ

დასაწყისი მე-12 გვერდზე

გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, რიჩარდ დიქსონმა, გაფართოებულ შეკრებაზე 26 მორაგბე გამოიძახა. ადგილობრივები გუშინწინ შეიკრიბნენ, ხოლო ლეგიონერთა დიდი ნაწილი თბილისში გუშინ დილით ჩამოვიდა.

საქართველოს ნაკრების სრული სია კი ასეთია: ბესიკ ხამაშურიძე, ირაკლი ჩხიკვაძე (ორივე აია), ზვიად მაისურაძე (ლოკომოტივი), ლექსო გუგავა (ლელო), ჯაბა ბრეგვაძე (თსუ-ლომები), ბიძინა სამხარაძე, ირაკლი ნატრიაშვილი (სტიაუა, რუმინეთი), დავით ზირაქაშვილი, ვიტო კოლელიშვილი (ორივე კლერმონი, საფრანგეთი), დავით ხინჩაგიშვილი (ბრივი, საფრანგეთი), გია ლაბაძე (მარსეი ვირტოლი, საფრანგეთი), მამუკა გორგოძე, გიორგი ჩხაიძე (ორივე მონპელი, საფრანგეთი), მერაბ კვირიკაშვილი, ლევან დათუნაშვილი, ბექა ურჯუკაშვილი (ყველა ფიჟაკი, საფრანგეთი), ვახტანგ მაისურაძე (სენ ნაზარი, საფრანგეთი), სიმონ მაისურაძე (ვილერბანი, საფრანგეთი), ლაშა მალაღურაძე (ბეზიე, საფრანგეთი), შალვა სუთიაშვილი (მასი, საფრანგეთი), ირაკლი მაჩხანელი, ბესო უდესიანი (ორივე მაკონი, საფრანგეთი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო, საფრანგეთი), ირაკლი აბუსერიძე (ოსერი, საფრანგეთი), გიორგი ნემსაძე (მონტობანი, საფრანგეთი), დავით კაჭარავა (ნიცა, საფრანგეთი).

საქართველოსა და რუმინეთის ნაკრებების შეხვედრა 12 მარტს, 15:00 საათზე, მიხეილ მესხზე დაიწყება.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბირმინგემი-ვესტ ბრომვიჩი ... 1:3
არსენალი-სანდერლენდი ... 0:0
ბოლტონი-ასტონ ვილა ... 3:2
ვესტ ჰემი-სტოკი ... 3:0
ნიუკასლი-ევერტონი ... 1:2
ფულემი-ბლექბერნი ... 3:2
სიტი-უიგანი ... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 28 | 17 | 9 | 2 | 62:27 | 60 |
| 2.არსენალი | 28 | 17 | 6 | 5 | 57:27 | 57 |
| 3.სიტი | 29 | 15 | 8 | 6 | 45:25 | 53 |
| 4.ჩელსი | 27 | 14 | 6 | 7 | 48:23 | 48 |
| 5.ტოტენჰემი | 27 | 13 | 8 | 6 | 38:31 | 47 |
| 6.ბოლტონი | 29 | 10 | 10 | 9 | 42:40 | 40 |
| 7.ლივერპული | 28 | 11 | 6 | 11 | 36:35 | 39 |
| 8.სანდერლენ. | 29 | 9 | 11 | 9 | 33:35 | 38 |
| 9.ნიუკასლი | 29 | 9 | 9 | 11 | 44:41 | 36 |
| 10.ევერტონი | 29 | 8 | 12 | 8 | 37:37 | 36 |
| 11.ფულემი | 29 | 7 | 14 | 8 | 32:31 | 35 |
| 12.სტოკი | 29 | 10 | 4 | 15 | 32:38 | 34 |
| 13.ას. ვილა | 29 | 8 | 9 | 12 | 37:50 | 33 |
| 14.ბლექბერნი | 29 | 9 | 5 | 15 | 37:49 | 32 |
| 15.ბლექპული | 28 | 9 | 5 | 14 | 42:55 | 32 |
| 16.ვესტ ბრომ. | 29 | 8 | 8 | 13 | 39:54 | 32 |
| 17.ვესტ ჰემი | 29 | 7 | 10 | 12 | 36:49 | 31 |
| 18.ბირმინგემი | 27 | 6 | 12 | 9 | 26:38 | 30 |
| 19.ვულვზი | 28 | 8 | 4 | 16 | 31:46 | 28 |
| 20.უიგანი | 28 | 5 | 12 | 11 | 27:47 | 27 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბარნლი-კრ.პალასი ... 1:0
დერბი-ბარნსლი ... 0:0
ქოვენთრი-ბრისტოლი ... 1:4
ქპრ-ლესტერი ... 1:0
ლიდსი-დონკასტერი ... 5:2
ნორვიჩი-პრესტონი ... 1:1
ნოტინგემი-ჰალი ... 0:1
პორთსმუთი-შეფილდი ... 1:0
რედინგი-მიდლსბრო ... 5:2
სკანთორპი-სუონსი ... 1:0
უოტფორდი-მილუოლი ... 1:0
კარდიფი-იფსვიჩი ... 0:2

**იტალია. სერია ა**

იუვენტუსი-მილანი ... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 28 | 18 | 7 | 3 | 50:20 | 61 |
| 2.ინტერი | 27 | 16 | 5 | 6 | 49:29 | 53 |
| 3.ნაპოლი | 27 | 16 | 4 | 7 | 41:25 | 52 |
| 4.ლაციო | 27 | 14 | 6 | 7 | 33:23 | 48 |
| 5.უდინეზე | 27 | 14 | 5 | 8 | 49:30 | 47 |
| 6.რომა | 28 | 13 | 7 | 8 | 43:39 | 46 |
| 7.იუვენტუსი | 28 | 11 | 8 | 9 | 41:35 | 41 |
| 8.პალერმო | 27 | 12 | 4 | 11 | 44:43 | 40 |
| 9.კალიარი | 27 | 11 | 5 | 11 | 33:28 | 38 |
| 10.ჯენოა | 27 | 9 | 8 | 10 | 25:27 | 35 |
| 11.ბოლონია | 27 | 10 | 8 | 9 | 29:34 | 35 |
| 12.ფიორენტ. | 27 | 8 | 10 | 9 | 29:29 | 34 |
| 13.კიევო | 27 | 7 | 10 | 10 | 28:30 | 31 |
| 14.სამპდორია | 27 | 7 | 10 | 10 | 23:29 | 31 |
| 15.კატანია | 27 | 7 | 8 | 12 | 25:35 | 29 |
| 16.პარმა | 27 | 6 | 10 | 11 | 27:38 | 28 |
| 17.ლეჩე | 28 | 7 | 7 | 14 | 31:50 | 28 |
| 18.ჩეზენა | 27 | 6 | 7 | 14 | 20:36 | 25 |
| 19.ბრეშა | 27 | 6 | 6 | 15 | 22:35 | 24 |
| 20.ბარი | 27 | 3 | 7 | 17 | 15:41 | 16 |

*ბოლონიას დაკლებული აქვს 3 ქულა*

**იტალია. სერია ბ**

ლივორნო-ვარეზე ... 0:0
პადოვა-სიენა ... 0:0
პესკარა-რეჯინა ... 0:0
პორტუგრუარო-გროსეტო ... 1:1
სასუოლო-ჩიტადელა ... 1:1
ტრიესტინა-პიაჩენცა ... 0:1
ფროსინონე-ალბინოლეფე ... 2:1
ემპოლი-მოდენა ... 0:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

მალიორკა-ვალენსია ... 1:2
ბარსელონა-სარაგოსა ... 1:0
ატლეტიკო-ვილიარეალი ... 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 27 | 24 | 2 | 1 | 78:13 | 71 |
| 2.რეალი | 26 | 20 | 4 | 2 | 62:19 | 64 |
| 3.ვალენსია | 27 | 16 | 6 | 5 | 42:28 | 54 |
| 4.ვილიარ. | 27 | 15 | 5 | 7 | 46:29 | 50 |
| 5.ესპანიოლი | 26 | 13 | 1 | 12 | 35:38 | 40 |
| 6.ატლეტიკო | 27 | 11 | 5 | 11 | 39:35 | 38 |
| 7.ბილბაო | 26 | 12 | 2 | 12 | 40:38 | 38 |
| 8.სევილია | 26 | 11 | 5 | 10 | 41:40 | 38 |
| 9.სოსიედ. | 26 | 11 | 2 | 13 | 37:42 | 35 |
| 10.მალიორკა | 27 | 10 | 4 | 13 | 28:37 | 34 |
| 11.ხეტაფე | 26 | 9 | 5 | 11 | 36:39 | 33 |
| 12.რასინგი | 26 | 7 | 9 | 10 | 24:36 | 30 |
| 13.ლევანტე | 26 | 8 | 4 | 14 | 27:38 | 28 |
| 14.დეპორტ. | 26 | 6 | 10 | 10 | 21:35 | 28 |
| 15.სარაგოსა | 27 | 6 | 9 | 12 | 24:39 | 27 |
| 16.ოსასუნა | 26 | 6 | 8 | 12 | 26:32 | 26 |
| 17.ერკულესი | 26 | 7 | 5 | 14 | 24:39 | 26 |
| 18.ხიხონი | 26 | 5 | 10 | 11 | 23:34 | 25 |
| 19.მალაგა | 26 | 6 | 5 | 15 | 34:58 | 23 |
| 20.ალმერია | 26 | 4 | 10 | 12 | 26:44 | 22 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ვილიარეალი ბ-რაიო ... 1:2
ალბასეტე-ელჩე ... 0:2
გრანადა-სალამანკა ... 0:1
ტარაგონა-კარტახენა ... 2:0

**გერმანია. 1 ბუნდესლიგა**

აინტრახტი-კაიზერი ... 0:0
გლადბახი-ჰოფენჰაიმი ... 2:0
ჰანოვერი-ბაიერნი ... 3:1
ნიურნბერგი-ზანკტ პაული ... 5:0
შტუტგარტი-შალკე ... 1:0
ლევერკუზენი-ვოლფსბურგი ... 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 25 | 19 | 4 | 2 | 53:14 | 61 |
| 2.ლევერკუზ. | 25 | 14 | 7 | 4 | 53:34 | 49 |
| 3.ჰანოვერი | 25 | 15 | 2 | 8 | 37:32 | 47 |
| 4.ბაიერნი | 25 | 13 | 6 | 6 | 51:33 | 42 |
| 5.მაინცი | 24 | 13 | 1 | 10 | 37:30 | 40 |
| 6.ნიურნბერ. | 25 | 11 | 6 | 8 | 39:32 | 39 |
| 7.ჰამბურგი | 24 | 11 | 4 | 9 | 35:32 | 37 |
| 8.ფრაიბურგი | 24 | 11 | 4 | 9 | 31:31 | 37 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 25 | 8 | 9 | 8 | 41:37 | 33 |
| 10.შალკე | 25 | 8 | 6 | 11 | 29:30 | 30 |
| 11.კიოლნი | 25 | 8 | 5 | 12 | 31:43 | 29 |
| 13.აინტრახტი | 25 | 8 | 4 | 13 | 24:34 | 28 |
| 13.ზ.პაული | 25 | 8 | 4 | 13 | 27:43 | 28 |
| 14.ვოლფსბ. | 25 | 6 | 8 | 11 | 29:37 | 26 |
| 15.შტუტგარ. | 25 | 7 | 4 | 14 | 43:47 | 25 |
| 16.კაიზერი | 25 | 6 | 7 | 12 | 33:42 | 25 |
| 17.ვერდერი | 24 | 6 | 7 | 11 | 30:50 | 25 |
| 18.გლადბახი | 25 | 6 | 4 | 15 | 36:59 | 22 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბოხუმი-კარლსრუე ... 1:1
პადერბორნი-კოტბუსი ... 0:5

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ვალანსიენი-მონაკო ... 0:0
კანი-სენტ ეტიენი ... 1:0
ლორიანი-ნანსი ... 0:0
მონპელიე-რენი ... 0:1
ნიცა-ლანსი ... 0:0
ტულუზა-სოშო ... 0:1
ოსერი-პსჟ ... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რენი | 26 | 14 | 7 | 5 | 31:18 | 49 |
| 2.ლილი | 25 | 12 | 10 | 3 | 43:24 | 46 |
| 3.მარსელი | 25 | 12 | 9 | 4 | 36:21 | 45 |
| 4.პსჟ | 26 | 12 | 8 | 6 | 39:26 | 44 |
| 5.ლიონი | 25 | 11 | 9 | 5 | 39:25 | 42 |
| 6.მონპელიე | 26 | 10 | 8 | 8 | 21:24 | 38 |
| 7.ლორიენი | 26 | 10 | 6 | 10 | 32:31 | 36 |
| 8.სოშო | 26 | 10 | 5 | 11 | 40:31 | 35 |
| 9.სტ.ეტიენი | 26 | 9 | 8 | 9 | 33:33 | 35 |
| 10.ბრესტი | 25 | 9 | 8 | 8 | 26:25 | 35 |
| 11.ბორდო | 25 | 8 | 10 | 7 | 32:30 | 34 |
| 12.ვალანს. | 26 | 7 | 11 | 8 | 30:27 | 32 |
| 13.ტულუზა | 26 | 10 | 3 | 13 | 27:29 | 33 |
| 14.კაენი | 26 | 8 | 8 | 10 | 29:36 | 32 |
| 15.ნიცა | 26 | 7 | 9 | 10 | 17:27 | 30 |
| 16.ოსერი | 26 | 5 | 14 | 7 | 30:33 | 29 |
| 17.ნანსი | 26 | 8 | 5 | 12 | 27:41 | 29 |
| 18.მონაკო | 26 | 4 | 14 | 8 | 25:28 | 26 |
| 19.ლანსი | 26 | 5 | 10 | 11 | 26:44 | 25 |
| 20.არლე | 25 | 1 | 8 | 16 | 13:45 | 11 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ანჟე-ლე ავრი ... 0:0
დიჟონი-ლე მანი ... 3:2

# გიორგი შაშიაშვილი: „ჩვენს ნაკრებს შინ ნებისმიერი გუნდის დამარცხება შეუძლია“

**გიორგი შაშიაშვილის დებიუტი საქართველოს ნაკრებში 2991 წელს შედგა, თუმცა, მას შემდეგ, რაც ეროვნულ ნაკრებს თემურ ქეცბაია ჩაუდგა სათავეში, ის გუნდში აღარ გამოჩენილა. როგორც ჩანს, ფეხბურთელს ეს მხოლოდ გულში სწყინს, რადგან, მისი თქმით, ყველაფერს რეალურად უყურებს.**



*— საქართველოს ნაკრებში დიდი ხანია აღარ გამოჩენილხართ. როგორ ფიქრობთ, რა არის ამის მიზეზი?*

— ეს კითხვა უფრო თემურ ქეცბაიას უნდა დაუსვათ. ვერაფერს გეტყვით, რადგან მწვრთნელი წყვეტს, ნაკრებში ვინ გამოიძახოს.

*— მიუხედავად იმისა, რომ ფორმაში ხართ და მუდმივი სათამაშო პრაქტიკაც გაქვთ, არ გწყინთ, რომ არ გიძახებენ ნაკრებში?*

— მართალია, თითქმის ყველა თამაშს შეუცვლელად ვთამაშობ. თემურზე ნაწყენი არ ვარ, ან რატომ უნდა ვიყო?! თვლის, რომ ამ ეტაპზე ნაკრებს არ ვჭირდები. დავამატებ იმასაც, რომ დღესდღეობით ჩვენს ნაკრებში საუკეთესო რგოლი დაცვის ხაზია.

*— თვალს თუ ადევნებთ ნაკრების თამაშებს, შორიდან რა ცვლილებებს ატყობთ მას?*

— რა თქმა უნდა! ყველა თამაშს ვუყურებ და ვგულშემატკივრობ. პირველ რიგში, ის შეიცვალა, რომ მიდგომა და პირობები უკეთესობისკენ არის წასული. ქეცბაია ნაკრებს იმ ფეხბურთს ათამაშებს, რაც ამ ეტაპისთვის მისაღებია და შედეგიც სახეზეა.



*— ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ჯგუფში ჩვენი მეტოქე საბერძნეთია. რას ამბობენ საბერძნეთში საქართველოს ნაკრებზე, სერიოზულ კონკურენტად თვლიან?*

— სხვათა შორის, თავიდანვე თქვეს, რომ საქართველო რთული მეტოქე იქნება და გამართლდა კიდეც. საბერძნეთში ნათამაშევი ფრის შემდეგ თბილისში მთელი ყურადღებით ითამაშებენ და, ვფიქრობ, ბერძნებს საკმაოდ რთული მატჩი ელით. ჩვენს ნაკრებს შინ ნებისმიერი გუნდის დამარცხება შეუძლია.

*— ჯგუფიდან გასვლის რა შანსი აქვს საქართველოს ნაკრებს?*

— ძალიან კარგი შანსი გვაქვს. ხორვატიასთან და ისრაელთან მატჩისას მაქსიმალურად მაღალი ქულები უნდა მოვიპოვოთ. ამის შემდეგ ჯგუფიდან გასვლა უფრო გაგვიადვილდება.

*— ნაკრებში ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელები გამოჩნდნენ. ეს ნიშნავს იმას, რომ ეროვნული ჩემპიონატის დონემ აიწია?*

— ეროვნული ჩემპიონატიდან ნაკრებში ფეხბურთელები ყოველთვის იყვნენ. ეს აუცილებელიც არის საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებისთვის, რადგან ეცოდინებათ, რომ ვინც დაიმსახურებს, ნაკრების კარი ყველასთვის ღიაა.

*— „ერგოტელისის“ მიზნები რა არის მიმდინარე სეზონში?*

— სეზონის წინ მიზნად ექვსეულში მოხვედრა დაგვისახეს. ვნახოთ, რა იქნება, თუმცა, ჯერ კიდევ გვაქვს შანსი, რომ უეფას ზონაში შევაღწიოთ. დარჩენილ თამაშებს დიდი მნიშვნელობა აქვს.

*— როდემდე გაქვთ კონტრაქტი „ერგოტელისთან“?*

— მაისში მიმთავრდება და არ ვიცი, დავრჩები თუ არა. სხვა კლუბებიდანაც მაქვს შემოთავაზება და მაისში გადავწყვეტ.

*— ისევ საბერძნეთში აპირებთ დარჩენას?*

— სხვა ქვეყნებიდანაც მაქვს წინადადები, მაგრამ ჯერ დაკონკრეტება არ მინდა.

# კოლხეთი — დინამო 0:2

**ფოთი. ფაზისის სტადიონი**

*0:1 კოშკაძე (24), 0:2 იელიჩი (39)*

**კოლხეთი:** ძაგანია, მახვილაძე, ცხვიტარია, ინწკირველი, მეგრელიშვილი, მოისწრაფიშვილი, გვალია, გულუა (სამადაშვილი 58), კვერენჩხილაძე (წიქარიშვილი 46), მდივნიშვილი, სიჭინავა (ჭეიშვილი 72)

**დინამო:** ლორია, ღონღაძე, ჰომოლა, კაკუბავა, ხმალაძე, ჰაჯიბულიჩი, კოშკაძე, რობეტინიო (კვეკვესკირი 76), ჯიუსი (კახელიშვილი 63), არზიანი (ფირცხალავა 55), იელიჩი

მატჩი მოულოდნელად მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო და დინამოელთა კართან რამდენიმე ზედიზედ მოწოდებული კუთხურის გარდა გამოსარჩევი გიგა კვერენჩხილაძის დარტყმული იყო, რომელიც გაჭირვებით მოიგერია გიორგი ლორიამ.

15 წუთის შემდეგ თამაში თანდათან გათანაბრდა და დინამოელები მეტ დროს მეტოქის ნახევარზე ატარებდნენ. მალე გოლიც გავიდა — თეიმურაზ ღონღაძის პასის შემდეგ დინამოელთა კაპიტანმა ალექსანდრე კოშკაძემ შესანიშნავი ტრაექტორიით ბურთი მეტოქის კარის ცხრიანში გაგზავნა — 0:1.

გატანილი გოლის შემდეგ დინამოელთა უპირატესობა უფრო გამოიკვეთა. ჯერ ლევან ხმალაძემ დაარტყა არაზუსტად, შემდეგ კი კოშკაძის დარტყმული ბურთი ჯერ მეკარემ მოიგერია, შემდეგ კი — ძელმა.

სტუმართა შეტევებმა ნაყოფი მაინც გამოიღო — 38-ე წუთზე რობერტინიო მარჯვენა ფლანგაზე კარგად გაისარჯა, საჯარიმოში ჩააწოდა და დინამოელთა ბოსნიელ ლეგიონერმა პეტერ იელიჩმა ახლო მანძილიდან პირველი ქართული გოლი გაიტანა — 0:2.

მხოლოდ ამის შემდეგ მიეცათ ფოტელებს გოლის გატანის შანსი და კვლავ კვერენილაძე აქტიურობდა, თუმცა ლორიამ ამჯერადაც მოიგერია მისი დარტყმული ბურთი და სტუმრები შესვენებაზე 2-ბურთიანი ჰანდიკაპით გავიდნენ.

მეორე ტაიმში „დინამოს“ მეტი სივრცე მიეცა და შეტევაზე გადასულ ფოტელებს სწრაფი კონტრშეტევებით უქმნიდა ხიფათს, თუმცა რეალური საგოლე მომენტები მაინც არ იქმნებოდა.

თამაშის ბოლოს მომენტებმა იმატა, თუმცა სტუმართა მხრიდან. ნიკა კვეკვესკირს, ჰაჯიბულიჩსა და კოშკაძეს შეეძლოთ ანგარიშის გაზდა, მაგრამ ვერ მოახერხეს. ბოლოს დუბლის შესრულება იელიჩს მართებდა, მაგრამ მეკარემ აჯობა და მატჩიც ასე დასრულდა.

## სიონი — ვიტ ჯორჯია 1:2

**ბოლნისი. თეიმურაზ სტეფანიას სახელობის სტადიონი**

*1:0 სვანიძე (22), 1:1 გურეშიძე (59), 1:2 ვასაძე (76)*

ბოლნისში გამართულ მატჩში მცირე ფავორიტებად მასპინძლები მიიჩნეოდნენ, მაგრამ ეს მხოლოდ პირველ ტაიმში დაამტკიცეს.

დავით სვანიძის გოლით მასპინძლები შესვენებაზე დაწინაურებული გავიდნენ, მაგრამ მეორე ტაიმში ჯერ გურამ გურეშიძემ, შემდეგ კი გიორგი ვასაძემ ვეტერინარებს სასურველი 3 ქულა მოუტანეს.

დღეს ტურის დანარჩენი 3 მატჩი გაიმართება: ზესტაფონი-ბაია, სამტრედია-ტორპედო, ოლიმპი-სპარტაკი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზესტაფონი | 22 | 15 | 2 | 5 | 44:13 | 47 |
| 2.ოლიმპი | 22 | 13 | 5 | 4 | 33:19 | 44 |
| 3.დინამო | 22 | 12 | 7 | 4 | 26:11 | 40 |
| 4.ვიტ ჯორჯია | 23 | 10 | 2 | 11 | 25:28 | 32 |
| 5.ბაია | 21 | 8 | 5 | 8 | 21:23 | 29 |
| 6.ტორპედო | 22 | 6 | 8 | 8 | 11:13 | 26 |
| 7.სიონი | 23 | 6 | 7 | 10 | 16:29 | 25 |
| 8.სპარტაკი | 22 | 6 | 5 | 11 | 24:26 | 23 |
| 9.კოლხეთი | 23 | 6 | 4 | 13 | 16:36 | 22 |
| 10.სამტრედია | 22 | 5 | 5 | 12 | 19:37 | 20 |

**ბომბარდირები:** ნიკოლოზ გელაშვილი, რატი წინამძღვრიშვილი (ორივე ზესტაფონი) — 11-11 ბურთი, ირაკლი მოდებაძე (ოლიმპი) — 10, ჯაბა დვალი (ზესტაფონი) — 8, გიორგი მეგრელაძე (ტორპედო) — 7

# შედეგები

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

ტვენტე-ბრედა ... 2:0
ვიტესი-ვენლო ... 2:0
დენ ჰააგი-ნაიმეგენი ... 5:1
ექსელსიორი-პსვ ... 2:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსვ | 26 | 17 | 6 | 3 | 69:24 | 57 |
| 2.ტვენტე | 26 | 16 | 6 | 4 | 50:27 | 54 |
| 3.აიაქსი | 25 | 14 | 7 | 4 | 47:22 | 49 |
| 4.დენ ჰააგი | 26 | 13 | 6 | 7 | 52:38 | 45 |
| 5.გრონინგენი | 25 | 13 | 5 | 7 | 52:38 | 44 |
| 6.ალკმაარი | 25 | 12 | 7 | 6 | 38:28 | 43 |
| 7.როდა | 25 | 10 | 10 | 5 | 44:34 | 40 |
| 8.უტრეხტი | 25 | 10 | 7 | 8 | 41:33 | 37 |
| 9.ჰერენვენი | 25 | 9 | 7 | 9 | 47:39 | 34 |
| 10.ბრედა | 26 | 10 | 4 | 12 | 35:46 | 33 |
| 11.ნაიმეგენი | 26 | 7 | 11 | 8 | 41:45 | 32 |
| 12.გრააფსხაპი | 26 | 7 | 9 | 10 | 26:44 | 30 |
| 13.ერაკლესი | 25 | 7 | 7 | 11 | 40:44 | 28 |
| 14.ფეინოორ. | 25 | 7 | 7 | 11 | 34:43 | 28 |
| 15.ვიტესი | 26 | 7 | 7 | 12 | 32:44 | 28 |
| 16.ექსელსი. | 26 | 6 | 4 | 16 | 31:51 | 22 |
| 17.ვენლო | 26 | 5 | 1 | 20 | 23:57 | 16 |
| 18.ტილბურგი | 26 | 2 | 5 | 19 | 27:72 | 11 |

*ბრედას დაკლებული აქვს 1 ქულა*

**პორტუგალია. ა ლიგა**

პორტუ-გიმარაეში ... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პორტუ | 22 | 20 | 2 | 0 | 51:7 | 62 |
| 2.ბენფიკა | 21 | 17 | 0 | 4 | 44:17 | 51 |
| 3.სპორტინგი | 21 | 9 | 6 | 6 | 32:25 | 33 |
| 4.ფერეირა | 21 | 8 | 8 | 5 | 22:22 | 32 |
| 5.გიმარაეში | 22 | 9 | 5 | 8 | 25:28 | 32 |
| 6.ნაციონალი | 21 | 8 | 5 | 8 | 18:23 | 29 |
| 7.ლეირია | 22 | 8 | 5 | 9 | 18:25 | 29 |
| 8.ბრაგა | 21 | 8 | 4 | 9 | 34:28 | 28 |
| 9.ოლჰანენსე | 21 | 6 | 9 | 6 | 19:21 | 27 |
| 10.ბეირამარი | 21 | 5 | 10 | 6 | 23:24 | 25 |
| 11.აკადემიკა | 22 | 6 | 9 | 10 | 27:35 | 24 |
| 12.რიუ ავე | 21 | 6 | 5 | 10 | 21:25 | 23 |
| 13.მარიტიმუ | 21 | 5 | 7 | 9 | 21:24 | 22 |
| 14.სეტუბალი | 21 | 4 | 7 | 10 | 16:30 | 19 |
| 15.ნავალი | 21 | 3 | 6 | 12 | 18:37 | 15 |
| 16.პორტიმონ. | 21 | 3 | 5 | 13 | 19:37 | 14 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ინვერნესი-მოზერველი ... 3:0
სელტიკი-ჰამილტონი ... 2:0
სტ.ჯონსონი-ჰიბერნიანი ... 1:1
ჰართსი-კილმანროკი ... 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სელტიკი | 28 | 21 | 4 | 3 | 61:17 | 67 |
| 2.რეინჯერსი | 25 | 19 | 2 | 4 | 57:23 | 59 |
| 3.ჰართსი | 28 | 17 | 4 | 7 | 41:24 | 55 |
| 4.კილმანროკი | 28 | 12 | 6 | 10 | 42:33 | 42 |
| 5.მოზერველი | 29 | 11 | 4 | 14 | 31:38 | 37 |
| 6.ინვერნესი | 29 | 9 | 9 | 11 | 39:37 | 36 |
| 7.დანდი | 25 | 8 | 10 | 7 | 30:31 | 34 |
| 8.ჰიბერნიანი | 29 | 9 | 5 | 15 | 31:45 | 32 |
| 9.სტ.ჯონსონი | 29 | 8 | 8 | 13 | 18:35 | 32 |
| 10.აბერდინი | 28 | 9 | 4 | 15 | 30:44 | 31 |
| 11.სტ.მირენი | 27 | 4 | 7 | 15 | 22:44 | 22 |
| 12.ჰამილტონი | 28 | 2 | 9 | 17 | 16:48 | 15 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ზალცბურგი-მატერსბურგი ... 2:0
ინსბრუკი-აუსტრია ... 0:3
ნოიშტადი-კაფენბერგი ... 1:1
შტურმი-ლინცერი ... 1:1

**ბელგია. პრელიგა**

კორტრაიკი-შარლერუა ... 3:0
ლოკერენი-ვარეგემი ... 2:1
მეხელენი-გენტი ... 1:1
სერკლი-ვესტერლო ... 0:1
სტ.ტრუიდენი-ბეერსხოტი ... 1:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

გრასჰოპერსი-იანგ ბოიზი ... 3:2
სიონი-სტ.გალენი ... 2:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ქსანთი-კერკირა ... 2:1
ოლიმპიაკოსი(ვ)-პანსერაიკოსი ... 3:0
არისი-ირაკლისი ... 0:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქონია-ანკარაგიუჯიუ ... 0:2
გაზიანთეპი-სივასი ... 3:1
გალათასარაი-ქარაბუქი ... 0:0

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

სლოვანი-სლავია ... 0:2
სლოვაცკო-პლზენი ... 2:2

**პოლონეთი. ეკსტრაკლასა**

გურნიკი-ზაგლებიე ... 5:1
ვიძევი-კორონა ... 3:1

*ვიძევის პირველი გოლი ნიკა ძალამიძემ გაიტანა*

ბელხატოვი-იაგელონია ... 0:0
არკა-ლეხი ... 0:3

**უკრაინა. პრემია ლიგა**

ზარია-ვოლინი ... 3:0
მეტალურგი(დ)-დინამო ... 0:2
კრივბასი-ობოლონი ... 2:2
ვორსკლა-მეტალისტი ... 0:0

**დანია. სასლიგა**

ოლბორგი-სილკებორგი ... 1:1

**არგენტინა. კლაუსურა**

ოლ ბოიზი-სან ლორენცო ... 0:3
ხიმნასია-ესტუდიეანტესი ... 0:2
ოლდ ბოიზი-ურაკანი ... 3:3
რასინგი-ოლიმპი ... 4:3

## კალათბურთი

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

ნიუ ჯერსი-ტორონტო ... 137:136(ოტ)
ვაშინგტონი-მინესოტა ... 103:96
ჰიუსტონი-ინდიანა ... 112:95
იუტა-საკრამენტო ... 109:102(ოტ)
პორტლენდი-შარლოტი ... 96:69
კლიპერსი-დენვერი ... 100:94

## ჩოგბურთი

**ვტა. კუალა ლუმპური. პირველი**

დოკიჩი-კრაიჩეკი ... 6:2;6:3
საფაროვა-გროტი ... 6:2;3:6;6:3

**ვტა. მონტერეი. პირველი**

იანკოვიჩი-ჰერცოგი ... 6:3;6:2
პავლუჩენკოვა-დულკო ... 6:4;6:1

## ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

აილენდერსი-სენტ ლუისი ... 5:2
ფილადელფია-ბუფალო ... 3:5
ლოს ანჯელესი-ვანკუვერი ... 2:3
ატლანტა-ფლორიდა ... 4:3(ოტ)
ბოსტონი-პიტსბურგი ... 2:3(ოტ)
ტამპა ბეი-მონრეალი ... 2:4
ტორონტო-ჩიკაგო ... 3:5
ფინიქსი-დეტროიტი ... 4:4(1:0ბ)
კოლორადო-ედმონტონი ... 1:5
სან ხოსე-დალასი ... 2:3

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# TV პროგრამა

**ოთხშაბათი 7 მარტი**

**06.30** დოკ. ფილმი "მსოფლიოს ოდისეები" **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **13.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **14.00** აქცენტები **15.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება" 17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "გამორჩეული სასტუმროები" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება" 22.00** აუდიტორია **23.00** თოქ-შოუ "არენა" **00.30** მხ. ფილმი **"პირველი რაინდი"** (შ. კონერი) **02.45** მოამბე **03.05** ცხოვრება მშვენიერია

**08.00** დოკ. ფილმი **09.00** მხ. ფ. **"ზაზუნას დღე" 11.00** ვ. სანაიას რეპორტაჟი **11.30** დოკ. ფილმი **12.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **13.30** ისტორია **14.00** რეგიონის დროით **14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **16.00** დოკ. ფილმი **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი **"ოცნების გოგონები" 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ.ფ.**"დონი ბრასკო"** (18)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები" 10.00** სერ. **"მიმწყვდეული" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.20** კურიერი **12.30** სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ" 13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** იღბლიანი შოუ (გან.) **15.30** სერ. **"ჩვენი ოფისი" 16.00** სერ. **"სიყვარულის საიდუმლო" 16.50** სერ. **"მორენას ვნება" 18.30** სერ. **"გაორება" 18.50** სერ. **"დანიელა" 19.50** სერ.**"ელენას მოჩვენება" 22.00** ნიჭიერი **00.00** საფეხბურთო ღამე **01.00** მხ. ფილმი **"რემბო"** (18) (ს. სტალონე) **03.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "ბეტმენი" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე" 10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ.**"დაუნდობელი სამყარო" 12.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე" 13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.40** პულსი **15.20** სერ.**"ორნახევარი კაცი" 16.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **17.00** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა" 20.00** სერ.**"დაუნდობელი სამყარო" 21.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე" 22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.40** ქრონიკა **11.40** ტვ-მარკეტი **11.50** სერ. **"ბოშები" 13.00** სერ.**"ლობას საიდუმლო" 14.40** დღის შოუ **16.00** სერ. **"მონტეს ოჯახი" 17.40** სერ.**"სიყვარულის ზღვა" 18.45** სერ.**"ლობას საიდუმლო" 21.00** სერ. **"ქალბატონი" 22.00** სეტუმრად იუმორინასთან **23.30** მხ. ფილმი **"სამართლიანობისთვის მებრძოლი"** (12) (ს. სიგალი) (სუბტ.) **01.30** მხ. ფილმი **"უკანასკნელი ლეგიონი"** (კ. ფერტი) (სუბტ.) **03.10** მხ.ფ.**"დამცველი"**(12)(სუბტ.)

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ.**"დაცვის უფლება" 10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი" 12.50, 19.30** სერ.**"ორმაგი ცხოვრება" 14.50** ფერისცვალება **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"ოქროს კერპი" 00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00** პატრიარქის ქადაგება **10.35** კვირიაკე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.00** საგალობელი **12.05, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** ანდრია კრიტელის კანონი **12.30** დოკ. ფილმი "წმინდა ოთხთავი" **1**-ლი ნ. **13.30** კონცერტი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** დოკ. ფ. "ფურცლები ფრანგული დღიურიდან" **16.25** დოკ. ფ. "ველური ბუნება" **16.50** დოკ. ფილმი "მესაზღვრე ბერები" **1**-ლი ნ. **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.15** დოკ. ფ. "ახალმოწამენი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** დოკ. ფილმი "ცხრა კოლაელი ყრმა" **22.25** ერთსულოვანი ოჯახი **22.50** ანდრია კრიტელის კანონი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "ათონის ქართველთა სავანე" **00.30** სუფთა დაფა

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2011 წლის 7 მარტს ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

აშშ დოლარი — 1,7291
ევრო — 2,3924
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,8207
რუსული რუბლი — 0,0604

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 13-16, ღამით — $-7
**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 8-12, ღამით — 5-8
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, თოვლი, ტემპერატურა დღისით — 3-7, ღამით — 5-6

## ამინდის პროგნოზი 7 მარტისთვის





## ქართული ფლორის საოცრება „სალხინო“ უებარი წამალია



„სალხინო“ ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს“ ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს“ შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58, 95-90-60.


## „ბორჯღალოსნები“ რუმინეთისთვის მზადებას იწყებენ

**საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები ერთა თასის მე-4 ტურის შეხვედრისთვის მზადებას ორშაბათიდან, 7 მარტიდან იწყებს. „ბორჯღალოსნების“ მეტოქე 12 მარტს რუმინეთის ნაკრები იქნება, რომლის შემდეგ ტაბლოზე ბონუს-ქულის გარეშე ძლევა, ანუ მეტოქისთვის მინიმუმ ოთხი ცდის გატანა, ქართველ მორაგბეებს ევროპის ერთა თასს ვადამდე ერთი ტურით ადრე მოაგებინებს.**



ერთა თასის გარდა, ამ გუნდების დაპირისპირებაში 2002 წლიდან ტრადიციული, ანთიმოზ ივერიელის თასიც თამაშდება. გასულ წელს რუმინელებმა საქართველოს ნაკრები ბუქარესტში დაამარცხეს და ახლა ქართველ მორაგბეებს ამ თასის დაბრუნებაც მართებთ.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## საქმიანი ქალი

**ტესტი**



***1. როგორია თქვენი ზოგადი წარმოდგენა საქმიანი ქალის შესახებ?***

ა) ქალი, რომელსაც ბევრი საქმე აქვს; ბ) ქალი, რომელიც ახერხებს მათ კეთებას; გ) ქალი, რომელიც ახერხებს თავისი ფუნქციების შესრულებას როგორც შინ, ასევე გარეთ; დ) საქმიანი ქალი ქალი აღარ არის.

***2. ვთქვათ, ვიღაცას დახმარებას დაჰპირდით, მაგრამ რატომღაც ველარ ახერხებთ დაპირების შესრულებას. თქვენი მოქმედება:***

ა) აცნობებთ გარემოებების შეცვლის შესახებ; ბ) შეეცდებით აუხსნათ, რა ვითარებაში მოხვდით და მომავლისთვის დაპირდებით დახმარებას; გ) შეეცდებით შეასრულოთ დაპირება; დ) არადროს არავის არაფერს ჰპირდებით.

***3. შინ და სამსახურში სხვადასხვა ნივთებით სარგებლობთ. რა წესებით განალაგებთ მათ?***

ა) ყველა ნივთი ძევს იქ, სადაც სურს; ბ) ყველა ნივთს თავისი ადგილი აქვს; გ) დროდადრო ვალაგებ მათ; დ) დროის უკმარისობის გამო ვინმე სხვას ვთხოვ მათ დალაგებას.

***4. დავალებების, თხოვნებისა და პრობლემების ფიქსირების რომელ მეთოდს იყენებთ?***

ა) დღიურში ვწერ; ბ) ნაწილს ვიმახსოვრებ; გ) ყველაფრის დამახსოვრებას ვცდილობ; დ) ვადგენ საქმეების დღიურ სიას.

***5. რამდენად ზუსტად მიდიხართ ოფიციალურ შეხვედრაზე?***

ა) წინასწარ და ცოტა ადრეც; ბ) დროულად; გ) როგორც წესი, ვიგვიანებ; დ) ყოველთვის ვიგვიანებ.

***6. ანიჭებთ თუ არა მნიშვნელობას დავალებების დროულ შესრულებას?***

ა) აუცილებლად; ბ) დავალების დროული შესრულება ახალი დავალების მიღების შანსია; გ) ქალი სამსახურში დავალებებს უნდა ასრულებდეს, მაგრამ აუცილებელი არ არის — დროულად; დ) ვცდილობ ნაკლები ვილაპარაკო და მეტი ვიმუშაო.

**პასუხებში თითოეული ვერსიის რაოდენობის მიხედვით.**

### პასუხები

**ა** — თქვენ საქმიანი ქალი ხართ ამ სიტყვის საუკეთესო და სრული მნიშვნელობით. შეგიძლიათ შეასრულოთ მიცემული სიტყვა. აფასებთ საკუთარ და სხვის დროს.

**ბ** — განეკუთვნებით იმ ქალების კატეგორიას, რომლებსაც ნაწილობრივ საქმიანს უწოდებენ. რა თქმა უნდა, კარგად არ ჟღერს, მაგრამ რას იზამთ — ხან ხართ საქმიანი, ხან არა.

**გ** — ნამდვილად არ განეკუთვნებით საქმიანი ქალების კატეგორიას, რადგან მიგაჩნიათ, რომ ქალი მუშაობისთვის არ არის გაჩენილი. უფრო მეტიც, ქალისთვის ეს მავნებელია.

**დ** — ასრულებთ მხოლოდ იმ დავალებას, რომელიც თქვენს საქმედ მიგაჩნიათ, არ ცდილობთ რაიმე დამატებითი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას.

გ.თ.


# მალე! მალე! მალე!

**100 წიგნი**

„ახალი თაობა“ და „საოჯახო ბიბლიოთეკა“

# გთავაზობთ

# სუპერპროექტს

# ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო


## იუმორი



ქალმა მალე უნდა იმშობიაროს. ქმარი პატარა გოგონას მომზადებას ცდილობს:

— იცი, ჩვენს სახლში მალე წერო მოფრინდება.

— მართლა? დედიკო არ შეაშინოს!

— დედიკო შეაშინოს?

— როგორ, არ იცი, რომ ორსულ ქალს თუ შეაშინებ, მშობიარობა შეიძლება დაეწყოს?

***

— აბა, ვინ მეტყვის, რატომ აიყვანა ნოემ თავის კიდობანში ყველა ცხოველი წყვილ-წყვილად? — ეკითხება მასწავლებელი მოსწავლეებს.

— ალბათ, წეროს იმედი არ ჰქონდა...

***

— ჩემი ქმარი სულ წუწუნებს, ამბობს, რომ უგემურ საჭმელებს ვაკეთებ.

— თქვენც კვირაში ორჯერ აჭამეთ...

გ.თ.

## ასტროპროგნოზი 7 მარტისთვის

### ყველამ გაითვალისწინეთ!

**ზომიერება დაიცავით ყველგან და ყველაფერში**

**ვერძი** — დღეს ნუ შეეცდებით პრობლემების მოგვარებას, მაინც არაფერი გამოვა. **კურო** — დაგეგმეთ მომავალი, ბევრი რამ აგისრულდებათ. **ტყუპები** — კონფლიქტური დღეა, თქვენი სასიყვარულო ურთიერთობა ჩიხში შედის. **კირჩხიბი** — პირად ცხოვრებაში წარმატება გელით, მშობლებთან და უფროსებთან კონფლიქტია მოსალოდნელი. **ლომი** — შეფთან შელაპარაკების თავიდან აცილების მიზნით მეგობრებთან წადით და გაერიდეთ სამსახურის სიტუაციას. **ქალწული** — მოგბეზრდათ ყოველდღიურობა, ეცადეთ განიტვირთოთ. **სასწორი** — კარიერაში წინსვლა გელით, ენერგიის მოზღვავებას იგრძნობთ. **ღრიანკალი** — წარმატებული დღეა, დაწინაურება გელით. **მშვილდოსანი** — ახალი და საინტერესო ნაცნობობაა მოსალოდნელი, ეს დღე აქტიური იქნება. **თხის რქა** — ახალი, საქმიანი კავშირების დამყარების დღეა. **მერწყული** — ლიდერის პოზიციას დაიკავებთ, ნუ იქნებით აგრესიული. **თევზები** — ახლობლებს მიაკითხეთ, დღეს მათი მხარდაჭერა თქვენთვის აუცილებელია.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი



**თარაზულად:** 5. სოფელი ზუგდიდის რაიონში; 6. სესილია თაყაიშვილის კინოროლი; 8. სინათლის სიკაშკაშის ერთეული; 9. მას ... (კომუნიკაციის მასობრივი საშუალებანი); 10. მოუხერხებელი; 11. მჭრელპირიანი ხის საპობი რკინის იარაღი; 13. სახურავიანი ხის ყუთი; 14. ლუწის საპირისპირო; 16. ნაცარტუტში მოხარშული ხის სოკო; 18. ბრაზილიური ქათმის ფირმა; 20. მოკლე სახუმარო ნომერი; 21. ზღაპრული ცეცხლმფრქვეველი ურჩხული.

**შვეულად:** 1. მაგარმერქნიანი ხე; 2. იაპონელთა ნაციონალური სამოსი; 3. საჯიგველი (ერთგვარი ცივი იარაღი); 4. ტრამვაის მძღოლი; 5. შუქფარი; 7. შემწვარი დაკეპილი ხორცი; 11. დოლარის მეასედი; 12. ო.თაქთაქიშვილის ოპერა; 13. ფიცარი, რომელშიც თოფის ლულაა ჩასმული; 14. ჩანთოსანი ძუძუმწოვარი ცხოველი; 15. აღლუმი; 17. ხის სახელდახელო ნაგებობა; 19. ინდოელი ქალის კაბა.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

ლურჯი წითელი ყვითელი შავი